

სატენდერო დოკუმენტაციის კომპლექტი მცირე სამუშაოების შესყიდვისთვის ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა (ნაწილი 1)

შესყიდვის დასახელება:

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ეწერის თემში ბაძგნარის უბანში
რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფ. იანეთის ცენტრალურ გზამდე
გზის რეაბილიტაცია

ტენდერის ნომერი: [EIB/MIMP/W/NCB/20-2016](#)

პროექტი: [ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი](#)

შემსყიდველი: [საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი](#)

ქვეყანა: საქართველო

დოკუმენტის გამოცემის თარიღი: [2016 წლის აგვისტო](#)

ნაწილი I

1. თავი I - ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის (იტმ)
2. თავი IV – სატენდერო წინადადების ფორმები
3. თავი V – უფლებამოსილი ქვეყნები
4. თავი VI – ბანკის პოლიტიკა – კორუფციისა და თაღლითობის პრაქტიკა
5. თავი VIII - კონტრაქტის ზოგადი პირობები (კზპ)
6. თავი X - კონტრაქტის ფორმები

I თავი – ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის

ა. ზოგადი

1. **სატენდერო წინადადებების მოცულობა**
 - 1.1 სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე მოწვევასთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია სატენდერო მონაცემთა ნუსხაში (სმნ), დამკვეთი გამოსცემს სატენდერო დოკუმენტაციას სამუშაოების შესყიდვისათვის VII თავის, სამუშაოების მოთხოვნების, შესაბამისად. ტენდერის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი და კონტრაქტების რაოდენობა მოცემულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში**.
 - 1.2 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტში:
 - (ა) ტერმინი „წერილობით“ ნიშნავს წერილობითი ფორმით გადაცემულ ინფორმაციას, რომლის მიღებაც დადასტურებულია ხელმოწერით.
 - (ბ) მხოლოდით რიცხვში მდგომი სიტყვები მოიცავს ასევე მრავლობითს და მრავლობითში მდგომი სიტყვები – მხოლოდითს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი კონტექსტი სხვაგვარ მნიშვნელობას არ მოითხოვს.
 - (გ) “დღე” ნიშნავს კალენდარულ დღეს.
2. **დაფინანსების წყარო**
 - 2.1 სესხის მიმღებმა (შემდგომში “სესხის მიმღები”), რომელიც მითითებულია სატენდერო მონაცემთა ნუსხაში (სმნ), გააკეთა განაცხადი ან მიიღო დაფინანსება (შემდგომში “დაფინანსება”) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისაგან ან საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (შემდგომში „ბანკი“) იმ ოდენობით, რაც მითითებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** აღნიშნული პროექტის ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც მითითებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში**. სესხის მიმღებს განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს ნებადართული გადახდების განსახორციელებლად იმ კონტრაქტ(ებ)ის ფარგლებში, რომლისთვისაც გამოიკა სატენდერო დოკუმენტაცია.
 - 2.2 ბანკის მიერ გადახდები განხორციელდება მხოლოდ სესხის მიმღების მოთხოვნისა და ბანკის მხრიდან თანხმობის საფუძველზე სესხის მიმღებსა და ბანკს შორის გაფორმებული სასესხო (ან სხვა დაფინანსების) ხელშეკრულების პირობებისა და დებულებების შესაბამისად. სასესხო (ან სხვა დაფინანსების) ხელშეკრულება კრძალავს თანხის გამოთხოვნას სასესხო (ან სხვა დაფინანსების) ანგარიშიდან, ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისათვის გადახდების განსახორციელებლად, ან რაიმე სახის საქონლის იმპორტისათვის, თუკი ბანკისათვის ცნობილია, რომ ამგვარი გადახდა ან იმპორტი აკრძალულია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეროს დებულების VII თავის შესაბამისად. სესხის მიმღების გარდა არც ერთ სხვა მხარეს არ შეუძლია რაიმე უფლების მიღება სასესხო ხელშეკრულების (ან სხვა დაფინანსების) ფარგლებში ან დაფინანსების სახსრებზე რაიმე უფლებით სარგებლობა.

3. **თადლითობა და კორუფცია**
- 3.1 ბანკი მოითხოვს კორუფციასთან და თადლითობასთან დაკავშირებულ თავის პოლიტიკასთან შესატყვისობას, როგორც ეს მითითებულია VI თავში.
- 3.2 ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ტენდერის მონაწილეებმა უფლება უნდა მისცენ ან დაუშვან თავიანთი წარმომადგენლები (დეკლარირებულობის მიუხედავად), ქვე-კონტრაქტორები, ქვე-კონსულტანტები, მომსახურების მომწოდებლები, ან მომწოდებლები და ნებისმიერი სხვა პერსონალი, რომ მათ შეამოწმებინონ ბანკს სატენდერო წინადადების წარდგენასთან, კონტრაქტის შესრულებასთან (კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში) დაკავშირებული ანგარიშები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია წინასაკვალიფიკაციო პროცესთან, და ჩაატაროს მათი აუდიტი ბანკის მიერ დანიშნული აუდიტორების საშუალებით.
4. **უფლებამოსილი ტენდერის მონაწილეები**
- 4.1 ტენდერის მონაწილე შეიძლება იყოს იურიდიული პირი, კერძო ან სახელმწიფო საწარმო, („ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.5 პარაგრაფის შესაბამისად), ან მათი ნებისმიერი კავშირი ერთობლივი საწარმოს ფორმით, რომელიც ეფუძნება ან ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ შეთანხმებას ან ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ განზრახვას, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს განზრახვის წერილი. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, ყველა მხარე უნდა იყოს ერთობლივად და ცალცალკე პასუხისმგებელი კონტრაქტის შესრულებაზე კონტრაქტის პირობების შესაბამისად. ერთობლივი საწარმო ირჩევს წარმომადგენელს, რომელსაც ენიჭება ყველა საქმიანი ურთიერთობის წარმოების უფლება, ერთობლივი საწარმოს ყველა ან თითოეული წევრის სახელით, ტენდერის პროცესში და კონტრაქტის განხორციელების დროს (ერთობლივი საწარმოსათვის კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში).
- ერთობლივ საწარმოში წევრების რაოდენობა შეზღუდული არ არის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული სატენდერო მონაცემთა ნუსხაში **(სმნ)**
- 4.2 ტენდერის მონაწილეს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი. ტენდერის მონაწილე, რომელსაც ექნება ინტერესთა კონფლიქტი, დისკვალიფიცირებული იქნება. ითვლება, რომ ტენდერის მონაწილეს აქვს ინტერესთა კონფლიქტი ტენდერის ერთ ან რამდენიმე სხვა მხარესთან, თუ:
- (ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს, ან თავად კონტროლდება ტენდერის სხვა მონაწილის მიერ, ან ტენდერის სხვა მონაწილესთან ერთობლივად აკონტროლებენ ან კონტროლდებიან;
 - (ბ) იღებენ ან მიიღეს ტენდერის სხვა მონაწილისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდიები;
 - (გ) სხვა ტენდერის მონაწილესთან ერთად ჰყავთ ერთი და იგივე იურიდიული წარმომადგენელი;
 - (დ) აქვთ ურთიერთობა ტენდერის სხვა მონაწილესთან,

უშუალოდ ან საერთო მესამე მხარის საშუალებით, რაც მათ აძლევს საშუალებას მოახდინონ ზეგავლენა სხვა ტენდერში მონაწილის სატენდერო წინადადებაზე ან მოახდინონ ზეგავლენა დამკვეთის გადაწყვეტილებაზე ამ ტენდერთან დაკავშირებით;

- (ე) ტენდერში, ტენდერის მონაწილის მიერ ერთზე მეტ სატენდერო წინადადებაში მონაწილეობა. ტენდერში, ტენდერის მონაწილის მიერ ერთზე მეტ სატენდერო წინადადებაში მონაწილეობის შემთხვევაში, მოხდება ყველა იმ სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაცია, რომელშიც ჩართულია მონაწილე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ერთი და იგივე ქვეკონტრაქტორის მონაწილეობას ერთზე მეტ სატენდერო წინადადებაში;
- (ვ) ტენდერის მონაწილე ან მისი რომელიმე ფილიალი (კონსულტანტის სახით) მონაწილეობდა იმ სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის ან ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადებაში, რომელზედაც წარდგენილია სატენდერო წინადადება.
- (ზ) ტენდერის მონაწილე ან მისი რომელიმე ფილიალი დამკვეთის ან სესხის მიმღების მიერ იქნა დაქირავებული (ან შემოთავაზებული დასაქირავებლად), როგორც ინჟინერი კონტრაქტისათვის.
- (თ) მოახდენს იმ საქონლის, სამუშაოების ან არასაკონსულტაციო მომსახურებების მოწოდებას, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია სატენდერო მონაცემთა ნუსხის „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 2.1 პარაგრაფში აღნიშნულ პროექტის მომზადებისა ან განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურებებთან, რომელიც მან მიაწოდა ან რომელიც მიწოდებულ იქნა იმ ნებისმიერი ფილიალის მიერ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს ახორციელებს, თავად კონტროლდება ან მას ერთობლივად აკონტროლებენ ამ ფირმასთან ერთად;
- (ი) აქვს მჭიდრო საქმიანი ან ოჯახური ურთიერთობა მსესხებლის (ან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ან სესხის ნაწილის მიმღების) პროფესიონალ პერსონალთან, ვინც: (i) პირდაპირ ან არაპირდაპირაა ჩართული სატენდერო დოკუმენტების ან კონტრაქტის სპეციფიკაციების მომზადებაში, და/ან ამ კონტრაქტის სატენდერო შეფასების პროცესში; ან (ii) ჩაერთვება ამგვარი კონტრაქტების განხორციელებაში ან მათზე ზედამხედველობის პროცესში, თუ ამგვარი ურთიერთობიდან გამომდინარე კონფლიქტი შესყიდვების განხორციელებისა და კონტრაქტის განხორციელების პერიოდში არ მოგვარდება ბანკისათვის მისაღები ფორმით.

4.3 ტენდერში მონაწილეს შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეობა და ის ექვემდებარება შეზღუდვებს „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.7 პარაგრაფის შესაბამისად. ტენდერში მონაწილე იმ შემთხვევაში ჩაითვლება ქვეყნის მოქალაქედ, თუ ტენდერში მონაწილე დაფუძნებულ და დარეგისტრირებულ იქნა ამ ქვეყანაში და მოქმედებს ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ამას ადასტურებენ მისი საწესდებო დოკუმენტი (ან ამ მოწმობის ექვივალენტური მისი სადამფუძნებლო ან ასოცირების დოკუმენტები) და რეგისტრაციის დოკუმენტები, სიტუაციიდან გამომდინარე. ეს კრიტერიუმი ასევე გამოყენებული უნდა იქნას შეთავაზებული ქვე-კონტრაქტორების ან ქვე-კონსულტანტების ეროვნების დასადგენად კონტრაქტის ნებისმიერი ნაწილისთვის, მასთან დაკავშირებული მომსახურებების ჩათვლით.

4.4. ტენდერის იმ მონაწილეს, რომლის მიმართაც ბანკმა გამოიყენა სანქცია ზემოაღნიშნული „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 3.1 პარაგრაფის შესაბამისად, მათ შორის „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრის“ ბანკის ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს თანახმად, არ აქვს უფლება გაიაროს წინასაკვალიფიკაციო შეფასება, ან წარადგინოს სატენდერო წინადადება, ან მასთან გაფორმდეს ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტი, ან მიიღოს ფინანსური თუ სხვა სახის სარგებელი ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს. შეზღუდული ფირმების და პირების სია ხელმისაწვდომია სატენდერო მონაცემთა ნუსხაში (სმნ) აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე.

4.5. ტენდერის იმ მონაწილეებს, რომლებიც არიან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები ან დაწესებულებები დამკვეთის ქვეყანაში, აქვთ მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ, ბანკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, დაასაბუთონ, რომ ისინი (i) არიან სამართლებრივად და ფინანსურად დამოუკიდებელი, (ii) მოქმედებენ სავაჭრო კანონმდებლობის შესაბამისად, და (iii) არ წარმოადგენენ დამკვეთზე დაქვემდებარებულ უწყებებს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა საწარმომ ან დაწესებულებამ, იმისათვის რომ ჰქონდეს მონაწილეობის უფლება, ყველა სათანადო დოკუმენტის მეშვეობით, რაშიც შედის მისი დებულება და სხვა ინფორმაცია, რაც შესაძლოა ბანკმა მოითხოვოს, უნდა დაამტკიცოს (დაასაბუთოს), რომ ის არის: (i) ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი; (ii) მიმდინარე პერიოდში არ იღებს მნიშვნელოვან სუბსიდიებს ან საბიუჯეტო დახმარებას; (iii) ფუნქციონირებს ნებისმიერი სხვა კომერციული საწარმოს მსგავსად, და, მათ შორის, არ არის ვალდებული, თავისი ჭარბი სავაჭრო ბალანსი სახელმწიფოს გადასცეს, შეუძლია მიიღოს უფლებები და დაეკისროს ვალდებულებები, ისევე როგორც ფინანსური სახსრები და პასუხისმგებელი იყოს თავისი ვალის გადახდაზე, და შეიძლება ბანკოტად გამოცხადდეს; და (iv) არ წარადგენს სატენდერო წინადადებას იმ კონტრაქტისათვის, რომელიც უნდა გააფორმოს იმ სახელისუფლებო დეპარტამენტმა ან უწყებამ, რომელიც თავისი მოქმედი კანონმდებლობის ან რეგულაციების მიხედვით

წარმოადგენს საწარმოს ანგარიშის მიმღებ ან ზედამხედველ ორგანოს, ან იმ უწყებასთან რომელსაც შესწევს უნარი გავლენა მოახდინოს ან კონტროლი განახორციელოს ამ საწარმოსა თუ დაწესებულებაზე.

4.6. ტენდერში მონაწილეს არ აქვს ჩამორთმეული ტენდერში მონაწილეობის უფლება დამკვეთის მიერ, სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის მოქმედების შედეგად.

4.7. ფირმებს და ინდივიდუალურ პირებს შეიძლება არ მიეცეთ ტენდერში მონაწილეობის უფლება, თუ ეს ამგვარადაა განსაზღვრული მე-V თავში და (ა) კანონმდებლობის ან ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად, მსესხებლის ქვეყანა კრძალავს ამ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობებს, იმ შემთხვევაში, თუ ბანკი თანახმაა, რომ ტენდერში მონაწილეობიდან ამგვარი ჩამოცილება ხელს არ უშლის ეფექტურ კონკურენციას საჭირო საქონლის მიწოდების ან სამუშაოების ან მომსახურებების კონტრაქტის დადებისათვის წარმატებული კონკურსის ჩატარებას; ან (ბ) შესაბამისობის აქტით, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით გაეროს წესდების მე-7 თავის მიხედვით, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს ამ ქვეყნიდან საქონლის იმპორტს ან სამუშაოების ან მომსახურებების კონტრაქტის დადებას ამ ქვეყანასთან, ან ამ ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი პირის ან ორგანიზაციისათვის ანგარიშსწორებების განხორციელებას.

4.8. ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მონაწილეობის უფლების დამადასტურებელი ისეთი საბუთი, რომელსაც დამკვეთი დასაბუთებულად მოითხოვს და რომელიც დააკმაყოფილებს დამკვეთს.

5. ნებადართული მასალები, აღჭურვილობა და მომსახურება

5.1. კონტრაქტის ფარგლებში მიწოდებული და ბანკის მიერ დაფინანსებული მასალები, აღჭურვილობა და მომსახურებები შეიძლება წარმოშობით იყოს ნებისმიერი იმ ქვეყნიდან, რომელიც ექვემდებარება V თავში - „მონაწილეობის უფლების მქონე ქვეყნები“ განსაზღვრულ შეზღუდვებს, და კონტრაქტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ამგვარ შეზღუდვებთან. დამკვეთის მოთხოვნით, ტენდერის მონაწილეს შესაძლოა მოეთხოვოს მასალების, აღჭურვილობის და მომსახურებების წარმომავლობის დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა.

ბ. სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსი

6. სატენდერო დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილები

6.1. სატენდერო დოკუმენტაცია შედგება I, II და III ნაწილებისგან, რომლებიც მოიცავენ ქვემოთ ჩამოთვლილ თავებს და განხილული უნდა იქნას ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის მე-8 პარაგრაფის შესაბამისად გამოცემულ დამატებებთან ერთად.

ნაწილი 1 - სატენდერო პროცედურები

თავი I - ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის
თავი II - სატენდერო მონაცემების ნუსხა

თავი III - შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

თავი IV - სატენდერო წინადადების ფორმები

თავი V - უფლებამოსილი ქვეყნები

თავი VI - ბანკის პოლიტიკა- კორუფციისა და თაღლითობის პრაქტიკა

ნაწილი 2 - სამუშაოთა მოთხოვნები

თავი VII - სამუშაოთა მოთხოვნები

ნაწილი 3 - კონტრაქტის პირობები და კონტრაქტის ფორმები

თავი VIII - კონტრაქტის ზოგადი პირობები

თავი IX - კონტრაქტის კონკრეტული პირობები

თავი X - კონტრაქტის ფორმები

6.2 დამკვეთის მიერ გამოცემული მოწვევა სატენდერო წინადადების წარდგენაზე არ წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილს.

6.3 დამკვეთი არ არის პასუხისმგებელი სატენდერო დოკუმენტაციის სისრულეზე, განმარტებისათვის შეკითხვებზე პასუხების, წინასატენდერო სხდომის (ამგვარის ჩატარების შემთხვევაში) ოქმების ან „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-8 პარაგრაფის შესაბამისად სატენდერო დოკუმენტების ცვლილებების სისრულეზე, თუ ეს დოკუმენტაცია უშუალოდ დამკვეთისგან არ არის გაცემული. ნებისმიერი წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უშუალოდ დამკვეთისაგან მიღებულ დოკუმენტებს.

6.4. ტენდერის მონაწილემ უნდა შეისწავლოს სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ყველა ინსტრუქცია, ფორმა, პირობა და სპეციფიკაცია და თავისი სატენდერო წინადადებით წარადგინოს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ამას ითხოვს სატენდერო დოკუმენტაცია.

7. სატენდერო დოკუმენტაციის განმარტება, ობიექტის მონახულება, წინასატენდერო შეხვედრა

7.1. ტენდერის მონაწილემ, რომელსაც რაიმე განმარტების მიღება სურს სატენდერო დოკუმენტაციის თაობაზე, წერილობით უნდა მიმართოს დამკვეთს სატენდერო მონაცემთა ნუსხაში მითითებულ მისამართზე, ან წამოჭრას ეს საკითხები წინასატენდერო შეხვედრის დროს, თუ ამგვარი შეხვედრის ჩატარება გათვალისწინებულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 7.4 პარაგრაფის შესაბამისად. დამკვეთმა წერილობით უნდა უპასუხოს განმარტების შესახებ თხოვნას, თუ ამგვარი თხოვნა მიღებული იქნა სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადამდე იმ პერიოდში, როგორც მითითებულია სატენდერო მონაცემთა ნუსხაში. დამკვეთმა თავისი განმარტების ასლი უნდა დაუგზავნოს ტენდერის ყველა მონაწილეს, რომელსაც შეიძინეს სატენდერო დოკუმენტაცია 6.3 პარაგრაფის დებულებების შესაბამისად. მისი განმარტება უნდა მოიცავდეს კითხვის აღწერას, ამ კითხვის წყაროს დასახელების გარეშე. თუ სატენდერო მონაცემთა ნუსხაში ამგვარადაა მითითებული, დამკვეთმა ასევე დაუყოვნებლივ უნდა გამოაქვეყნოს თავისი

განმარტება სატენდერო მონაცემთა ნუსხაში მითითებულ ვებ-გვერდზე. თუ მოთხოვნილი განმარტება გამოიწვევს სატენდერო დოკუმენტების არსებითი პირობების ცვლილებებს, დამკვეთმა სატენდერო დოკუმენტში უნდა შეიტანოს ცვლილება **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის”** მე-8 და 22.2 პარაგრაფებში მოცემული პროცედურების შესაბამისად.

- 7.2. ტენდერის მონაწილეს ეძლევა რეკომენდაცია, რომ მოინახულოს და შეისწავლოს ობიექტის ტერიტორია და მისი შემოგარენი და საკუთარი პასუხისმგებლობით მოიპოვოს მთელი ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს სატენდერო წინადადების მომზადებისა და სამშენებლო სამუშაოებზე კონტრაქტის გაფორმებისათვის. ობიექტის მონახულების ხარჯები ტენდერის მონაწილემ თვითონ უნდა გაილოს.
- 7.3. ზემოაღნიშნული მიზნებისათვის დამკვეთს შეუძლია ტენდერის მონაწილეს, მის თანამშრომლებს ან წარმომადგენლებს მისცეს თავისი შენობა-ნაგებობების და ფართობების მონახულების უფლება, მაგრამ მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ტენდერის მონაწილე, მისი თანამშრომლები ან წარმომადგენლები გაათავისუფლებენ დამკვეთს, მის თანამშრომლებსა და აგენტებს ამ ვიზიტთან დაკავშირებული ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან და თვითონ ტენდერის მონაწილე, იქნება პასუხისმგებელი ადამიანების დაღუპვაზე ან დაშავებაზე, საკუთრების დაკარგვასა და დაზიანებაზე და ნებისმიერი სხვა სახის დანაკარგზე, ზარალსა და ხარჯებზე, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ზემოაღნიშნული ვიზიტის დროს.
- 7.4. ტენდერის მონაწილის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მოწვეულია წინასატენდერო შეხვედრაზე დასასწრებად, თუ ამგვარი შეხვედრა გათვალისწინებულია სატენდერო მონაცემთა ნუსხაში. ამ შეხვედრის მიზანს წარმოადგენს იმ საკითხების გარკვევა და იმ კითხვებზე პასუხი, რომლებიც მოცემულ ეტაპზე შეიძლება წამოიჭრას.
- 7.5. ტენდერის მონაწილეებს მოეთხოვებათ, რომ შეძლებისდაგვარად კითხვები წერილობით იქნას წარმოდგენილი და დამკვეთმა ისინი მიიღოს შეხვედრის ჩატარებამდე არა უგვიანეს ერთი კვირით ადრე.
- 7.6. წინასატენდერო შეხვედრის ოქმი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ტენდერის მონაწილეების მიერ დასმული კითხვები და გაცემული პასუხები, ასევე შეხვედრის მერე მომზადებული ყველა პასუხი, ოპერატიულად დაეგზავნება ტენდერის ყველა იმ მონაწილეს, რომელმაც შეიძინა სატენდერო დოკუმენტაცია **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის”** 6.3 პარაგრაფის შესაბამისად. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს წინასატენდერო შეხვედრის შედეგად, დამკვეთმა სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა შეიტანოს მხოლოდ

დამატების გამოცემის გზით „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-8 პარაგრაფის შესაბამისად და არა წინასატენდერო შეხვედრის ოქმის საშუალებით. წინასატენდერო შეხვედრაზე დაუსწრებლობა არ გამოიწვევს ტენდერის მონაწილის დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა

- 8.1. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადამდე ნებისმიერ მომენტში დამკვეთს შეუძლია სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა დამატების გამოშვების გზით.
- 8.2. ნებისმიერი ამგვარი დამატება სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილს წარმოადგენს და დამკვეთმა ის წერილობით უნდა შეატყობონოს ტენდერის ყველა მონაწილეს, რომლებმაც შეიძინეს სატენდერო დოკუმენტაცია **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“** 6.3 პარაგრაფის შესაბამისად. ასევე, დამკვეთმა დაუყოვნებლივ უნდა გამოაქვეყნოს დამატება დამკვეთის ვებ-გვერდზე **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“** 7.1. პარაგრაფის შესაბამისად.
- 8.3. იმ მიზნით, რომ ტენდერის პოტენციურ მონაწილეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ სატენდერო დოკუმენტაციაში შესული ცვლილების გასათვალისწინებლად სატენდერო წინადადების მომზადების დროს, დამკვეთს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გააგრძელოს სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 22.2 პარაგრაფის შესაბამისად.

გ. სატენდერო წინადადების მომზადება

9. ტენდერში მონაწილეობის ხარჯები

- 9.1. სატენდერო წინადადების მომზადებისა და წარდგენის ყველა ხარჯს გაიღებს ტენდერის მონაწილე და დამკვეთი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ამ ხარჯებზე ტენდერის პროცესის ან მისი შედეგების მიუხედავად.

10. სატენდერო წინადადების ენა

- 10.1. დოკუმენტაცია და ტენდერის მონაწილესა და დამკვეთს შორის სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით წარმოებული კორესპონდენცია, შედგენილი უნდა იყოს იმ ენაზე, რომელიც მითითებულია **სატენდერო მონაცემების ნუსხაში**. დამხმარე დოკუმენტები და ნაბეჭდი მასალები, რომლებიც სატენდერო წინადადებების ნაწილს წარმოადგენს, შეიძლება სხვა ენაზე იყოს შედგენილი იმ პირობით, რომ მათ უნდა ახლდეს შესაბამისი ნაწყვეტების ზუსტი თარგმანი და სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციისას უპირატესობა თარგმანს მიენიჭება. სატენდერო წინადადება, ასევე მასთან დაკავშირებული

11. სატენდერო წინადადების შემადგენელი დოკუმენტები

- 11.1. სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
- (ა) სატენდერო განაცხადი „ინსტრუქციები ტენდერში

მონაწილეთათვის“ მე-12 პარაგრაფის შესაბამისად;

- (ბ) შევსებული უწყისები „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-12 და მე-14 პარაგრაფების შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია სატენდერო მონაცემების ნუსხაში;
- (გ) სატენდერო წინადადების გარანტია ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 19.1 პარაგრაფის შესაბამისად;
- (დ) ალტერნატიული სატენდერო წინადადებები, თუ ისინი დაშვებულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-13 პარაგრაფის შესაბამისად;
- (ე) სატენდერო წინადადების ხელმომწერის უფლებამოსილების წერილობითი დასტური „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 20.2 პარაგრაფის შესაბამისად;
- (ვ) ტენდერის მონაწილის მიერ კონტრაქტის შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-17 პარაგრაფის შესაბამისად, თუ მისი სატენდერო წინადადება მიღებული იქნება;
- (ზ) ტექნიკური წინადადება „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-16 პარაგრაფის შესაბამისად; და
- (თ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში.**

11.2. „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 11.1-ში მითითებული მოთხოვნების გარდა, ერთობლივი საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა მოიცავდეს ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულების ასლს, რომელიც ყველა წევრის მონაწილეობით არის გაფორმებული. ალტერნატივის სახით, შესაძლოა წარმოდგენილი იქნას განზრახვის წერილი ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ, რომელიც ყველა წევრის მიერ უნდა იქნას ხელმოწერილი და წარდგენილი სატენდერო წინადადებასთან და შემოთავაზებული ხელშეკრულების ასლთან ერთად.

11.3 ტენდერში მონაწილემ სატენდერო განაცხადში უნდა წარადგინოს ინფორმაცია მის სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული აგენტების ან ნებისმიერი სხვა მხარისათვის გადახდილი საკომისიოებისა და ფულადი ჯილდოების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გადახდილია.

ყველა ცარიელი ადგილი შევსებული უნდა იქნას მოთხოვნილი ინფორმაციით.

12. სატენდერო განაცხადი და

12.1. სატენდერო განაცხადი და უწყისები უნდა მომზადდეს IV თავში (სატენდერო ფორმები) მოცემული ფორმების

უწყისები	გამოყენებით. აღნიშნული ფორმები შევსებული უნდა იქნას ტექსტში ცვლილების გარეშე, დაშვებული არ არის რაიმე სახის ჩანაცვლება, გარდა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 20.2 პარაგრაფში აღნიშნულისა. ყველა ცარიელი ადგილი შევსებული უნდა იქნას მოთხოვნილი ინფორმაციით.
13. ალტერნატიული სატენდერო წინადადება	<p>13.1. თუ სატენდერო მონაცემთა ნუსხაში სხვაგვარად არ არის მითითებული, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.</p> <p>13.2. როდესაც ტენდერის მონაწილეებისაგან მკაფიოდ ითხოვენ ობიექტის დასრულების ალტერნატიული ვადების წარმოდგენას, ეს მითითებული უნდა იქნას სატენდერო მონაცემთა ნუსხაში და ასევე დასრულების სხვადასხვა ვადების შეფასების მეთოდი.</p> <p>13.3. გარდა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 13.4 პარაგრაფში აღნიშნულისა, იმ ტენდერის მონაწილეებმა, რომლებსაც სურთ სატენდერო დოკუმენტაციის ალტერნატიული ტექნიკური წინადადებების წარდგენა, ჯერ უნდა განაფასონ დამკვეთის პროექტი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაშია აღწერილი და შემდეგ უნდა წარმოადგინონ მთელი ის ინფორმაცია, რომელიც დასჭირდება დამკვეთს ალტერნატიული წინადადების სრულყოფილი შეფასებისათვის, ნახაზების, საპროექტო გაანგარიშებების, ტექნიკური სპეციფიკაციების, ხარჯების გაწერის, მშენებლობის შემოთავაზებული მეთოდების და სხვა შესაბამისი მონაცემების ჩათვლით. დამკვეთი განიხილავს მხოლოდ ყველაზე დაბალფასიან ტექნიკურ ალტერნატივებს, რომლებიც პასუხობს ძირითად ტექნიკურ მოთხოვნებს.</p> <p>13.4. სატენდერო მონაცემთა ნუსხაში შესაბამისი მითითების არსებობის შემთხვევაში, ტენდერის მონაწილეებს აქვთ უფლება წარმოადგინონ ალტერნატიული ტექნიკური გადაწყვეტილებები სამუშაოთა გარკვეულ ნაწილებზე. სამუშაოთა ეს ნაწილები აღნიშნული იქნება სატენდერო მონაცემთა ნუსხაში და აღწერილი იქნება VII თავში (სამუშაოთა მოთხოვნები). ამ ალტერნატივების შეფასების მეთოდი აღწერილი იქნება III თავში (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები).</p>
14. სატენდერო წინადადების ფასები და ფასდაკლება	<p>14.1. ტენდერის მონაწილის მიერ სატენდერო განაცხადში და უწყისებში წარმოდგენილი ფასები და ფასდაკლება ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.</p> <p>14.2. ტენდერის მონაწილის წინადადება უნდა მოიცავდეს მთელს ობიექტს, რომელიც „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 1.1 პარაგრაფში არის აღწერილი, და მითითებული უნდა იყოს ფასები სამუშაოთა ყველა მუხლისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია IV თავში (სატენდერო ფორმები). ერთეულგანფასებებიანი კონტრაქტის შემთხვევაში, ტენდერის მონაწილემ უნდა მიუთითოს სამუშაოთა მოცულობების უწყისში (ხარჯთაღრიცხვაში) მოცემული ყველა მუხლის განაკვეთები და ფასები. დამკვეთი</p>

არ აანაზღაურებს იმ სამუშაოებს, რომლებისთვისაც არ არის მითითებული ერთეული განაკვეთები და ფასები. მიჩნეული იქნება, რომ ეს ხარჯები დაიფარება სამუშაოთა მოცულობების უწყისში აღნიშნული სხვა მუხლების განაკვეთებისა და ფასების ხარჯზე.

- 14.3. სატენდერო განაცხადში მითითებული ფასი წარმოადგენს მთლიანად სატენდერო წინადადების ფასს შემოთავაზებული ფასდაკლების გამოკლებით.
- 14.4. ფასდაკლებები (თუ ისინი გათვალისწინებულია) და მათი გამოყენების მეთოდიკა აღნიშნული უნდა იყოს სატენდერო განაცხადი, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 12.1 პარაგრაფის შესაბამისად.
- 14.5. **თუ სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** და კონტრაქტის პირობებში სხვაგვარად არ არის მითითებული, ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი ფასები ფიქსირებული უნდა იყოს. თუ კონტრაქტის განხორციელების დროს ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი ფასები კონტრაქტის განხორციელების დროს ექვემდებარება კორექტირებას კონტრაქტის პირობების შესაბამისად, ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ინდექსები და კოეფიციენტები ფასების კორექტირების ფორმულისათვის, რომელიც IV თავის (სატენდერო ფორმები) კორექტირების ცხრილშია წარმოდგენილი, იქვე მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად.
- 14.6. თუ „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 1.1 პარაგრაფში ამგვარად არის მითითებული, შესაძლებელია სატენდერო წინადადებების მოწვევა ცალკეულ ლოტებზე (პაკეტებზე) ან ლოტების (პაკეტების) კომბინაციაზე. ტენდერის მონაწილეებმა, რომელთაც სურთ ფასის შემცირების შეთავაზება ერთზე მეტი კონტრაქტის მინიჭებისათვის, თავის სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითონ თითოეული პაკეტისათვის, (ან ალტერნატივის სახით, პაკეტის ფარგლებში ცალკეული კონტრაქტისათვის) გათვალისწინებული ფასის შემცირება. ფასის შემცირება ან ფასდაკლება წარმოდგენილი უნდა იქნას „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 14.4 პარაგრაფის შესაბამისად იმ პირობით, თუ ყველა კონტრაქტის სატენდერო წინადადებები ერთდროულად იქნება წარდგენილი და გახსნილი.
- 14.7. ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, რომელიც კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს კონტრაქტის ფარგლებში, ან ნებისმიერი სხვა მიზნებისათვის, სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადამდე 28 დღით ადრე, შეტანილი უნდა იქნას ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილ ერთეულ განფასებებსა და ფასებში და სატენდერო წინადადების მთლიან ფასში.
15. **სატენდერო წინადადების ვალუტა და**
- 15.1. სატენდერო წინადადებისა და გადახდის ვალუტ(ებ)ი უნდა იყოს იგივე, რაც მითითებულია **სატენდერო მონაცემების ნუსხაში**.

გადახდა

- 15.2. ა/გ
16. ტექნიკური წინადადების შემადგენელი დოკუმენტები
- 16.1. ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ტექნიკური წინადადება, რომელიც მოიცავს სამუშაოთა წარმოების მეთოდს, აღჭურვილობას, პერსონალს, გრაფიკს და ყველა სხვა ინფორმაციას IV თავის (სატენდერო ფორმები) მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რომ წარმოაჩინოს ტენდერის მონაწილის წინადადების ადეკვატურობა სამუშაოების მოთხოვნებისა და დასრულების ვადის დასაკმაყოფილებლად.
17. ტენდერის მონაწილის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- 17.1. III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) შესაბამისად ტენდერის მონაწილემ კონტრაქტის შესრულებისათვის საჭირო თავისი კვალიფიკაციის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს IV თავში (სატენდერო ფორმები) მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაცია.
- 17.2. ა/გ
18. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა
- 18.1. სატენდერო წინადადება ძალაში რჩება დამკვეთის მიერ დადგენილი სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადის შემდეგ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მითითებულია **სატენდერო მონაცემების ნუსხაში**, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 22.1 პარაგრაფის შესაბამისად. უფრო მოკლე მოქმედების ვადის მქონე სატენდერო წინადადებები უარყოფილი იქნება დამკვეთის მიერ, როგორც შეუსაბამო.

18.2. გამონაკლის შემთხვევებში სატენდერო წინადადების ვადის გასვლამდე დამკვეთს შეუძლია სთხოვოს ტენდერის მონაწილეებს მათი წინადადებების მოქმედების ვადის გაგრძელება. აღნიშნული თხოვნა და მასზე პასუხი წერილობით უნდა გაკეთდეს. თუ „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-19 პარაგრაფის შესაბამისად, აუცილებელია სატენდერო წინადადების გარანტიის წარდგენა, შესაბამისად გაგრძელებული ბოლო ვადის მიღმა ოცდარვა (28) დღით უნდა გაგრძელდეს ამ გარანტიის მოქმედების ვადაც. ტენდერის მონაწილეს შეუძლია ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმა და ამ უარის შედეგადაც მას არ ჩამოერთმევა სატენდერო წინადადების გარანტია. ტენდერის იმ მონაწილეს, რომელიც დათანხმდება აღნიშნულ მოთხოვნაზე, არ მოეთხოვება და უფლება არ აქვს შეიტანოს ცვლილებები თავის სატენდერო წინადადებაში, თუკი ეს მოთხოვნილი არ არის „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 18.3 პარაგრაფის შესაბამისად.

18.3 თუ კონტრაქტის მინიჭება გადაიდება სატენდერო წინადადების მოქმედების თავდაპირველი ვადის გასვლის შემდეგ 56 (ორმოცდათექვსმეტი) დღეზე მეტი დროით, კონტრაქტის ფასი უნდა დაკორექტირდეს შემდეგნაირად:

(ა)ფიქსირებულფასიანი კონტრაქტის შემთხვევაში, კონტრაქტის ღირებულება უნდა იყოს სატენდერო წინადადების ღირებულება, რომელიც შესწორებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** მითითებული ფაქტორით.

(ბ)რეგულირებადი (კორექტირებადი) ღირებულების მქონე კონტრაქტებისათვის, კორექტირება არ უნდა მოხდეს.

(გ)ნებისმიერ შემთხვევაში, სატენდერო წინადადების შეფასება ეფუძნება სატენდერო წინადადების ღირებულებას, ზემოთ მითითებული გამოსაყენებელი შესწორებების გაუთვალისწინებლად.

19. სატენდერო წინადადების გარანტია

19.1. ტენდერის მონაწილემ როგორც სატენდერო წინადადების ნაწილი, უნდა წარმოადგინოს ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ან სატენდერო წინადადების გარანტიის დედანი, როგორც **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** არის აღნიშნული. სატენდერო წინადადების გარანტიის შემთხვევაში გარანტიის თანხა უნდა იყოს იმ ოდენობის და იმ ვალუტაში, რომელიც მითითებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში**.

19.2. სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია უნდა მომზადდეს IV თავში (სატენდერო ფორმები) წარმოდგენილი ფორმის გამოყენებით.

19.3. თუ საჭიროა სატენდერო წინადადების გარანტიის წარდგენა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 19.1 პარაგრაფის შესაბამისად, სატენდერო წინადადების გარანტია უნდა იყოს მოთხოვნილი გარანტია ტენდერის მონაწილის მიერ არჩეული ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი ფორმით:

(ა) უპირობო საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ (მაგალითად, სადაზღვევო კომპანია, კომპანია-გარანტი ან კომპანია, რომელიც ახდენს თავდებობით აღებული ვალდებულებების დაზღვევას);

(ბ) შეუქცევადი აკრედიტივი;

(გ) საბანკო ან დამოწმებული ჩეკი; ან

(დ) სხვა გარანტია, რომელიც მითითებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში**.

ყველა მათგანი გაცემული უნდა იყოს უფლებამოსილი ქვეყნის სანდო წყაროდან. თუ უპირობო საბანკო გარანტია გაცემულია კომპანიის მიერ, რომელიც მდებარეობს დამკვეთის ქვეყნის გარეთ, მას უნდა ჰქონდეს საკორესპონდენტო საფინანსო ინსტიტუტი დამკვეთის ქვეყანაში, რათა შეძლოს მისი უზრუნველყოფა. საბანკო გარანტიის შემთხვევაში, გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ან IV თავში (სატენდერო ფორმები) მოცემული სატენდერო წინადადების საბანკო გარანტიის ფორმით ან სხვა, არსებითად მსგავსი ფორმით, რომელიც დამტკიცებული უნდა იქნას დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე. სატენდერო წინადადების გარანტია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების ვადის გასვლის შემდეგ ოცდარვა (28) დღის განმავლობაში ან გაგრძელებული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ვადის ამგვარი გაგრძელება მოთხოვნილი იქნა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 18.2 პარაგრაფის შესაბამისად.

19.4 თუ „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 19.1 პარაგრაფში მითითებულია სატენდერო წინადადების გარანტია ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია შესაბამისად, ნებისმიერი სატენდერო წინადადება, რომელსაც არ ახლავს მოთხოვნებთან არსებითად შესაბამისი სატენდერო წინადადების გარანტია ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია უარყოფილი იქნება დამქირავებლის მიერ, როგორც მოთხოვნებთან შეუსაბამო.

19.5 თუ „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 19.1 პარაგრაფის შესაბამისად საჭიროა სატენდერო წინადადების გარანტია, ტენდერში დამარცხებულ მონაწილეებს მათი გარანტიები მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაუბრუნდებათ მას შემდეგ რაც, ტენდერის გამარჯვებული მონაწილე წარადგენს კონტრაქტის შესრულების გარანტიას „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 42-ე პარაგრაფის შესაბამისად.

19.6 ტენდერში გამარჯვებულ მონაწილეს მისი გარანტია მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაუბრუნდება მას შემდეგ რაც, ტენდერში გამარჯვებული მონაწილე ხელს მოაწერს კონტრაქტს და წარმოადგენს კონტრაქტის შესრულების გარანტიას.

19.7 სატენდერო წინადადების გარანტიის ჩამორთმევა ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის აღსრულება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ

(ა) ტენდერში მონაწილე გაიწვევს სატენდერო წინადადებას მისი

მოქმედების ვადის პერიოდში, რომელიც ტენდერის მონაწილის მიერ სატენდერო განაცხადის წერილშია აღნიშნული, ან ტენდერის მონაწილის მიერ გაგრძელებული ვადის განმავლობაში; ან

(ბ) თუ ტენდერში გამარჯვებული მონაწილე:

(i) არ მოაწერს ხელს კონტრაქტს „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ პარაგრაფის 41 შესაბამისად;

(ii) არ წარმოადგენს კონტრაქტის შესრულების გარანტიას „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 42-ე პარაგრაფის შესაბამისად.

19.8. ერთობლივი საწარმოს სატენდერო წინადადების გარანტია ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია სატენდერო წინადადების წარმომდგენი ერთობლივი საწარმოს სახელით უნდა იყოს წარმოდგენილი. თუ ტენდერის ჩატარების მომენტისათვის ერთობლივი საწარმო ჯერ არ არის იურიდიულად დაფუძნებული, სატენდერო წინადადების გარანტია ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია უნდა გაკეთდეს ყველა იმ მომავალი პარტნიორის სახელით, რომლებიც „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.1 და 11.2 პარაგრაფებში მოხსენიებულია ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ განზრახვის წერილში.

19.9. თუ წინადადების გარანტია არ არის მოთხოვნილი **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** და

(ა) თუ ტენდერის მონაწილე გამოიხმობს თავის წინადადებას, სატენდერო განაცხადში მითითებულ წინადადების მოქმედების ვადაში, ან

(ბ) თუ ტენდერის მონაწილე გამარჯვების შემთხვევაში ვერ შეძლებს: ხელი მოაწეროს კონტრაქტს “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” 41-ე პარაგრაფის მიხედვით, ან; კონტრაქტის შესრულების გარანტიის წარმოდგენას “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” 42-2 პარაგრაფის შესაბამისად;

მსესხებელს შეუძლია, თუკი ეს გათვალისწინებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში**, გამოაცხადოს ტენდერში მონაწილე დისკვალიფიცირებულად დამკვეთის მიერ კონტრაქტის მინიჭებაზე **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** მითითებული პერიოდის განმავლობაში.

20. სატენდერო წინადადების ფორმა და ხელმოწერა

20.1. „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 1.1 პარაგრაფის შესაბამისად ტენდერის მონაწილემ უნდა მოამზადოს სატენდერო წინადადების შემადგენელი დოკუმენტაციის ერთი ორიგინალი, რომელზედაც იქნება აღნიშვნა „**ორიგინალი**“. ალტერნატიული წინადადებებზე, თუ ისინი დაშვებულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-13 პარაგრაფის შესაბამისად, უნდა იყოს აღნიშვნა „**ალტერნატიული**“. ამასთან ერთად ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ასლები იმ რაოდენობით, რომელიც მითითებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** და ყოველ ასლზე უნდა იყოს აღნიშვნა „ასლი“. ორიგინალსა და ასლებს შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ორიგინალს.

20.2. სატენდერო წინადადების ორიგინალი და ასლები უნდა იყოს ან დაბეჭდილი ან დაწერილი წაშლელი მელნით. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს ტენდერის მონაწილის სახელით სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ. ეს უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს წერილობითი დოკუმენტით, როგორც მითითებულია **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** და აღნიშნული დოკუმენტი სატენდერო წინადადებაზე უნდა იყოს დართული. უფლებამოსილების მინიჭების დოკუმენტის ხელმომწერი თითოეული პირის სახელი და თანამდებობა დაწერილი ან დაბეჭდილი უნდა იყოს მისი ხელმოწერის ქვეშ. სატენდერო წინადადების ყველა იმ გვერდს, სადაც გაკეთებულია ჩანაწერები ან შესწორებები, ხელი უნდა მოაწეროს ან ინიციალები დაუსვას სატენდერო წინადადებაზე ხელმომწერმა პირმა.

20.3. თუ ტენდერში მონაწილე არის ერთობლივი საწარმო, სატენდერო წინადადებაზე ერთობლივი საწარმოს სახელით ხელი უნდა მოაწეროს ერთობლივი საწარმოს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, და იმისათვის, რომ ყველა წევრისათვის სავალდებულო ძალა ჰქონდეს, როგორც ეს მინდობილობაშია აღნიშნული, მას ასევე ხელი უნდა მოაწერონ მათმა იურიდიულად უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა.

20.4 სტრიქონებს შორის არსებული ნებისმიერი ჩანართი, გადაშლილი ან ზემოდან გადაწერილი ფრაზები ძალაში რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილია ან მათზე ინიციალებია დასმული სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის მიერ.

დ. სატენდერო წინადადების წარდგენა და გახსნა

21. სატენდერო წინადადებების დალუქვა და მარკირება

21.1. ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ორიგინალი და ყველა ასლი, ალტერნატიული სატენდერო წინადადებების ჩათვლით, თუ ეს დაშვებულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-13 პარაგრაფის შესაბამისად, ცალ-ცალკე დალუქულ კონვერტებში, და გაუკეთოს შესაბამისი აღნიშვნები, „ორიგინალი“, „ალტერნატიული“ და „ასლი“. ეს კონვერტები, რომლებიც შეიცავენ ორიგინალს და ასლებს უნდა მოთავსდეს ერთ საერთო კონვერტში.

21.2 შიდა და გარე კონვერტებზე აღნიშნული უნდა იყოს:

(ა) ტენდერის მონაწილის სახელი და მისამართი;

(ბ) ის, რომ წინადადების ადრესატი არის დამკვეთი, **სატენდერო მონაცემების ნუსხის 22.1** პარაგრაფის შესაბამისად;

(გ) სატენდერო ვაჭრობის საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც

მოცემულია სატენდერო მონაცემების ნუსხის 1.1 პარაგრაფში;

(დ) გაფრთხილება, რომ კონვერტი არ იქნას გახსნილი სატენდერო წინადადების გახსნის თარიღისა და დროის დადგომამდე.

21.3. თუ რომელიმე კონვერტი არ არის მოთხოვნის შესაბამისად დალუქული და მარკირებული, დამკვეთი არ აგებს პასუხს სატენდერო წინადადების დაკარგვაზე ან ნაადრევ გახსნაზე.

22. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა

22.1. სატენდერო წინადადებები დამკვეთმა უნდა მიიღოს იმ მისამართზე არაუგვიანეს იმ თარიღსა და დროისა, როგორც **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** არის მითითებული. თუ **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** ამგვარად არის აღნიშნული, ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი სატენდერო წინადადებების ელექტრონული ფორმატით წარდგენის არჩევანი. ტენდერში მონაწილეებმა, რომლებიც თავიანთ სატენდერო წინადადებებს ელექტრონული ფორმატით წარადგენენ, უნდა დაიცვან **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** მითითებული სატენდერო წინადადების ელექტრონული ფორმატით წარდგენის პროცედურები.

22.2. დამკვეთს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გააგრძელოს სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილების გზით „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-8 პარაგრაფის შესაბამისად. ამ შემთხვევაში გაგრძელებული ვადა ეხება დამკვეთისა და ტენდერის მონაწილეების ყველა უფლება-მოვალეობას, რომელიც სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადასთან არის დაკავშირებული.

23. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები

23.1. დამკვეთი არ განიხილავს იმ სატენდერო წინადადებებს, რომლებიც წარმოდგენილი იქნა სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 22-ე პარაგრაფის შესაბამისად. სატენდერო წინადადებების ვადის გასვლის შემდეგ მიღებული ნებისმიერი წინადადება დამკვეთის მიერ გამოცხადდება დაგვიანებულად, უარყოფილი იქნება და გაუხსნელად დაუბრუნდება ტენდერის მონაწილეს.

24. სატენდერო წინადადების გამოხმობა, ჩანაცვლება და მოდიფიცირება

24.1. სატენდერო წინადადების წარდგენის შემდეგ ტენდერის მონაწილეს შეუძლია ამ წინადადების გამოხმობა, ჩანაცვლება ან მოდიფიცირება უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. ეს შეტყობინება უნდა შეიცავდეს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 20.2 პარაგრაფის შესაბამისად (გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც გამოხმობის შესახებ შეტყობინება არ ითხოვს ასლებს). წერილობით შეტყობინებას უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების შესაბამისი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება. ყველა შეტყობინება:

(ა) უნდა მომზადდეს და წარდგენილი უნდა იქნას „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-20 და 21-ე

პარაგრაფების შესაბამისად (გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც გამოხმობის შესახებ შეტყობინება არ მოითხოვს ასლებს) და კონვერტებზე უნდა იყოს შესაბამისი აღნიშვნა „გამოხმობა“, „ჩანაცვლება“, „მოდუფიცირება“.

(ბ) მიღებული უნდა იქნას დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის გასვლამდე „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 22-ე პარაგრაფის შესაბამისად.

24.2. „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 24.1 პარაგრაფის შესაბამისად გამოხმობილი სატენდერო წინადადები გაუხსნელად უნდა დაუბრუნდეს ტენდერის მონაწილეებს.

24.3. დაუშვებელია სატენდერო წინადადებების გამოხმობა, ჩანაცვლება ან მოდიფიცირება შუალედურ პერიოდში სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადასა და სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადის (რომელიც სატენდერო წინადადებაშია მითითებული) ან მისი გაგრძელების ვადის გასვლას შორის.

25. სატენდერო წინადადებების გახსნა

25.1. გარდა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 23-ე და 24-ე პარაგრაფებში აღნიშნული შემთხვევების, დამკვეთმა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 25.3 პარაგრაფის შესაბამისად, საჯაროდ უნდა გახსნას და წაკითხოს ბოლო ვადისათვის მიღებული ყველა სატენდერო წინადადება, იმ დღეს, იმ საათსა და იმ ადგილზე, როგორც არის **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** მითითებული, ტენდერში მონაწილეების მიერ დანიშნული წარმომადგენლების და იმ ნებისმიერი პირის თანდასწრებით, ვინც დასწრების სურვილს გამოთქვამს. ელექტრონული ფორმატით წარდგენილი ნებისმიერი კონკრეტული სატენდერო წინადადების გახსნის პროცედურები (რომლებიც საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების ელექტრონული ფორმატით წარდგენა ნებადართულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 22.1 პარაგრაფის შესაბამისად) უნდა წარიმართოს **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** აღნიშნული პროცედურების შესაბამისად.

25.2. პირველად, გახსნილი და წაკითხული უნდა იქნას ის კონვერტები, რომლებზედაც არის აღნიშვნა „გამოხმობა“ და ამ სატენდერო წინადადების კონვერტი გაუხსნელად უნდა დაუბრუნდეს ტენდერის მონაწილეს. დაუშვებელია სატენდერო წინადადების გამოხმობა, თუ გამოხმობის შესახებ შეტყობინებას არ ახლავს გამოხმობის მოთხოვნის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წაკითხული უნდა იქნას სატენდერო წინადადებების გახსნის დროს. ამის შემდეგ, უნდა გაიხსნას და წაკითხული იქნას კონვერტები აღნიშვნით „ჩანაცვლება“ და მათში

ჩადებული სატენდერო წინადადება უნდა ჩაენაცვლოს ადრე წარდგენილს. ჩანაცვლებული სატენდერო წინადადება გაუხსნელად უნდა დაუბრუნდეს ტენდერის მონაწილეს. დაუშვებელია სატენდერო წინადადების ჩანაცვლება, თუ ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებას არ ახლავს ჩანაცვლების მოთხოვნის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წაკითხული უნდა იქნას სატენდერო წინადადებების გახსნის დროს. კონვერტი აღნიშნით „მოდისციფიცირება“ გახსნილი და წაკითხული უნდა იქნას შესაბამის სატენდერო წინადადებასთან ერთად. დაუშვებელია სატენდერო წინადადების მოდიფიცირება, თუ მოდიფიცირების შესახებ შეტყობინებას არ ახლავს მოდიფიცირების მოთხოვნის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წაკითხული უნდა იქნას სატენდერო წინადადებების გახსნის დროს. შემდგომ განხილვას ექვემდებარება მხოლოდ ის კონვერტები, რომლებიც გახსნილი და წაკითხული იქნა სატენდერო წინადადებების გახსნის დროს.

- 25.3 ყველა დანარჩენი კონვერტი სათითაოდ უნდა იქნას გახსნილი და ამოკითხული: ტენდერში მონაწილის სახელი და არის თუ არა შეტანილი მასში მოდიფიკაცია; სატენდერო წინადადების საერთო ღირებულება, ცალკეული ლოტისათვის (კონტრაქტისთვის), ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ფასდაკლების და ალტერნატიული სატენდერო წინადადებების ჩათვლით; სატენდერო წინადადების გარანტიის ან სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის არსებობა ან არარსებობა, მათი საჭიროების შემთხვევაში; და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც დამკვეთი მიზანშეწონილად მიიჩნევს. სატენდერო წინადადებების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ის ფასდაკლებები და ალტერნატიული წინადადებები, რომლებიც ამოკითხული იქნება სატენდერო წინადადებების გახსნის დროს. დამკვეთის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ესწრებიან სატენდერო წინადადების გახსნის პროცესს, საკუთარი ინიციალები უნდა დაასვან სატენდერო განაცხადს და უწყისებს, **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** აღნიშნული ფორმით. დამკვეთს არ აქვს უფლება, განიხილოს რომელიმე სატენდერო წინადადების დამსახურებები, ან უარყოს რომელიმე სატენდერო წინადადება (გარდა დაგვიანებული სატენდერო წინადადებებისა, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 23.1 პარაგრაფის შესაბამისად)
- 25.4. დამკვეთმა უნდა შეადგინოს სატენდერო წინადადებების გახსნის ოქმი, რომელშიც როგორც მინიმუმ, აღნიშნული უნდა იყოს: ტენდერის მონაწილის სახელი და განხორციელდა თუ არა წინადადების გამოხმობა, ჩანაცვლება ან მოდიფიცირება, სატენდერო წინადადების ფასი (ცალკეული ლოტების (კონტრაქტების) მიხედვით, ყველა ფასდაკლებისა და ალტერნატიული წინადადებების ჩათვლით, სატენდერო

წინადადების გარანტიის არსებობა-არარსებობა, თუ ამგვარი გარანტია მოთხოვნილი იყო. ტენდერის მონაწილეების წარმომადგენლებს, რომლებიც ესწრებიან სატენდერო წინადადებების გახსნას, უნდა ეთხოვოთ ზემოაღნიშნული ოქმის ხელმოწერა. ოქმზე ტენდერის მონაწილის ხელმოწერის არარსებობა არ აუქმებს ოქმის შინაარსსა და იურიდიულ ძალას. ოქმის ასლი უნდა დაურიგდეს ტენდერის ყველა მონაწილეს.

ე. სატენდერო წინადადებების შეფასება და შედარება

- 26. კონფიდენციალურობა**
- 26.1. სატენდერო წინადადებების შეფასების, და კონტრაქტის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ უნდა ეცნობოს ტენდერის მონაწილეებს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც ამ პროცესში ოფიციალურად არ არის ჩართული, მანამდე, სანამ კონტრაქტის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ ეცნობება ტენდერის ყველა მონაწილეს, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ პარაგრაფის 40 შესაბამისად.
- 26.2. ტენდერის მონაწილის ნებისმიერმა მცდელობამ გავლენა მოახდინოს დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების შეფასებასა და კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, შეიძლება გამოიწვიოს სატენდერო წინადადების უარყოფა.
- 26.3. „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 26.2 პარაგრაფის დებულებების მიუხედავად, სატენდერო წინადადებების გახსნიდან კონტრაქტის მინიჭებამდე პერიოდში თუ ტენდერის მონაწილე მოინდომებს დამკვეთთან დაკავშირებას სატენდერო პროცესთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე, მას ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ წერილობითი ფორმით.
- 27. სატენდერო წინადადების განმარტება**
- 27.1. სატენდერო წინადადების შესწავლაში, შეფასებასა და შედარებაში ასევე, გამოცდილების განსაზღვრისათვის დახმარების მიზნით, დაკვეთმა საკუთარი შეხედულებისამებრ შეიძლება მოსთხოვოს ტენდერის მონაწილეს სატენდერო წინადადების განმარტების წარმოდგენა გონივრულ ვადებში. ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილი განმარტება, რომელიც არ წარმოადგენს დამკვეთის მოთხოვნაზე პასუხს, არ იქნება განხილული. დამკვეთის მოთხოვნა განმარტების წარმოდგენის შესახებ და ტენდერის მონაწილის პასუხი წერილობით უნდა განხორციელდეს. აკრძალულია ფასების ნებისმიერი თვითნებური გაზრდა ან შემცირება, ან სატენდერო წინადადების შინაარსის ცვლილების მოთხოვნა, შეთავაზება ან დაშვება, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც საჭიროა დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების შეფასების დროს აღმოჩენილი არითმეტიკული შეცდომების გასწორების დადასტურება „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 31-ე პარაგრაფის შესაბამისად.

- 27.2. თუ ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს სატენდერო წინადადების განმარტებას იმ თარიღისა და დროისათვის, რომელსაც დამკვეთი მიუთითებს განმარტების შესახებ მოთხოვნაში, მისი სატენდერო წინადადება შეიძლება უარყოფილი იქნას.
- 28. გადახრები, დათქმები და გამოტოვებები**
- 28.1. სატენდერო წინადადებების შეფასების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი განსაზღვრებები:
- (ა) „გადახრა“ ნიშნავს სატენდერო დოკუმენტაციაში დადგენილი მოთხოვნებიდან გადახვევას;
- (ბ) „დათქმა“ ნიშნავს რაიმე შემზღუდავი პირობების დაწესებას ან სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული მოთხოვნების სრულად მიღებაზე უარის თქმას.
- (გ) „გამოტოვება“ ნიშნავს, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად არ არის წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტები.
- 29. შესაბამისობის დადგენა**
- 29.1. დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების შესაბამისობის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს თვითონ სატენდერო წინადადების შინაარსს, როგორც განსაზღვრულია „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-11 პარაგრაფში.
- 29.2. სატენდერო წინადადება არსებითად შესაბამისად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს რაიმე არსებითი ხასიათის გადახრების, დათქმების ან გამოტოვების გარეშე. არსებითი ხასიათის გადახრა, დათქმა ან გამოტოვება არის იმგვარი გადახრა, დათქმა ან გამოტოვება, რომელიც:
- (ა) მისი მიღების შემთხვევაში
- (i) არსებით გავლენას მოახდენს კონტრაქტში მითითებული სამუშაოების მოცულობაზე, ხარისხზე ან განხორციელებაზე;
- (ii) არსებითად შეზღუდავს, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამოდ, დამკვეთის უფლებებს ან ტენდერის მონაწილის ვალდებულებებს შემოთავაზებული კონტრაქტის ფარგლებში.
- (ბ) მისი გასწორების შემთხვევაში, ის უსამართლო ზეგავლენას მოახდენს ტენდერის იმ მონაწილეების კონკურენტუნარიანობაზე, რომლებმაც არსებითად შესაბამისი სატენდერო წინადადებები წარმოადგინეს.
- 29.3. დამკვეთი შეისწავლის სატენდერო წინადადების ტექნიკურ ასპექტებს, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-16 პარაგრაფის ‘ტექნიკური წინადადება’ შესაბამისად, იმაში დასარწმუნებლად, რომ ის აკმაყოფილებს VII თავის (სამუშაოთა მოთხოვნები) ყველა მოთხოვნას რაიმე არსებითი გადახრის, დათქმის ან გამოტოვების გარეშე.

- 29.4. თუ სატენდერო წინადადება არსებითად არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ის უარყოფილი უნდა იქნას დამკვეთის მიერ და დაუშვებელია მისი შესაბამისობაში მოყვანა არსებითი ხასიათის გადახრების, დათქმებისა და გამოტოვებების გასწორების გზით.
- 30. შეუსაბამობები, შეცდომები და გამოტოვებები**
- 30.1. თუ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს, დამკვეთს შეუძლია შეუსაბამობების იგნორირება.
- 30.2. თუ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს, დამკვეთს შეუძლია მოითხოვოს ტენდერის მონაწილისაგან მისაღებ ვადებში იმ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც საჭიროა სატენდერო წინადადების დოკუმენტაციის მოთხოვნებთან დაკავშირებული უმნიშვნელო ხასიათის შეუსაბამობების გასასაწორებლად. ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნა ამგვარ შეუსაბამობებთან დაკავშირებით არ უნდა ეხებოდეს სატენდერო წინადადების ფასის რაიმე ასპექტს. ტენდერის მონაწილის მიერ ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მისი სატენდერო წინადადება შეიძლება უარყოფილი იქნას.
- 30.3. თუ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს, დამკვეთმა უნდა გაასწოროს სატენდერო წინადადების ფასთან დაკავშირებული უმნიშვნელო ხასიათის რაოდენობრივი შეუსაბამობა. ამ მიზნით დასაშვებია სატენდერო წინადადების ფასის კორექტირება გამოტოვებული ან შეუსაბამო მუხლის ან კომპონენტის ფასის საჩვენებლად მხოლოდ შედარების მიზნებისათვის. აღნიშნული კორექტირება უნდა განხორციელდეს III თავში (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) აღწერილი მეთოდების გამოყენებით.
- 31. არითმეტიკული შეცდომების გასწორება**
- 31.1 იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადება არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს, დამკვეთი გაასწორებს არითმეტიკულ შეცდომებს შემდეგ საფუძველზე:
- (ა) მხოლოდ ერთეულფასიანი კონტრაქტებისათვის, თუ არსებობს შეუსაბამობა ერთეულ განფასებასა და ამ განფასების მოცულობაზე გამრავლების შედეგად მიღებულ მთლიან ფასს შორის, უპირატესობა ენიჭება ერთეულ განფასებას და მთლიანი ფასი შესწორებული უნდა იქნას. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც, დამკვეთის აზრით, ერთეულ განფასებაში გადაადგილებულია ათწილადის აღმნიშვნელი წერტილი (ნიშანი) და მაშინ უპირატესობა ენიჭება მთლიან ფასს და ერთეული განფასება უნდა შესწორდეს.
- (ბ) თუ დაშვებულია შეცდომა ქვეჯამების შეკრება-გამოკლების შედეგად მიღებულ მთლიან ფასში, უპირატესობა ენიჭება ქვეჯამებს და მთლიანი ფასი უნდა გასწორდეს.
- (გ) თუ არსებობს შეუსაბამობა თანხის რიცხობრივ და სიტყვიერ აღნიშვნას შორის, უპირატესობა ენიჭება სიტყვიერ აღნიშვნას. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც სიტყვიერად აღნიშნული თანხა არითმეტიკულ შეცდომასთან არის დაკავშირებული და მაშინ უპირატესობა ენიჭება თანხის

რიცხოვრივ აღნიშვნას ზემოთ მოყვანილი (ა) და (ბ) ქვეპარაგრაფების შესაბამისად.

31.2 ტენდერში მონაწილეებს უნდა ეთხოვოთ, თანხმობა განაცხადონ არითმეტიკული შეცდომების შესწორებაზე. „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 31.1 პარაგრაფის შესაბამისად შესწორებაზე უარის თქმა გამოიწვევს სატენდერო წინადადების უარყოფას.

32. ერთიან ვალუტაში გადაყვანა

ა/გ

33. პრეფერენციული შეღავათი

ა/გ

34. ქვე-კონტრაქტორები

34.1. თუ სატენდერო მონაცემთა ნუსხაში სხვაგვარად არ არის მითითებული, დამკვეთმა არ უნდა განიზრახოს მის მიერ წინასწარ შერჩეული ქვე-კონტრაქტორების მიერ სამუშაოების რაიმე კონკრეტული ნაწილის შესრულება.

34.2. დამკვეთმა შეიძლება ნება დართოს ქვე-კონტრაქტის საფუძველზე მე-3 თავში აღნიშნული გარკვეული სპეციალიზებული სამუშაოების განხორციელების უფლება. როცა დამკვეთი ქვე-კონტრაქტის განხორციელების ნებართვას იძლევა, შეფასების დროს მხედველობაში იქნება მიღებული ქვე-კონტრაქტორის გამოცდილება. მე-3 თავში აღწერილია ქვე-კონტრაქტორების კვალიფიკაციის დადგენის კრიტერიუმები.

34.3. ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ შეთავაზონ სამუშაოების ქვე-კონტრაქტის საფუძველზე განხორციელების წინადადება **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში აღნიშნული** კონტრაქტების საერთო ღირებულების ან სამუშაოთა მოცულობის პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად.

35. სატენდერო წინადადებების შეფასება

35.1. დამკვეთმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე პარაგრაფში ჩამოთვლილი კრიტერიუმები და მეთოდისა. იკრძალება შეფასების სხვა კრიტერიუმებისა და მეთოდის გამოყენება.

35.2. სატენდერო წინადადების შეფასების დროს დამკვეთმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ასპექტები:

(ა) სატენდერო წინადადების ფასი, რომელსაც გამოაკლდება სარეზერვო თანხები და გაუთვალისწინებელი ხარჯები (თუ ამგვარი არსებობს), წარმოდგენილი სამუშაოთა მოცულობების უწყისის ნაკრებ ხარჯთაღრიცხვაში (ერთეულგანფასებებიანი კონტრაქტებისათვის) და დამატებული დღიური სამუშაოების ღირებულება, იქ სადაც ხდება კონკურენტული განფასება.

(ბ) ფასის კორექტირება არითმეტიკული შეცდომების გასასწორებლად, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 31.1 პარაგრაფის შესაბამისად;

(გ) ფასის კორექტირება იმ ფასდაკლების გათვალისწინებით, რომელიც შემოთავაზებული იქნა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 14.3 პარაგრაფის შესაბამისად;

(დ) ა/გ;

(ე) ფასის შეუსაბამობის გასწორება „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 30.3 პარაგრაფის შესაბამისად;

(ვ) შეფასების დამატებითი ფაქტორები მითითებულია მე-III თავში - შეფასების და კვალიფიკაციების კრიტერიუმები;

35.3. სატენდერო წინადადების შეფასების დროს არ უნდა იქნას გათვალისწინებული კონტრაქტის პირობებში გამოყენებული ფასების კორექტირების დებულებების სავარაუდო ზემოქმედება, რომლებიც ვრცელდება კონტრაქტის განხორციელების დროს.

35.4. თუ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად ნებადართულია ტენდერის მონაწილის მიერ ცალ-ცალკე ფასების კოტირება სხვადასხვა ლოტების (კონტრაქტებისათვის), კონტრაქტების კომბინაციის ყველაზე დაბალი ფასი (სატენდერო წინადადებაში შემოთავაზებული ფასდაკლების ჩათვლით) უნდა განისაზღვროს III თავში (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) მოცემული მეთოდიკის შესაბამისად.

35.5. თუ დამკვეთის აზრით, ერთეულგანფასებიან კონტრაქტზე წარდგენილი სატენდერო წინადადება, რომელსაც ყველაზე დაბალი შეფასებული ფასი აქვს, დაუბალანსებელია ან ხარჯები საწყის პერიოდშია კონცენტრირებული, დამკვეთს შეუძლია მოსთხოვოს ტენდერის მონაწილეს სამუშაოთა მოცულობების უწყისის რომელიმე ან ყველა პუნქტის ფასის დეტალური ანალიზი, რომელიც გამოავლენს შემოთავაზებულ მშენებლობის მეთოდთან და გრაფიკატან ამ ფასების შესაბამისობას. ფასის ანალიზის შეფასების შემდეგ, საკონტრაქტო გადახდების გრაფიკის გათვალისწინებით, დამკვეთს შეუძლია მოითხოვოს ტენდერის მონაწილის ხარჯზე კონტრაქტის შესრულების გარანტიის თანხის გაზრდა იმ ოდენობამდე, რომელიც საკმარისი იქნება დამკვეთის ფინანსური ზარალისაგან დასაცავად გამარჯვებული ტენდერის მონაწილის მიერ კონტრაქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

36. სატენდერო წინადადებების შედარება

36.1. “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 34.2 პარაგრაფის შესაბამისად დამკვეთმა უნდა შეადაროს ყველა სატენდერო წინადადება, რომელიც არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს, ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე წინადადების გამოსავლენად.

37. ტენდერის მონაწილის კვალიფიკაცია

37.1. დამკვეთმა უნდა დაადგინოს აკმაყოფილებს თუ არა ის ტენდერის მონაწილე, რომელმაც ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე და არსებითად შესაბამისი სატენდერო წინადადება წარმოადგინა, III თავში (შეფასება და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები)

მოცემულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს.

- 37.2. კვალიფიკაციის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 17.1 პარაგრაფის შესაბამისად ტენდერის მონაწილის მიერ წარმოდგენილ მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლას.
- 37.3. კვალიფიკაციის დადებითად შეფასება წარმოადგენს ტენდერის მონაწილისათვის კონტრაქტის მინიჭების წინაპირობას. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მოხდება სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაცია და დამკვეთი უნდა გადავიდეს მეორე ადგილზე მყოფი ყველაზე დაბალი ფასის მქონე წინადადების განხილვაზე და დაადგინოს მისი წარმომდგენი ტენდერის მონაწილის კვალიფიკაცია.
38. დამკვეთის უფლება მიიღოს ნებისმიერი წინადადება და უარყოს ნებისმიერი ან ყველა წინადადება
- 38.1. დამკვეთი იტოვებს უფლებას კონტრაქტის მინიჭებამდე ნებისმიერ დროს მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი სატენდერო წინადადება და მოახდინოს ტენდერის პროცედურის ანულირება და უარყოს ყველა სატენდერო წინადადება ტენდერში მონაწილეთა წინაშე რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე. ანულირების შემთხვევაში სატენდერო წინადადებები და მათი გარანტიები სასწრაფოდ უნდა დაუბრუნდეს ტენდერის მონაწილეებს.

გ. კონტრაქტის მინიჭება

39. მინიჭების კრიტერიუმები
- 39.1. „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 37.1 პარაგრაფის შესაბამისად, დამკვეთი მიანიჭებს კონტრაქტს ტენდერის იმ მონაწილეს, რომლის წინადადებაც მიჩნეული იქნება ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე წინადადებად, რომელიც არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს იმ პირობით, რომ ტენდერის მონაწილე მიჩნეული იქნება საკმარისად კვალიფიციურად კონტრაქტის დამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის.
40. კონტრაქტის მინიჭების შსახებ შეტყობინება
- 40.1. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლამდე დამკვეთმა ტენდერის გამარჯვებულ მონაწილეს წერილობით უნდა შეატყობინოს `სატენდერო წინადადების მიღების წერილის` საშუალებით, რომელიც კონტრაქტის ფორმებშია მოცემული, რომ მისი სატენდერო წინადადება მიღებულია. ამასთან ერთად დამკვეთმა ტენდერის დანარჩენ მონაწილეებს უნდა აცნობოს ტენდერის შედეგები და უნდა გამოაქვეყნოს “UNDB”-ის ვებ-გვერდზე ინფორმაცია, სადაც მითითებული იქნება ტენდერის შედეგები, ლოტის (კონტრაქტის) ნომრები და შემდეგი ინფორმაცია:
- (i) თითოეული ტენდერის მონაწილის სახელი,

რომელმაც წარმოადგინს სატენდერო წინადადება,

(ii) სატენდერო წინადადებების ფასები, რომლებიც ამოკითხული იქნა სატენდერო წინადადებების გახსნისას;

(iii) ყველა შეფასებული სატენდერო წინადადების შეფასებული ფასი და სახელი,

(iv) ტენდერის იმ მონაწილეების სახელები, რომელთა სატენდერო წინადადებები უარყოფილი იქნა და უარყოფის მიზეზები და

(v) ტენდერში გამარჯვებული მონაწილის სახელი და მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ასევე მინიჭებული კონტრაქტის ხანგრძლივობა და მოკლე აღწერა.

40.2. სანამ მომზადდება და გაფორმდება ოფიციალური კონტრაქტი, კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინება იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას წარმოადგენს.

40.3. დამკვეთმა ოპერატიულად უნდა გასცეს წერილობითი პასუხი ტენდერის ყველა იმ დამარცხებულ მონაწილეს, რომელიც „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 40.1 პარაგრაფის შესაბამისად გაკეთებული კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების შემდეგ წერილობით მოითხოვს იმ მიზეზების განმარტებას, რომელთა საფუძველზეც მისი წინადადება არ იქნა შერჩეული.

41. კონტრაქტის ხელმოწერა

41.1. შეტყობინების გაკეთების შემდეგ მოკლე ხანში, დამკვეთმა ტენდერის გამარჯვებულ მონაწილეს კონტრაქტის ხელშეკრულება უნდა გაუგზავნოს.

41.2. კონტრაქტის ხელშეკრულების მიღებიდან ოცდარვა (28) დღის განმავლობაში ტენდერის გამარჯვებულმა მონაწილემ კონტრაქტის ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს, დაათარილოს და დაუბრუნოს დამკვეთს.

42. კონტრაქტის შესრულების გარანტია

42.1. დამკვეთისაგან კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდარვა (28) დღის განმავლობაში, ტენდერის გამარჯვებულმა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს კონტრაქტის შესრულების გარანტია კონტრაქტის პირობების შესაბამისად „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 35.5 პარაგრაფის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ამ მიზნით უნდა გამოიყენოს კონტრაქტის შესრულების გარანტიის ფორმა, რომელიც მოცემულია IX თავში (კონტრაქტის ფორმები) ან დამკვეთისათვის მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმა.

42.2. თუ ტენდერის გამარჯვებული მონაწილე არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ კონტრაქტის შესრულების გარანტიას ან ხელს არ მოაწერს

კონტრაქტის ხელშეკრულებას, ეს გარემოებები წარმოადგენს საკმარის საფუძველს კონტრაქტის მინიჭების ანუღირებისა და სატენდერო წინადადების გარანტიის ჩამორთმევისათვის. ამ შემთხვევაში დამკვეთს შეუძლია მიანიჭოს კონტრაქტი ტენდერის იმ მონაწილეს, რომლის მიერ წარმოდგენილი წინადადება არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს და მეორე ადგილზე ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მიხედვით და დამკვეთს ეს მონაწილე საკმარისად კვალიფიცირებულად მიაჩნია კონტრაქტის დამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის.

43. მომრიგებელი

- 43.1. **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** დამკვეთი სთავაზობს პიროვნებას, რომელიც დანიშნული იქნება მომრიგებლად წინამებარე კონტრაქტის ფარგლებში. ასევე, **სატენდერო მონაცემთა ნუსხაში** განსაზღვრულია მომრიგებლის საათობრივი ჰონორარი, რასაც ემატება ანაზღაურებადი ხარჯების ღირებულება. იმ შემთხვევაში როდესაც ტენდერის მონაწილე არ ეთანხმება შემოთავაზებულ წინადადებას, მან უნდა აღნიშნოს ეს თავის სატენდერო წინადადებაში. თუ „მიღების წერილში“ დამკვეთი არ ეთანხმება მომრიგებლის დანიშვნას, დამკვეთი მიმართავს თხოვნით უფლებამოსილ ორგანიზაციას რომელიც განსაზღვრულია კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში (PCC), მომრიგებლის დანიშვნის თაობაზე, ზოგადი პირობების (GCC) 23.1 მუხლის შესაბამისად.

IV თავი – სატენდერო ფორმები

სატენდერო განაცხადი

უწყისები

სამუშაოთა მოცულობები (ხარჯთაღრიცხვა)

კორექტირების მონაცემთა ცხრილ(ებ)ი

სატენდერო წინადადების გარანტია (საბანკო გარანტია)

სატენდერო წინადადების გარანტია (ბონდი)

სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია

ტექნიკური წინადადება

ტექნიკური წინადადების ფორმები

ფორმები პერსონალისათვის

ფორმები აღჭურვილობისათვის

ტენდერის მონაწილეთა კვალიფიკაცია

ინფორმაცია ტენდერის მონაწილის შესახებ

ინფორმაცია ერთობლივი საწარმოს შესახებ

კონტრაქტების შეუსრულებლობის ისტორია, მიმდინარე სასამართლო დავები და სასამართლო დავების ისტორია

მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებები/მიმდინარე სამუშაოები

ფინანსური მდგომარეობა და შესრულება

სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა

ფინანსური რესურსები

მშენებლობის ზოგადი გამოცდილება

მშენებლობის და კონტრაქტის მართვის კონკრეტული გამოცდილება

შენებლობის გამოცდილება სამუშაოების ძირითად სახეობებში

სატენდერო განაცხადი

ტენდერის მონაწილემ სატენდერო განაცხადი უნდა მოათავსოს თავის ბლანკზე, რომელზეც გარკვევით იქნება მითითებული ტენდერის მონაწილის სრული სახელი და მისამართი

შენიშვნა: დახრილი შრიფტით მოცემული ტექსტი არის ამ ფორმის შევსების ინსტრუქციები, რაც საბოლოო ფორმაში უნდა წაიშალოს.

თარიღი:

ტენდერის № :

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარდგენაზე №:

(ვის):.....

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვაცხადებთ, რომ

- (ა) ჩვენ შევისწავლეთ სატენდერო დოკუმენტაცია და არა გვაქვს რაიმე შენიშვნები მასთან დაკავშირებით, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-8 პარაგრაფის შესაბამისად გაცემული ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით;
- (ბ) ჩვენ ვაკმაყოფილებთ უფლებამოსილების მოთხოვნებს და არა გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მე-4 პარაგრაფის შესაბამისად;
- (გ) ჩვენ არ ვიყავით უარყოფილნი ან არაუფლებამოსილად გამოცხადებულნი დამკვეთის მიერ, სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის შესრულების საფუძველზე დამკვეთის ქვეყანაში, “ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის” 4.6 პარაგრაფის შესაბამისად;
- (დ) ჩვენ გთავაზობთ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

[ჩასვით სამუშაოების მოკლე აღწერა (დასახელება)]

(ე) ჩვენი სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი, იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც შემოთავაზებულია ქვემოთ (ვ) პუნქტში, შეადგენს:

მხოლოდ ერთი ლოტის შემთხვევაში, სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი [ჩასვით სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი სიტყვიერად და ციფრებით, სხვადასხვა თანხებისა და შესაბამისი ვალუტების მითითებით];

რამოდენიმე ლოტის შემთხვევაში, თითოეული ლოტის მთლიანი ფასი [ჩასვით თითოეული ლოტის მთლიანი ფასი სიტყვიერად და ციფრებით, სხვადასხვა თანხებისა და შესაბამისი ვალუტების მითითებით];

რამოდენიმე ლოტის შემთხვევაში, ყველა ლოტის (ლოტების ჯამი) მთლიანი ფასი [ჩასვით ყველა ლოტის მთლიანი ფასი სიტყვიერად და ციფრებით, სხვადასხვა თანხებისა და შესაბამისი ვალუტების მითითებით];

(ვ) შემოთავაზებულია შემდეგი ფასდაკლებები და მათი გამოყენების მეთოდика:

(i) შემოთავაზებული ფასდაკლებები წარმოადგენს: **[დეტალურად ჩამოაყალიბეთ თითოეული შემოთავაზებული ფასდაკლება]**

(ii) ფასდაკლების გამოყენების შემდეგ წმინდა ღირებულების განსასაზღვრად გამოთვლების წარმოების კონკრეტული მეთოდი ქვემოთ არის მოყვანილი: **[დეტალურად ჩამოაყალიბეთ ფასდაკლებებისათვის გამოყენებული მეთოდი]**

(ზ) ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია **90 დღის** განმავლობაში, სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და ეს წინადადება სავალდებულოა ჩვენთვის და შეიძლება მიღებული იქნას ნებისმიერ მომენტში მისი მოქმედების ვადის გასვლამდე;

(თ) თუ ჩვენი სატენდერო წინადადება მიღებული იქნა, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, წარმოვადგინოთ კონტრაქტის შესრულების გარანტია სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად;

(ი) ჩვენ, ამ ტენდერის ფარგლებში არ მიგვიღია მონაწილეობა ერთზე მეტი სატენდერო წინადადების წარდგენაში როგორც ტენდერის მონაწილეს ან ქვეკონტრაქტორს **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“** 4.2 (ე) პარაგრაფის შესაბამისად. გარდა ალტერნატიული წინადადებებისა, რომლებიც წარმოდგენილი იქნა **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“** 13-ე პარაგრაფის შესაბამისად;

(კ) ჩვენი ფირმა, მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, კონტრაქტის ნებისმიერი ნაწილის ყველა ქვეკონტრაქტორისა და მიმწოდებლის ჩათვლით, არ არის არაუფლებამოსილად გამოცხადებული ბანკის მიერ, დამკვეთის ქვეყნის კანონებისა და ოფიციალური დადგენილების თანახმად ან გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

(ლ) ჩვენ არა ვართ სახელმწიფო საწარმო/ჩვენ ვართ სახელმწიფო საწარმო, მაგრამ ვაკმაყოფილებთ **„ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“** 4.5 პარაგრაფის მოთხოვნებს;

(მ) ჩვენ ვაცხადებთ, რომ გადავიხადებთ ან გადავიხდით ტენდერთან ან კონტრაქტის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკომისიო გადასახადებს, ფულად ანაზღაურებას ან ჰონორარს: **[ჩასვით თითოეული მიმღების სრული დასახელება, მისი სრულყოფილი მისამართი, მიზეზი რის გამოც იქნა გადახდილი თითოეული საკომისიო ან ანაზღაურება და თითოეული საკომისიოს ან ანაზღაურების თანხა და ვალუტა].**

მიმღების სახელი	მისამართი	მიზეზი	თანხა
.....

(თუკი ამგვარი რამ არ იქნა გადახდილი, მიუთითეთ “არ იქნა გადახდილი”)

(ნ) ჩვენ გვესმის, რომ კონტრაქტის მომზადებამდე და გაფორმებამდე წინამდებარე სატენდერო წინადადება და თქვენს მიერ გამოგზავნილი შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ, ჩვენს შორის წარმოადგენს იურიდიულ ვალდებულებას; და

(ო) ჩვენ გვესმის, რომ თქვენ არა ხართ ვალდებული მიიღოთ ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე სატენდერო წინადადება ან ნებისმიერი სხვა თქვენთვის წარმოდგენილი წინადადება;

- (პ) ვადასტურებთ, რომ ყველა ძალისხმევას მივმართეთ, რათა ჩვენი სახელით ან ჩვენთან ერთად მოქმედი არც ერთი პირი არ იყოს ჩართული არანაირი სახის კორუფციასა და თაღლითობაში.

ტენდერის მონაწილის სახელი* [ჩასვით ტენდერის მონაწილის (კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს) სრული დასახელება]

პირის სახელი, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას ტენდერის მონაწილის სახელით [ჩასვით სატენდერო წინადადების ხელმომწერი უფლებამოსილი პირის სრული სახელი და გვარი]**

სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის თანამდებობა [ჩასვით სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის სრული თანამდებობა]

ზემოთ მითითებული პირის ხელმოწერა [ჩასვით იმ პირის ხელმოწერა, რომლის სახელი და თანამდებობა ზემოთ არის მითითებული]

ხელმოწერის თარიღი [ჩასვით თარიღი] დღე, თვე, წელი

***ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, მიუთითეთ ერთობლივი საწარმოს, როგორც ტენდერის მონაწილის დასახელება**

**** სატენდერო წინადადებაზე ხელმომწერ პირს უნდა ჰქონდეს ხელმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც ეს მითითებულია სატენდერო მონაცემთა ნუსხის „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 20.2 პარაგრაფში.**

კორექტირების მონაცემთა ცხრილ(ებ)ი
არ გამოიყენება

სატენდერო წინადადების გარანტია (საბანკო გარანტია) – არ გამოიყენება

სატენდერო წინადადების გარანტია (ბონდი) - არ გამოიყენება

სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია

თარიღი.....

სატენდერო წინადადება №

ალტერნატიული წინადადების ნომერი (ჩასვით საიდენტიფიკაციო ნომერი, თუ ეს სატენდერო წინადადება ალტერნატიულია)

ვის *[ჩასვით დამკვეთის სრული დასახელება]*

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვაცხადებთ, რომ:

ჩვენ გვესმის, რომ თქვენი პირობების შესაბამისად სატენდერო წინადადებებს უნდა ახლდეს საგარანტიო განცხადება.

ჩვენ თანახმა ვართ, რომ ჩამოგვერთვას დამკვეთის ნებისმიერი კონტრაქტისათვის გამართულ სატენდერო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება შემდეგი პერიოდით: **ერთი (1) წლის ვადით** დაწყებული ტენდერის გახსნის თარიღიდან, თუ ჩვენ დავარღვევთ ჩვენს ვალდებულებებს სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით შემდეგი მიზეზების გამო:

- (ა) გამოვიხმოთ ჩვენს სატენდერო წინადადებას მისი მოქმედების ვადის პერიოდში, რომელიც მივუთითეთ სატენდერო წინადადების ფორმაში;
- (ბ) მას შემდეგ, რაც დამკვეთმა შეგვატყობინა სატენდერო წინადადებების მიღების შესახებ, სატენდერო წინადადების მოქმედების პერიოდში (i) ვერ შევძელით ან უარი ვთქვით საკონტრაქტო ხელშეკრულების განხორციელებაზე ან (ii) ვერ შევძელით ან უარი ვთქვით კონტრაქტის განხორციელების გარანტიის წარდგენაზე „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ შესაბამისად.

ჩვენ გვესმის, რომ სატენდერო წინადადების საგარანტიო განცხადების ვადა იწურება (i) როდესაც მივიღებთ თქვენგან გამარჯვებული ტენდერის მონაწილის შესახებ შეტყობინებას ან (ii) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლიდან ოცდარვა დღის შემდეგ.

ტენდერის მონაწილის სახელი [ჩასვით ტენდერის მონაწილის (კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს) სრული დასახელება]*

*პირის სახელი, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას ტენდერის მონაწილის სახელით** [ჩასვით სატენდერო წინადადების ხელმომწერი უფლებამოსილი პირის სრული სახელი და გვარი]*

სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის თანამდებობა [ჩასვით სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის სრული თანამდებობა]

ზემოთ მითითებული პირის ხელმოწერა [ჩასვით იმ პირის ხელმოწერა, რომლის სახელი და თანამდებობა ზემოთ არის მითითებული]

ხელმოწერის თარიღი [ჩასვით თარიღი] დღე, თვე, წელი

**ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, მიუთითეთ ერთობლივი საწარმოს, როგორც ტენდერის მონაწილის დასახელება.*

*** სატენდერო წინადადების ხელმომწერ პირს უნდა ჰქონდეს ტენდერის მონაწილის მიერ მინიჭებული მინდობილობა, რომელიც თანდართული უნდა იყოს. თუ სატენდერო წინადადება ერთობლივმა საწარმომ წარმოადგინა, სატენდერო წინადადების საგარანტიო განცხადება უნდა გაკეთდეს ერთობლივი საწარმოს ყველა პარტნიორის სახელით.*

ტექნიკური წინადადება

პერსონალი

აღჭურვილობა

სამუშაოთა გრაფიკი

სამუშაოთა წარმოების პროგრამა და მეთოდოლოგია

სხვა

პერსონალის ფორმები

ფორმა PER – 1: შემოთავაზებული პერსონალი

ტენდერის მონაწილემ III თავში (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) ჩამოთვლილი თითოეული თანამდებობისათვის უნდა წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის სახელები, რომელიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. თითოეული კანდიდატის გამოცდილების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ფორმის შესაბამისად:

1.	თანამდებობა
	სახელი
2.	თანამდებობა*
	სახელი
3.	თანამდებობა*
	სახელი
4.	თანამდებობა*
	სახელი
5.	თანამდებობა*
	სახელი
6.	
და ა.შ.	

ფორმა PER – 2: შემოთავაზებული პერსონალის რეზიუმე

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ქვემოთ მოითხოვნილი მთელი ინფორმაცია. ვარსკვლავით (*) მონიშნული პუნქტები გამოყენებული იქნება შეფასებისათვის.

თანამდებობა*		
პირადი მონაცემები	სახელი*	დაბადების თარიღი
	პროფესიული კვალიფიკაცია	
ამჟამინდელი სამუშაო ადგილი	დამქირავებლის სახელი	
	დამქირავებლის მისამართი	
	ტელეფონი	საკონტაქტო პირი (მენეჯერი/კადრების განყოფილების თანამშრომელი)
	ფაქსი	ელ-ფოსტის მისამართი
	სამუშაოს სახელწოდება	ამჟამინდელ დამქირავებელთან მუშაობის სტაჟი (წლები)

წარმოადგინეთ პროფესიული გამოცდილების რეზიუმე შებრუნებული ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. მიუთითეთ მოცემული პროექტისათვის შესაფერისი კონკრეტული ტექნიკური და ხელმძღვანელობის გამოცდილება

-გან*	-მდე*	კომპანია, პროექტი, თანამდებობა და შესაბამისი ტექნიკური და ხელმძღვანელობის გამოცდილება*
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----
-----	-----	-----

აღჭურვილობის ფორმები

ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც გარკვევით აჩვენებს, რომ მას შეუძლია დააკმაყოფილოს III თავში (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) წარმოდგენილი მოთხოვნები ძირითად აღჭურვილობასთან დაკავშირებით. ჩამონათვალში მითითებული ან ტენდერის მონაწილის მიერ ალტერნატივის სახით შემოთავაზებული თითოეული აღჭურვილობისათვის ცალკე ფორმა უნდა იქნას მომზადებული. ტენდერის მონაწილემ შეძლებისდაგვარად უნდა წარმოადგინოს მთელი ის ინფორმაცია, რომელიც ქვემოთ არის მოთხოვნილი. ვარსკვლავით (*) მონიშნული პუნქტები გამოყენებული იქნება შეფასებისათვის

აღჭურვილობის ტიპი*	
აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია	მწარმოებლის დასახელება
	სიმძლავრე*
	მოდელი და ნომინალური სიმძლავრე
	წარმოების წელი
ამჟამინდელი მდგომარეობა	ამჟამინდელი მდებარეობა
	დეტალური მონაცემები ამჟამინდელი ვალდებულებების შესახებ
წყარო	მიუთითეთ აღჭურვილობის წყარო <input type="checkbox"/> საკუთარი <input type="checkbox"/> დაქირავებული <input type="checkbox"/> იჯარით აღებული <input type="checkbox"/> სპეციალურად დამზადებული

ქვემოთ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ იმ აღჭურვილობის შესახებ, რომელიც არ წარმოადგენს ტენდერის მონაწილის საკუთრებას

მფლობელი	მფლობელის სახელი	
	მფლობელის მისამართი	
	ტელეფონი	საკონტაქტო პირის სახელი და თანამდებობა
	ფაქსი	ტელეფსი
შეტანხმებები	დეტალური ინფორმაცია დაქირავების/იჯარის/დამზადების შესახებ ხელშეკრულებების თაობაზე, რომელიც ეხება მოცემულ პროექტს	

ტენდერის მონაწილეთა კვალიფიკაცია

კონტრაქტის განსახორციელებლად საჭირო კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით III თავის (შეფასება და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) შესაბამისად, ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ქვემოთ წარმოდგენილ ფორმებში მოთხოვნილი ინფორმაცია.

ფორმა ELI – 1.1

ინფორმაცია ტენდერის მონაწილის შესახებ

თარიღი: -----
 ტენდერის ნომერი და დასახელება: -----
 გვერდის ნომერი: ----- დან

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება
ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თითოეული პარტნიორის იურიდიული სახელი
ტენდერის მონაწილის ფაქტიური ან განზრახული რეგისტრაციის ქვეყანა
ტენდერის მონაწილის ფაქტიური ან განზრახული დაფუძნების წელი
ტენდერის მონაწილის იურიდიული მისამართი მისი რეგისტრაციის ქვეყანაში
<p>ტენდერის მონაწილის უფლებამოსილი წარმომადგენელი</p> <p>სახელი:</p> <p>მისამართი:</p> <p>ტელეფონის / ფაქსის ნომრები:</p> <p>ელ-ფოსტის მისამართი:</p>
<p>1. თან ერთვის შემდეგი დოკუმენტების ორიგინალები::</p> <p><input type="checkbox"/> დაფუძნების (ან ინკორპორაციისა ან ასოციაციის) მოწმობა, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.3 პარაგრაფის შესაბამისად.</p> <p><input type="checkbox"/> ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ხელშეკრულება ან ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ განზრახვის წერილი „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.1 პარაგრაფის შესაბამისად.</p> <p><input type="checkbox"/> სახელმწიფო საწარმოს შემთხვევაში, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.5 პარაგრაფის შესაბამისად, დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს:</p> <ul style="list-style-type: none"> № იურიდიულ და ფინანსურ ავტონომიას • ფუნქციონირებას მეწარმეთა შესახებ კანონის ფარგლებში • მოწმობა, რომ ტენდერის მონაწილე არ არის დამკვეთზე დამოკიდებული ორგანიზაცია <p>2. დოკუმენტს ახლავს ორგანიზაციული სტრუქტურა, დირექტორთა საბჭოს წევრების ნუსხა და საბოლოო საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>

ფორმა ELI – 1.2

ინფორმაცია ერთობლივი საწარმოს შესახებ (ცხრილი ივსება ერთობლივი საწარმოს თითოეული წევრისათვის)

თარიღი: -----

ტენდერის ნომერი და დასახელება: -----

ტენდერის ნომერი და დასახელება: ----- დან

ტენდერის მონაწილის ერთობლივი საწარმოს იურიდიული სახელწოდება
ერთობლივი საწარმოს წევრის იურიდიული სახელწოდება
ერთობლივი საწარმოს წევრის რეგისტრაციის ქვეყანა
ერთობლივი საწარმოს წევრის დაფუძნების წელი
ერთობლივი საწარმოს წევრის იურიდიული მისამართი რეგისტრაციის ქვეყანაში
<p>ინფორმაცია ერთობლივი საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენლის შესახებ</p> <p>სახელი:</p> <p>მისამართი:</p> <p>ტელეფონის / ფაქსის ნომრები:</p> <p>ლ-ფოსტის მისამართი:</p>
<p>1. თან ერთვის შემდეგი დოკუმენტების ორიგინალები:</p> <p><input type="checkbox"/> ზემოთმოყვანილი იურიდიული პირის რეგისტრაციის დოკუმენტაცია და/ან დაფუძნების (ან ინკორპორაციისა ან ასოციაციის) მოწმობა, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.3 პარაგრაფის შესაბამისად.</p> <p><input type="checkbox"/> სახელმწიფო საწარმოს შემთხვევაში, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ 4.5 პარაგრაფის შესაბამისად, დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • იურიდიულ და ფინანსურ ავტონომიას • ფუნქციონირებას მეწარმეთა შესახებ კანონის ფარგლებში • მოწმობა, რომ ტენდერის მონაწილე არ არის დამკვეთზე დამოკიდებული ორგანიზაცია <p>2. დოკუმენტს ახლავს ორგანიზაციული სტრუქტურა, დირექტორთა საბჭოს წევრების ნუსხა და საბოლოო საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>

ფორმა CON – 2

ინფორმაცია შეუსრულებელი კონტრაქტების შესახებ, მიმდინარე სასამართლო პროცესები და სასამართლო პროცესების ისტორია

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: _____ თარიღი _____

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: _____ ტენდერის ნომერი და დასახელება: _____

გვერდის ნომერი — — დან

შეუსრულებელი კონტრაქტები III თავის - შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმების შესაბამისად			
<input type="checkbox"/> შეუსრულებელ კონტრაქტებს არ ჰქონია ადგილი [ჩასვით წელი] წლის 1 იანვრიდან, რაც მითითებულია III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) 2.1 ქვე-ფაქტორში; <input type="checkbox"/> [ჩასვით წელი] წლის 1 იანვრიდან, რაც მითითებულია III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) 2.1 ქვე-ფაქტორში, შეუსრულებელი კონტრაქტები			
წელი	კონტრაქტის შეუსრულებელი ნაწილი	კონტრაქტის იდენტიფიკაცია	კონტრაქტის მთლიანი თანხა (მიმდინარე ღირებულება, ვალუტა, მიუთითეთ გადაცვლის კურსი, თუ შეუსრულებელი კონტრაქტი უცხოურ ვალუტაშია)
		კონტრაქტის იდენტიფიკაცია: დამკვეთის სახელი: დამკვეთის მისამართი: შეუსრულებლობის მიზეზი:	
მიმდინარე სასამართლო პროცესი III თავის - შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმების შესაბამისად			
<input type="checkbox"/> არ მონაწილეობს სასამართლო პროცესში III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) 2.3 ქვე-ფაქტორის შესაბამისად <input type="checkbox"/> მიმდინარე სასამართლო პროცესი III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) 2.3 ქვე-ფაქტორის შესაბამისად			

ფორმა CCC

მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებები/მიმდინარე სამუშაოები

ტენდერის მონაწილემ ან ერთობლივი საწარმოს თითოეულმა პარტნიორმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებების შესახებ, რაც მოიცავს მისთვის უკვე მინიჭებულ კონტრაქტებს, კონტრაქტებს, რომელთა თაობაზე მიღებული აქვს მიღების წერილი ან განზრახვის წერილი და იმ კონტრაქტებს, რომლებიც დასასრულს უახლოვდება, მაგრამ მათზე ჯერ არ გაცემულა სრული საბოლოო დასრულების სერთიფიკატი.

№	კონტრაქტის დასახელება	დამკვეთის დასახელება, საკონტრაქტო მისამართი, ტელეფონი და ფაქსი	კონტრაქტის მთლიანი ღირებულება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება (ლარებში)	სამუშაოების დაწყების თარიღი	სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღი	წაყენებული ანგარიშ-ფაქტურების საშუალო ყოველთვიური თანხა ბოლო 6 თვის განმავლობაში (ლარი/თვეში)
1							
2							
3							
4							
5							
ა.შ.							

ფორმა FIN – 3.1

ფინანსური მდგომარეობა და შესრულება

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: _____ თარიღი _____

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: _____ ტენდერის ნომერი: _____

გვერდის ნომერი — — დან

ფინანსური მონაცემები

ფინანსური ინფორმაცია (დამკვეთის ეროვნული ვალუტის ეკვივალენტში)	წარსული ----- წლის ფინანსური მდგომარეობა (თანხა დამკვეთის ეროვნული ვალუტის ეკვივალენტში (თუ ინფორმაცია უცხოურ ვალუტაშია მიუთითეთ გადაცვლის კურსი)						
	I წელი	II წელი	III წელი	IV წელი	V წელი		
ფინანსური მდგომარეობა (ინფორმაცია ბალანსის უწყისიდან)							
აქტივების მთლიანი ღირებულება (TA)							
პასივების მთლიანი ღირებულება (TL)							
წმინდა ღირებულება (NW)							
მიმდინარე აქტივები (CA)							
მიმდინარე პასივები (CL)							
საბრუნავი კაპიტალი (WC)							
ინფორმაცია მოგება-ზარალის უწყისიდან							
საერთო შემოსავალი (TR)							
დასაბეგრი მოგება (PBT)							
ინფორმაცია ფულადი სახსრების მოძრაობაზე							
მიმდინარე (საოპერაციო) ფულადი სახსრების მოძრაობა							

2. დაფინანსების წყარო

მიუთითეთ დაფინანსების წყაროები მიმდინარე სამუშაოებისა და მომავალი საკონტრაქტო ვალდებულებებისათვის საჭირო ფულადი სახსრებისათვის.

#	დაფინანსების წყარო	თანხა და ვალუტა
1		
2		
3		

2. ფინანსური დოკუმენტები

ტენდერში მონაწილემ და მისმა სუბიექტებმა უნდა წარმოადგინონ ზემოთ მოთხოვნილი წლების ფინანსური ანგარიშების ასლები, შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმების III თავის, ქვე-ფაქტორის 3.2 თანახმად, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- (ა) ყველა ეს დოკუმენტი უნდა ასახავდეს განმცხადებლის ან ერთობლივი საწარმოს წევრის და არა მათი შვილობილი ან სათაო კომპანიის ფინანსური მდგომარეობას.
- (ბ) დამოუკიდებლად აუდიტირებული ან დამოწმებული იყოს ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად.
- (გ) იყოს სრულყოფილი მათ მიმართ გაკეთებული ყველა შენიშვნის ჩათვლით.
- (დ) წარსული წლების ფინანსური ანგარიშები უნდა შეესაბამებოდეს საანგარიშო პერიოდს, რომელიც უკვე დასრულებულია და აუდიტორულად შემოწმებულია

თანდართულია ზემოთ მოთხოვნილი ---- წლების ფინანსური ანგარიშების⁴ ასლები; მოთხოვნების შესაბამისად

4. თუ ფინანსური ანგარიშების უახლესი კომპლექტი სატენდერო წინადადების თარიღზე 12 თვეზე უფრო ადრინდელი პერიოდისთვისაა, ამის მიზეზი დასაბუთებული უნდა იყოს.

ფორმა FIN – 3.2

სამშენებლო სამუშაოების სამუშაო წლიური ბრუნვა

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: _____ თარიღი _____

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: _____ ტენდერის ნომერი: _____

ტენდერის ნომერი — — — — დან

სამუშაო წლიური ბრუნვა (მხოლოდ მშენებლობის)			
წელი	თანხა და ვალუტა	თუ ინფორმაცია უცხოურ ვალუტაშია მიუთითეთ გადაცვლის კურსი	თანხა დამკვეთის ეროვნული ვალუტის ეკვივალენტში
[მიუთითეთ წელი]	[ჩასვით თანხა და მიუთითეთ ვალუტა]		
სამშენებლო სამუშაოების სამუშაო წლიური ბრუნვა*			

* იხ. III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) ქვე-ფაქტორი 3.2.

ფორმა FIN – 3.3

ფინანსური რესურსები

მიუთითეთ დაფინანსების შემოთავაზებული წყაროები, როგორცაა ვალდებულებებისაგან თავისუფალი ლიკვიდური აქტივები, დაუგირავებელი უძრავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებს მოცემული კონტრაქტის ან კონტრაქტების ფარგლებში ფულადი სახსრების მოძრაობის მოთხოვნებს III თავში (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) მითითებული მოთხოვნის შესაბამისად.

ფინანსური სახსრები		
№.	დაფინანსების წყარო	თანხა (დამკვეთის ეროვნული ვალუტის ეკვივალენტში)
1		
2		
3		
4		

ფორმა EXP – 2.4.1

ზოგადი სამშენებლო გამოცდილება

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: _____ თარიღი _____

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: _____ ტენდერის ნომერი: _____

გვერდის ნომერი — — — დან

დაწყების წელი	დასრულების წელი	კონტრაქტის იდენტიფიკაცია	ტენდერის მონაწილის ფუნქცია
		<ul style="list-style-type: none"> - კონტრაქტის დასახელება: - ტენდერის მონაწილის მიერ განხორციელებული სამუშაოების მოკლე აღწერა: - კონტრაქტის ღირებულება: - დამკვეთის სახელი: - მისამართი: 	
		<ul style="list-style-type: none"> - კონტრაქტის დასახელება: - ტენდერის მონაწილის მიერ განხორციელებული სამუშაოების მოკლე აღწერა: - კონტრაქტის ღირებულება: - დამკვეთის სახელი: - მისამართი: 	
		<ul style="list-style-type: none"> - კონტრაქტის დასახელება: - ტენდერის მონაწილის მიერ განხორციელებული სამუშაოების მოკლე აღწერა: - კონტრაქტის ღირებულება: - დამკვეთის სახელი: - მისამართი: 	

ფორმა EXP – 2.4.2 (ა)

მშენებლობის და კონტრაქტის მართვის კონკრეტული გამოცდილება

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: _____ თარიღი _____

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: _____ ტენდერის ნომერი: _____

გვერდის ნომერი — — დან

მსგავსი კონტრაქტის №: _____	ინფორმაცია			
კონტრაქტის დასახელება				
კონტრაქტის მინიჭების თარიღი:				
კონტრაქტის დასრულების თარიღი:				
როლი (ფუნქცია) კონტრაქტის ფარგლებში	<input type="checkbox"/> გენერალური კონტრაქტორი	<input type="checkbox"/> ერთობლივი საწარმოს წევრი	<input type="checkbox"/> მმართველი კონტრაქტორი	<input type="checkbox"/> ქვეკონტრაქტორი
კონტრაქტის მთლიანი თანხა			დამკვეთის ეროვნული ვალუტა	
ერთობლივი საწარმოს ან ქვეკონტრაქტორის შემთხვევაში, მიუთითეთ წილი კონტრაქტის მთლიან თანხაში				
დამკვეთის სახელი:				
მისამართი:				
ტელეფონი/ფაქსი:				
ელ. ფოსტის მისამართი:				

ფორმა EXP – 2.4.2 (ა) (გაგრძელება)

მშენებლობის და კონტრაქტის მართვის კონკრეტული გამოცდილება (გაგრძელება)

მსგავსი კონტრაქტის №: —	ინფორმაცია
მსგავსების აღწერა III თავის (შეფასებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები) ქვე-ფაქტორის 4.2. (ა) შესაბამისად:	
1. თანხა	
2. მოთხოვნილი სამუშაოთა პოზიციების ფიზიკური მოცულობა	
3. სირთულე	
4. მეთოდები/ტექნოლოგია	
5. მშენებლობის წარმადობა ძირითადი სამუშაოებისათვის	
6. სხვა მახასიათებლები	

ფორმა EXP – 2.4.2 (ბ)

მშენებლობის კონკრეტული გამოცდილება სამუშაოების ძირითად სახეობებში

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: _____ თარიღი _____

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: _____ ტენდერის ნომერი: _____

ქვეკონტრაქტორის იურიდიული სახელწოდება _____

გვერდის ნომერი — — დან

ინფორმაცია				
კონტრაქტის იდენტიფიკაცია				
კონტრაქტის მინიჭების თარიღი				
კონტრაქტის დასრულების თარიღი:				
ფუნქცია კონტრაქტის ფარგლებში	<input type="checkbox"/> გენერალური კონტრაქტორი	<input type="checkbox"/> ერთობლივი საწარმოს წევრი	<input type="checkbox"/> მმართველი კონტრაქტორი	<input type="checkbox"/> ქვეკონტრაქტორი
კონტრაქტის მთლიანი თანხა	დამკვეთის ეროვნული ვალუტა			
მოცულობა (პროდუქციის მოცულობა, რაოდენობა ან წარმადობა) რომელიც კონტრაქტის ფარგლებში განხორციელდა ერთი წლის ან წლის რომელიმე ნაწილის განმავლობაში	მთლიანი მოცულობა კონტრაქტში (i)	პროცენტული მონაწილეობა (ii)	ფაქტიური შესრულებული მოცულობა (i) X (ii)	
წელი 1				
წელი 2				
წელი 3				
წელი 4				
დამკვეთის სახელწოდება:				
მისამართი:				
ტელეფონი/ფაქსი:				
ელ. ფოსტის მისამართი				

2. საქმიანობა № 2

3. -----

	ინფორმაცია
სამუშაოთა ძირითადი სახეობების აღწერა III თავის ქვე-ფაქტორის 4.2. (ბ) შესაბამისად	

თავი 5 - უფლებამოსილი ქვეყნები

საქონლის, სამუშაოების და მომსახურების უზრუნველყოფის უფლებამოსილება ბანკის მიერ დაფინანსებულ შესყიდვებში

1. ITB- ის 4.7 და 5.1 პარაგრაფების შესაბამისად, სესხის მიმღებთა და ტენდერის მონაწილეთა საყურადღებოდ, დღევანდელი მდგომარეობით, მოცემული ტენდერიდან მოხსნილნი არიან შემდეგი ქვეყნის კომპანიები, საქონელი და მომსახურება:

(ა) ITB-ის 4.7 (ა) და 5.1 პარაგრაფების შესაბამისად:
არც ერთი

(ბ) ITB- ის 4.7 (ბ) და 5.1 პარაგრაფების შესაბამისად:
არც ერთი

თავი VI. ბანკის პოლიტიკა - კორუფციული და თაღლითური ქმედებების პრაქტიკა

საქონლის, სამუშაოების და არა-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა IBRD-ის სესხების და IDA-ს კრედიტების და გრანტების ფარგლებში მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ, (იანვარი 2011, განახლებული ივლისი 2014)

„ თაღლითობა და კორუფცია:

1.16 ბანკის პოლიტიკის შესაბამისად დადგენილია მოთხოვნა, რომ მსესხებლები (მათ შორის საბანკო სესხების ბენეფიციარები), ტენდერში მონაწილეები, მიმწოდებლები, კონტრაქტორები და მათი აგენტები (მიუხედავად იმისა, დეკლარირებულია ეს თუ არა), ქვეკონტრაქტორები, ქვე-კონსულტანტები, მომსახურების მიმწოდებლები ან მომმარაგებლები და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პერსონალი ვალდებული არიან, დაიცვან ეთიკის მაღალი სტანდარტი შესყიდვებისა და ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტების განხორციელებისას.¹ აღნიშნული პოლიტიკიდან გამომდინარე, *ბანკი*:

(ა) ზემო აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს ტერმინებს ქვემოთ მოყვანილი სახით:

- i. „კორუფციული ქმედება“ არის რაიმე ღირებულის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან მოთხოვნა, პირდაპირ ან ირიბად, რაც ზეგავლენას მოახდენს რომელიმე მხარის მოქმედებაზე;²
- ii. „თაღლითური ქმედება“ არის ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის გაყალბება, რაც მხარეს შეგნებულად ან დაუდევრობით შეიყვანს შეცდომაში ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების ან ვალდებულებათა შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით;³
- iii. „წინასწარ განზრახული მოქმედება“ არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც გამიზნულია არამართლზომიერი შედეგის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზემოქმედება;⁴
- iv. „იძულება“ არის რომელიმე მხარის ან ამ მხარის საკუთრების დაზიანება ან გაფუჭება ან დაზიანების და გაფუჭების მუქარა პირდაპირ ან ირიბად, რომლის მიზანია მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა;⁵
- v. „ობსტუკციული ქმედება“ არის

(აა) წინასწარი შეცნობით გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან მიჩქმალვა ან გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რაც მიზნად ისახავს ბანკის მიერ კორუფციის, თაღლითობის, წინასწარ განზრახული მოქმედების ან იძულების ფაქტების

¹ ამ კონტექსტში, შესყიდვების პროცესზე და კონტრაქტის განხორციელებაზე ზეგავლენის მოხდენის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს არამართლზომიერი სარგებელის მიღებას ითვლება დაუშვებლად.

² ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „სხვა მხარე“ გულისხმობს საჯარო მოხელეს, რომელიც ჩართულია შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის განხორციელებაში. ამ კონტექსტში „საჯარო მოხელე“ გულისხმობს მსოფლიო ბანკის აპარატის თანამშრომელს ან სხვა იმ ორგანიზაციის მუშაკებს, რომლებიც იღებენ ან ამოწმებენ შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებებს.

³ . ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „მხარე“ გულისხმობს საჯარო მოხელეს; ტერმინები „სარგებელი“ და „ვალდებულება“ უკავშირდება შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის განხორციელებას; ტერმინი „ მოქმედება ან უმოქმედობა“ გულისხმობს ზეგავლენას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის განხორციელებაზე.

⁴ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „ მხარეები“ გულისხმობს შესყიდვების პროცესის მონაწილეებს (მათ შორის, საჯარო მოხელეებს), რომლებიც ცდილობენ თავად ან შესყიდვებისა და შერჩევის პროცესში ან მონაწილეობის უფლების არ მქონე სხვა პირის ან წარმონაქმნის მეშვეობით კონკურსის სიმულაციას და ხელოვნური, არა საკონკურსო ფასის დადგენას ან არიან დაინტერესებული მხარე სატენდერო ფასებისა და სხვა პირობების ინფორმაციის მოპოვებაში.

⁵ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „მხარე“ გულისხმობს შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის შესრულებას ჩართულ მხარეს.

გამოძიებისათვის ხელის შეშლას; ან/და რომელიმე მხარის მიმართ განხორციელებული მუქარა, დევნა ან შანტაჟი, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული მხარის მიერ გამოძიებასთან დაკავშირებული საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა ან გამოძიებასთან თანამშრომლობისათვის ხელის შეშლას, ან

(ბბ) ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის მიერ ინსპექციისა და აუდიტის განხორციელებისათვის არსებითად ხელის შეშლას ქვემოთ მოცემული 1.16 (ე) პარაგრაფის შესაბამისად.

(ბ) უკუაგდებს სატენდერო წინადადებას, თუკი დაადგენს, რომ ტენდერში მონაწილეი ან მისი პერსონალის რომელიმე წევრი ან მისი აგენტი ან მისი ქვეკონსულტანტი, ან ქვეკონტრაქტორი, მომსახურების მომწოდებელი, მომმარაგებელი ან წილადი და მათი მუშახელი პირდაპირ ან ირიბად შემჩნეულნი არიან კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან ობსტუქციულ საქმიანობაში შესაბამისი კონტრაქტის მოპოვების მიზნით;

(გ) შესყიდვას გამოაცხადებს ბათილად და გააუქმებს კონტრაქტთან დაკავშირებული სესხის შესაბამის წილს, თუ იგი დაადგენს, რომ მსესხებელისა ან საკრედიტო სახსრების მიმღები რომელიმე მხარის წარმომადგენლები ჩართულნი არიან კორუფციულ, თაღლითურ იძულებით და ობსტუქციულ საქმიანობაში შესყიდვების ან კონტრაქტის განხორციელების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი არ მიმართავს *ბანკისათვის* დამაკამაყოფილებელ დროულ და აუცილებელ ქმედებებს აღნიშნულ არამართლზომიერ მოქმედებათა აღსაკვეთად, მათ შორის, თუ იგი მყისიერად ვერ აცნობებს ბანკს აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;

(დ) სანქციას დაუწესებს ფირმას ან კერძო პირს ნებისმიერ დროს ბანკის სანქციების აღიარებული პროცედურების⁶ შესაბამისად, რაც მოიცავს ასეთი ფირმის ან კერძო პირის გამოცხადებას უფლებამოსილების არმქონედ განუსაზღვრელი ვადით ან დროის დადგენილ მონაკვეთში: (i) მიიღოს *ბანკის* მიერ დაფინანსებული კონტრაქტი; და (ii) დაიკავოს თანამდებობა⁷

(ე) მოითხოვს, რომ სატენდერო დოკუმენტებში და *ბანკის* მიერ დაფინანსებულ კონტრაქტში შეტანილ იქნეს ცალკე პარაგრაფი, რომელიც დაავალდებულებს ტენდერში მონაწილეებს, მომწოდებლებს და კონტრაქტორებს და მათ ქვე-კონტრაქტორებს, აგენტებს, პერსონალს, კონსულტანტებს, მომსახურების მომწოდებლებს ან მომმარაგებლებს, უზრუნველყონ *ბანკის* შეუფერხებელი დაშვება ტენდერთან და კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიშის, ჩანაწერისა და სხვა დოკუმენტების ინსპექტირებისათვის, და უფლება მისცენ *ბანკის* მიერ დანიშნულ აუდიტორს, ჩაატაროს აუდიტი.

⁶ ფირმა ან კერძო პირი ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტის მიღების უფლების არ მქონედ შეიძლება გამოცხადდეს: (i) ბანკის სანქციების პროცედურების დასრულების შემდეგ, რამდენადაც აღნიშნულ სანქციათა პროცედურები, სხვა პროცედურებთან ერთად, მოიცავს შესაგებებელ უფლებათა ჩამორთმევის პრაქტიკას, რაც შეთანხმებულია სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის მრავალმხრივი განვითარების ბანკებთან, რაც, აგრეთვე, თანხმობაშია მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ შემუშავებულ თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციული შესყიდვების სანქციების საყოველთაო პროცედურებთან; და (ii) მოცემულ მომენტში ან ადრე უფლებამოსილების დროებითი შეჩერების ფაქტების გამო, რაც მიმდინარე სანქციების დაწესების პროცედურებთან არის დაკავშირებული. იხილეთ აღნიშნული გაიდლაინების დანართი 1-ლი, პარაგრაფი 8 და სქოლიო 14.

⁷ ნომინირებული ქვე-კონტრაქტორი, კონსულტანტი, საქონელმწარმოებელი ან მომწოდებელი, მომსახურების მომწოდებელი (ცალკეული სატენდერო დოკუმენტისთვის გამოიყენება განსხვავებული სახელწოდება) არის პირი, რომელიც (i) ტენდერში მონაწილის მიერ დასახელებულია წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევის ან ტენდერის მონაწილედ, რადგან ფლობს სპეციფიკურ და უმნიშვნელოვანეს გამოცდილებასა და ცოდნას, რაც ტენდერში მონაწილეს ეხმარება, დააკმაყოფილოს საჭვალეფიკაციო მოთხოვნები კოკრეტული ტენდერისათვის; ან (ii) პირი, რომელიც დანიშნულია მსესხებელის მიერ.

თავი VIII. კონტრაქტის ზოგადი პირობები

წინამდებარე კონტრაქტის ზოგადი პირობები (კზპ) წაკითხული კონტრაქტის კონკრეტულ პირობებთან (კპპ) ერთად და სხვა აქ ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარმოადგენდეს სრულ დოკუმენტს, რომელიც თანაბრად გამოხატავს ორივე მხარის უფლებებსა და მოვალეობებს.

სარჩევი

ა.

კონტრაქტის ზოგადი პირობები.....	63
ზოგადი ნაწილი.....	63
1. განსაზღვრებები.....	63
2. ინტერპრეტაცია.....	რჩორ! ოკეპარკ ნოტ დეფინედ.
3. კონტრაქტის ენა და კანონი.....	66
4. პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილებები.....	66
5. უფლებამოსი-ლების გადაცემა.....	66
6. კავშირი მხარეთა შორის.....	66
7. ქვეკონტრაქტორები.....	66
8. სხვა კონტრაქტორები.....	66
9. პერსონალი და აღჭურვილობა.....	67
10. დამკვეთისა და კონტრაქტორის რისკები.....	67
11. დამკვეთის რისკები.....	67
12. კონტრაქტორის რისკები.....	68
13. დაზღვევა.....	68
14. ობიექტის მონაცემები.....	68
15. კონტრაქტორის მიერ ობიექტის მშენებლობა.....	68
16. ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის.....	68
17. პროექტის მენეჯერის თანხმობა.....	69
18. უსაფრთხოება.....	69
19. აღმოჩენები.....	69
20. ობიექტის ტერიტორიის გადაცემა.....	69
21. ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა.....	69
22. მითითებები, ინსპექტირება და აუდიტი.....	69
23. მომრიგებლის დანიშვნა.....	70
24. დავების გადაწყვეტის პროცედურა.....	70
26. პროგრამა.....	71
27. ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გაგრძელება.....	71
28. დაჩქარება.....	72
29. პროექტის მენეჯერის ბრძანებით გამოწვეული დაყოვნებები.....	72
30. ადმინისტრაციული თათბირები.....	72
31. დროული გაფრთხილება.....	72
გ. ხარისხის კონტროლი.....	72
32. დეფექტების გამოვლენა.....	73
33. გამოცდა.....	73
34. დეფექტების გასწორება.....	73
35. გაუსწორებელი დეფექტები.....	73
დ. ხარჯების კონტროლი.....	73
36. კონტრაქტის ფასი.....	73
37. კონტრაქტის ფასის ცვლილებები.....	73
38. ვარიაციები.....	74
39. უფლადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი.....	74
40. გადახდის სერთიფიკატები.....	74
41. გადახდები.....	75
42. საკომპენსაციო გარემოებები.....	75
43. გადასახადები.....	76
44. ვალუტები.....	76
45. ფასის კორექტირება.....	76

46.	თანხების დაკავება.....	77
47.	ჯარიმა ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის.....	77
48.	პრემია.....	78
49.	სააგანსო გადახდა.....	78
50.	გარანტიები.....	78
51.	დღიური სამუშაოები.....	78
52.	სარემონტო სამუშაოების ღირებულება.....	79

ე. კონტრაქტის დამთავრება..... 79

53.	ობიექტის დასრულება.....	79
54.	ობიექტის ჩაბარება.....	79
55.	საბოლოო ანგარიშსწორება.....	79
56.	ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვა-ნელოები.....	79
57.	კონტრაქტის შეწყვეტა.....	80
58.	გადახდა კონტრაქტის შეწყვეტისას.....	80
59.	საკუთრება.....	81
60.	კონტრაქტის შესრულების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.....	81
61.	ბანკის სესხის ან კრედიტის შეჩერება.....	81

კონტრაქტის ზოგადი პირობები

ზოგადი ნაწილი

1. განსაზღვრებები 1.1 განმარტებული ტერმინები მუქი შრიფტით არის გამოყოფილი.
- (ა) **კონტრაქტის მიღებული თანხა** წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც “მიღების წერილის” საშუალებით იქნა მიღებული სამუშაოების განხორციელებისა და დასრულების და ნებისმიერი დეფექტების გასწორებისათვის.
- (ბ) **საქმიანობის გრაფიკი წარმოადგენს** სამუშაოების მშენებლობის, მონტაჟის, გამოცდის და ექსპლუატაციაში შეყვანის გრაფიკს ფიქსირებულ ფასიან კონტრაქტში. მასში შედის თითოეული საქმიანობის პაუშალური ფასი, რომელიც გამოიყენება შეფასებისათვის და შესწორებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ზეგავლენის შესაფასებლად.
- (გ) **მომრიგებელი** არის პიროვნება, რომელიც ერთობლივად იქნა დანიშნული დამკვეთისა და კონტრაქტორის მიერ პირველ ინსტანციაში დავის გადასაწყვეტად წინამდებარე „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 23 პარაგრაფის შესაბამისად.
- (დ) **ბანკი** ნიშნავს დამფინანსებელ ინსტიტუტს რომელიც მითითებულია “კონტრაქტის კონკრეტული პირობებ”-ში.
- (ე) **სამუშაოთა მოცულობების უწყისი** ნიშნავს განფასებულ და შევსებულ სამუშაოთა მოცულობების უწყისს, რომელიც წარმოადგენს სატენდერო წინადადების შემადგენელ ნაწილს.
- (ვ) **საკომპენსაციო გარემოებები** ნიშნავს წინამდებარე „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ პარაგრაფში 42 განსაზღვრულ გარემოებებს.
- (ზ) **დასრულების თარიღი** ნიშნავს სამუშაოთა დასრულების თარიღს, რომელიც დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ ქვე-პარაგრაფის 53.1 შესაბამისად.
- (თ) **კონტრაქტი** წარმოადგენს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის სამუშაოების განხორციელების, დასრულებისა და უზრუნველყოფის თაობაზე გაფორმებულ კონტრაქტს. ის შედგება „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 2.3 ქვე-პარაგრაფში ჩამოთვლილი დოკუმენტებისაგან.
- (ი) **კონტრაქტორი** ნიშნავს მხარეს, რომლის სატენდერო წინადადება სამუშაოთა განხორციელების თაობაზე მიღებული იქნა დამკვეთის მიერ.
- (კ) **კონტრაქტორის სატენდერო წინადადება** ეწოდება შევსებულ სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც კონტრაქტორმა წარუდგინა დამკვეთს.
- (ლ) **კონტრაქტის ფასი** წარმოადგენს კონტრაქტის მიღებულ თანხას, რომელიც აღნიშნულია „მიღების წერილში“, კონტრაქტის პირობების შესაბამისად განხორციელებული შემდგომი კორექტირების ჩათვლით.
- (მ) **დღეები** ეწოდება კალენდარულ დღეებს და თვეები – თვეები კალენდარულ თვეებს.
- (ნ) **დღიური სამუშაოები** წარმოადგენს სამუშაოთა სხვადასხვა მოცულობებს, რომელთა ანაზღაურებაც მოხდება კონტრაქტორის მიერ მუშაკებისა და აღჭურვილობის გამოყენების დროის მონაკვეთის საფუძველზე, შესაბამისი მასალებისა და

დანადგარებისათვის გადახდებთან ერთად.

- (ო) **დეფექტი** წარმოადგენს სამუშაოთა ნებისმიერ ნაწილს, რომელიც არ არის დასრულებული კონტრაქტის შესაბამისად.
- (პ) **დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატი** წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ დეფექტების გასწორების შემდეგ პროექტის მენეჯერის მიერ გაცემულ სერთიფიკატს.
- (ჟ) **დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი** წარმოადგენს „კონტრაქტის კონკრეტული პირობების“ ქვე-პარაგრაფში 34.1 მითითებულ პერიოდს, რომელიც იანგარიშება დასრულების თარიღიდან.
- (რ) **ნახაზები** ნიშნავს სამუშაოთა ნახაზებს, რომელიც თანდართულია კონტრაქტში, და ყველა დამატებით და შეცვლილ ნახაზებს, რომელიც გაცემულია დამკვეთის (ან დამკვეთის სახელით), კონტრაქტის შესაბამისად. მათ შორის, მოიცავს გაანგარიშებებსა და სხვა ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია ან დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ კონტრაქტის განსახორციელებლად.
- (ს) **დამკვეთი** არის მხარე, რომელიც ქირაობს კონტრაქტორს სამუშაოების განსახორციელებლად „კონტრაქტის კონკრეტული პირობების“ შესაბამისად.
- (ტ) **აღჭურვილობა** ნიშნავს კონტრაქტორის ტექნიკასა და მანქანებს, რომლებიც სამუშაოების განხორციელების მიზნით დროებით მიყვანილია სამშენებლო მოედანზე.
- (უ) **“წერილობით” ან “წერილობითი ფორმით”** ნიშნავს ხელით დაწერილს, დაბეჭდილს, ამობეჭდილს ან ელექტრონულ დოკუმენტს, რომელიც შედეგად გარდაიქმნება მუდმივ ჩანაწერად.
- (ფ) **კონტრაქტის საწყისი ფასი** წარმოადგენს დამკვეთის მიერ „მიღების წერილში“ მითითებულ კონტრაქტის ფასს.
- (ქ) **დასრულების დაგეგმილი თარიღი** ეწოდება იმ თარიღს, როდესაც კონტრაქტორს დაგეგმილი აქვს ობიექტის დასრულება. ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი აღნიშნულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. პროექტის მენეჯერს შეუძლია ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღის შეცვლა ვადის გაგრძელების ან დაჩქარების შესახებ ბრძანების გამოცემის გზით.
- (ღ) **მასალები** ეწოდება ყველა მასალას, სახარჯო მასალების ჩათვლით, რომელიც გამოყენებულია კონტრაქტორის მიერ სამუშაოების შესასრულებლად.
- (ყ) **დანადგარები** ნიშნავს ობიექტის განუყოფელ ნაწილებს, რომლებიც ასრულებენ მექანიკურ, ელექტრო, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ფუნქციებს.
- (შ) **პროექტის მენეჯერი** არის „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ დასახელებული პირი, (ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური პირი, რომელსაც პროექტის მენეჯერის ნაცვლად დანიშნავს დამკვეთი და შეატყობინებს ამის შესახებ კონტრაქტორს), რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოთა შესრულების ზედამხედველობაზე და კონტრაქტის მართვაზე.
- (ჩ) **კვპ** ნიშნავს კონტრაქტის კონკრეტულ პირობებს.
- (ც) **ობიექტის ტერიტორია** ეწოდება იმ ადგილს, რომელიც ასე არის განსაზღვრული „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ .
- (ძ) **ობიექტის ტერიტორიის შესწავლის ანგარიშები** ეწოდება სატენდერო

დოკუმენტაციაში შეტანილ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ფაქტიურ და განმარტებით ანგარიშს ობიექტის ტერიტორიის ზედაპირისა და მიწისქვეშა მდგომარეობის შესახებ.

(წ) **სპეციფიკაციები** ეწოდება კონტრაქტში შეტანილ სამუშაოების სპეციფიკაციებს და ნებისმიერ შესწორებას ან დამატებას, რომელიც გაკეთებულია ან დამტკიცებულია პროექტის მენეჯერის მიერ.

(ჭ) **დაწყების თარიღი** მითითებულია პროექტის კონკრეტულ პირობებში. ეს არის თარიღი, როდესაც კონტრაქტორმა სამუშაოების განხორციელება უნდა დაიწყოს. ეს თარიღი შეიძლება არ ემთხვეოდეს ობიექტის ტერიტორიის ფლობის/გადაცემის თარიღებს.

(ბ) **ქვეკონტრაქტორი** წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება კონტრაქტორთან სამუშაოების ნაწილის შესრულებაზე კონტრაქტის ფარგლებში, ობიექტზე სამუშაოების ჩათვლით.

(ჯ) **დროებითი სამუშაო** წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ დაპროექტებულ, აშენებულ, დამონტაჟებულ და გაუქმებულ სამუშაოებს, რომლებიც საჭიროა სამუშაოების აშენების ან მონტაჟისათვის.

(კ) **ვარიაცია** წარმოადგენს პროექტის მენეჯერის მიერ გაცემულ განკარგულებას, რომელიც სამუშაოების ცვლილებას იწვევს.

(აა) **სამუშაო** ნიშნავს იმას, რაც კონტრაქტორმა უნდა ააშენოს, დაამონტაჟოს და დამკვეთს გადასცეს კონტრაქტის მიხედვით, როგორც მითითებულია კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში.

2.1 წინამდებარე კონტრაქტის პირობების ინტერპრეტირებისას მხოლოდითი რიცხვი ნიშნავს მრავლობითსაც, მამრობითი გრამატიკული სქესი ნიშნავს ასევე მდედრობითსა და საშუალოს, სქესს და პირიქით. სათაურებს არა აქვს მნიშვნელობა. სიტყვები იხმარება თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით კონტრაქტის ენაში, საგანგებოდ განსაზღვრული შემთხვევების გარდა. პროექტის მენეჯერმა უნდა წარმოადგინოს განმარტებები წინამდებარე „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ შესახებ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

2.2 თუ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ გათვალისწინებულია ობიექტის ნაწილ-ნაწილ დასრულება, მაშინ „კონტრაქტის ზოგად პირობებში“ მითითებული ობიექტი, **დასრულების თარიღი** და **დასრულების დაგეგმილი თარიღი** შეიძლება ეხებოდეს ობიექტის ნებისმიერ ნაწილს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მითითებულია მთლიანი ობიექტის **დასრულების თარიღი** და **დასრულების დაგეგმილი თარიღი**)

2.3 კონტრაქტის შემადგენელი დოკუმენტაცია ინტერპრეტირებული უნდა იქნას დოკუმენტების პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგი თანამიმდევრობის შესაბამისად:

- (ა) ხელშეკრულება,
- (ბ) მიღების წერილი,

- (გ) კონტრაქტორის სატენდერო წინადადება,
- (დ) კონტრაქტის კონკრეტული პირობები,
- (ე) კონტრაქტის ზოგადი პირობები, დანართის ჩათვლით
- (ვ) სპეციფიკაციები,
- (ზ) ნახაზები
- (თ) სამუშაოთა მოცულობების უწყისი
- (ი) ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, დასახელებული „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ როგორც კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი.

- 3. კონტრაქტის ენა და კანონი**
- 3.1 კონტრაქტის ენა და კონტრაქტის მარეგულირებელი კანონმდებლობა მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“.
- 3.2. კონტრაქტის განხორციელების პერიოდში, კონტრაქტორი დაიცავს დამკვეთის ქვეყნის აკრძალვებს საქონლისა და მომსახურების იმპორტთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ
- ა) კანონით ან ოფიციალური რეგულაციების თანახმად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს სავაჭრო ურთიერთობებს იმ ქვეყანასთან;
- ბ) შესატყვისობის აქტით გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებასთან, რომელიც მიღებულია გაეროს დებულების VII თავის შესაბამისად, დამკვეთის ქვეყანა კრძალავს ნებისმიერი სახის საქონლის იმპორტს ამ ქვეყნიდან ან გადახდებს ამ ქვეყნისათვის, ან მისი ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისათვის.
- 4. პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილებები**
- 4.1 გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სხვაგვარი მითითება, დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს პროექტის მენეჯერი, რომელიც დამკვეთის წარმომადგენელია.
- 5. უფლებამოსილების გადაცემა**
- 5.1 კვპ-ში სხვაგვარი მითითების არარსებობის შემთხვევაში, კონტრაქტის მენეჯერს შეუძლია თავისი ნებისმიერი ვალდებულებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემა (მომრიგებლის გარდა) კონტრაქტორისათვის შეტყობინების მიწოდების შემდეგ და შეუძლია ამ გადაწყვეტილების გაუქმება კონტრაქტორისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.
- 6. კავშირი მხარეთა შორის**
- 6.1 კონტრაქტის პირობებში მითითებული კავშირი მხარეთა შორის მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძალაში, თუ ხორციელდება წერილობით. შეტყობინება ძალაშია მხოლოდ მისი მიწოდების შემდეგ.
- 7. ქვეკონტრაქტორები**
- 7.1 პროექტის მენეჯერის თანხმობის საფუძველზე კონტრაქტორს შეუძლია სამუშაოების ნაწილზე ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ არა აქვს უფლება გადასცეს მას კონტრაქტი დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე. ქვეკონტრაქტორთან კონტრაქტის გაფორმება არ ცვლის კონტრაქტორის ვალდებულებებს.
- 8. სხვა კონტრაქტორები**
- 8.1 კონტრაქტორმა უნდა ითანამშრომლოს სხვა კონტრაქტორებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, კომუნალურ სამსახურებთან და მათთან ერთად იმუშაოს ობიექტის ტერიტორიაზე „სხვა კონტრაქტორების გრაფიკში“ მითითებულ პერიოდში, როგორც „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ აღნიშნული. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მათთვის ის ნაგებობები და მომსახურება, რომელიც „სხვა კონტრაქტორების

გრაფიკში“ მითითებული. დამკვეთს შეუძლია „სხვა კონტრაქტორების გრაფიკში“ ცვლილებების შეტანა და მან უნდა აცნობოს კონტრაქტორს ნებისმიერი ამგვარი ცვლილებების შესახებ.

- 9. პერსონალი და აღჭურვილობა**
- 9.1 კონტრაქტორმა უნდა დაიქირავოს ის ძირითადი პერსონალი და გამოიყენოს ის აღჭურვილობა, რომელიც აღნიშნულია მის სატენდერო წინადადებაში, ან პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა პერსონალი ან აღჭურვილობა. პროექტის მენეჯერი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაამტკიცებს ძირითადი პერსონალის ცვლილებას, თუ შემოთავაზებული კანდიდატების კვალიფიკაცია და შემოთავაზებული აღჭურვილობის ტექნიკური მახასიათებლები არსებითად თანაბარია ან აღემატება სატენდერო წინადადებაში აღნიშნულს.
- 9.2 თუ პროექტის მენეჯერი დასაბუთებულად მოითხოვს კონტრაქტორისაგან მისი რომელიმე სამტატო ან შტატგარეშე თანამშრომლის ობიექტიდან გათავისუფლებას, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პირმა დატოვოს ობიექტის ტერიტორია 7 დღის განმავლობაში და მომავალში არ ჰქონდეს კავშირი კონტრაქტის სამუშაოებთან.
- 9.3 თუ დამკვეთი, პროექტის მენეჯერი ან კონტრაქტორი განსაზღვრავს, რომ სამუშაოების განხორციელების განმავლობაში კონტრაქტორის რომელიმე თანამშრომელი ჩართულია კორუფციულ, თაღლითობის, ზეწოლის ან გარიგების საქმიანობაში, ან ობსტრუქციაში, მაშინ ეს თანამშრომელი გათავისუფლებული იქნება ზემოთმოყვანილი პარაგრაფის 9.2 თანახმად.
- 10. დამკვეთისა და კონტრაქტორის რისკები**
- 10.1 დამკვეთს ეკისრება ის რისკი, რომელიც წინამდებარე კონტრაქტის თანახმად მიჩნეულია დამკვეთის რისკად, ხოლო კონტრაქტორს ეკისრება ის რისკი, რომელიც წინამდებარე კონტრაქტის თანახმად მიჩნეულია კონტრაქტორის რისკად.
- 11. დამკვეთის რისკები**
- 11.1 დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში დამკვეთის რისკებად ითვლება:
- (ა) პერსონალის ტრავმების ან სიკვდილის, ქონების (სამუშაოების, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის გარდა) დაკარგვის ან დაზიანების რისკები, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:
- (i) სამუშაოების მიერ ან სამუშაოების მიზნებისათვის ობიექტის გამოყენება ან დაკავება, რაც სამუშაოების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს;
- (ii) დამკვეთის მხრიდან ან დამკვეთის მიერ დაქირავებული ან კონტრაქტის საფუძველზე აყვანილი ნებისმიერი პირის მხრიდან (კონტრაქტორის გარდა) დაუდევრობა, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან კანონიერი უფლებების დარღვევა
- (ბ) სამუშაოების, დანადგარების, მასალებისა და აღჭურვილობის დაზიანების რისკი იმდენად, რამდენადაც ეს წარმოადგენს დამკვეთის ან მისი პროექტის ბრალს ან გამოწვეულია ომით ან რადიაციული დაზიანებებით, რომელიც განიცადა ქვეყანამ, სადაც ობიექტი უნდა აშენებულიყო.
- 11.2 დასრულების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში ობიექტის, დანადგარების და მასალების დაკარგვისა და დაზიანების რისკები დამკვეთის რისკებად ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც დაკარგვა და დაზიანება გამოწვეულია:
- (ა) იმ დეფექტით, რომელიც დასრულების დღეს არსებობდა;

- (ბ) იმ მოვლენით, რომელიც დასრულების თარიღამდე მოხდა და არ ითვლება დამკვეთის რისკად;
- (გ) კონტრაქტორის საქმიანობით ობიექტის ტერიტორიაზე დასრულების თარიღის შემდგომ პერიოდში.

12. კონტრაქტორის რისკები

12.1 დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატის გაცემის თარიღამდე პერიოდში პერსონალის ტრავმების ან სიკვდილის, ქონების (ობიექტის, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის ჩათვლით) დაკარგვისა და დაზიანების რისკები, რომლებიც არ წარმოადგენს დამკვეთის რისკს, ითვლება კონტრაქტორის რისკებად.

13. დაზღვევა

13.1 კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთისა და კონტრაქტორის ერთობლივი სახელით დააზღვიოს ობიექტი დაწყების თარიღიდან დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლამდე იმ თანხასა და ფრანშიზაზე, რომელიც მოცემულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. დაზღვევას ექვემდებარება კონტრაქტორის რისკად მიჩნეული შემდეგი გარემოებები:

- (ა) ობიექტის, დანადგარებისა და მასალების დაკარგვა ან დაზიანება;
- (ბ) აღჭურვილობის დაკარგვა ან დაზიანება;
- (გ) ქონების დაკარგვა ან დაზიანება (ობიექტის, დანადგარების, მასალების და აღჭურვილობის გარდა) კონტრაქტთან დაკავშირებით;
- (დ) ადამიანების ტრავმები ან სიკვდილი.

13.2 ობიექტის დაწყების თარიღამდე კონტრაქტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს სადაზღვევო პოლისები და სერთიფიკატები. ყველა მათგანში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაციის გადახდა იმ ვალუტაში და იმ პროპორციული ოდენობით, რომელიც საჭიროა გაწეული ზარალისა და დანაკარგის ასანაზღაურებლად.

13.3 თუ კონტრაქტორმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული პოლისები ან სერთიფიკატები, დამკვეთს შეუძლია კონტრაქტორის ნაცვლად თვითონ უზრუნველყოს დაზღვევა და გამოქვითოს სადაზღვევო შენატანების თანხა კონტრაქტორისთვის გადასახდელი თანხებიდან, ან თუ ამგვარი გადახდები გათვალისწინებული არ არის, სადაზღვევო შენატანების თანხა მიჩნეული იქნება კონტრაქტორის ვალად.

13.4 არ შეიძლება დაზღვევის პირობების შეცვლა პროექტის მენეჯერის თანხმობის გარეშე.

13.5 ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს სადაზღვევო პოლისების ყველა პირობა.

14. ობიექტის მონაცემები

14.1 კონტრაქტორს შესწავლილი უნდა ჰქონდეს ობიექტის ყველა მონაცემი, რომელიც მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“, რასაც ემატება ტენდერის მონაწილისათვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია.

15. კონტრაქტორის მიერ ობიექტის მშენებლობა

15.1 კონტრაქტორმა უნდა ააშენოს და დაამონტაჟოს ობიექტი სპეციფიკაციებისა და ნახაზების შესაბამისად.

16. ობიექტის

16.1 კონტრაქტორს შეუძლია დაიწყოს ობიექტის მშენებლობა დაწყების

დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის	თარიღიდან. კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს სამუშაოები მის მიერ წარდგენილი პროგრამის შესაბამისად, რომელიც შეიძლება განახლებული იქნას პროექტის მენეჯერის თანხმობით და უნდა დაასრულოს ობიექტი დასრულების დაგეგმილი თარიღისათვის.
17. პროექტის მენეჯერის თანხმობა	<p>17.1 კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სპეციფიკაციები და ნახაზები, რომლებშიც ნაჩვენებია იქნება დაგეგმილი დროებითი სამუშაოები.</p> <p>17.2 კონტრაქტორი პასუხისმგებელია დროებითი სამუშაოების პროექტზე.</p> <p>17.3 პროექტის მენეჯერის თანხმობა არ შეცვლის დროებითი სამუშაოების პროექტზე კონტრაქტორის პასუხისმგებლობას.</p> <p>17.4 როდესაც ეს საჭიროა, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს მესამე მხარის თანხმობა დროებითი სამუშაოების პროექტებზე.</p> <p>17.5 კონტრაქტორის მიერ დროებითი ან მუდმივი სამუშაოების მშენებლობისათვის მომზადებული ყველა ნახაზი წინასწარ უნდა იქნას დამტკიცებული პროექტის მენეჯერის მიერ, მათ გამოყენებამდე.</p>
18. უსაფრთხოება	18.1 კონტრაქტორი პასუხისმგებელია მის მიერ ობიექტის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქმიანობის უსაფრთხოებაზე.
19. აღმოჩენები	19.1 ობიექტის ტერიტორიაზე მოულოდნელად აღმოჩენილი ყველა ისტორიული ან რაიმე სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ან დიდი ღირებულების საგანი დამკვეთის საკუთრებას წარმოადგენს. კონტრაქტორმა უნდა შეატყობინოს პროექტის მენეჯერს ამგვარი აღმოჩენების შესახებ და უნდა შეასრულოს პროექტის მენეჯერის მითითებები მათ თაობაზე.
20. ობიექტის ტერიტორიის გადაცემა	20.1 დამკვეთმა ობიექტის ტერიტორია მთლიანად უნდა გადასცეს კონტრაქტორს. თუ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მოცემული თარიღისათვის მისი რომელიმე ნაწილი არ არის გადაცემული კონტრაქტორისათვის, მიჩნეული იქნება, რომ დამკვეთი აყოვნებს შესაბამისი საქმიანობის დაწყებას და ეს საკომპენსაციო გარემოებას წარმოადგენს.
21. ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა	21.1 კონტრაქტორმა უნდა მისცეს საშუალება პროექტის მენეჯერს და პროექტის მენეჯერის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს შევიდეს ობიექტის ტერიტორიაზე ან ნებისმიერ ადგილას, სადაც ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს კონტრაქტთან დაკავშირებული სამუშაოები.
22 მითითებები, ინსპექტირება და აუდიტი	<p>22.1 კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს პროექტის მენეჯერის ყველა განკარგულება, რომელიც შეესაბამება იმ ადგილის კანონმდებლობას, სადაც ობიექტია განლაგებული.</p> <p>22.2 კონტრაქტორმა უნდა აწარმოოს, და ყველანაირ ძალისხმევას მიმართოს რათა უზრუნველყოს, რომ მისმა ქვე-კონტრაქტორებმა და ქვე-კონსულტანტებმა აწარმოონ ზუსტი და სისტემატიური აღრიცხვა და ანგარიშები სამუშაოებთან დაკავშირებით, იმ ფორმითა და დეტალურობით, რომ ნათლად განისაზღვროს შესაბამისი ცვლილებები დროსა და ხარჯებში.</p> <p>22.3 კონტრაქტორმა ნება უნდა დაერთოს და უზრუნველყოს, რომ მისმა ქვეკონტრაქტორებმა და ქვეკონსულტანტებმაც ნება დართონ ბანკს და/ან ბანკის მიერ დანიშნულ პიროვნებას, შეამოწმოს ობიექტი და/ან კონტრაქტორის და მისი ქვე-კონტრაქტორების ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტის შესრულებასთან</p>

და სატენდერო წინადადების წარდგენასთან, და ჩაატაროს მათი აუდიტი ბანკის მიერ დანიშნული აუდიტორების საშუალებით, თუ ბანკი ამას მოითხოვს. კონტრაქტორმა და მისმა ქვეკონტრაქტორმა და ქვეკონსულტანტმა ყურადღება უნდა მიაქციონ 57.1 ქვე-პარაგრაფს, სადაც მათ შორის, მითითებულია, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის ბანკს ჩაატაროს ინსპექტირება და აუდიტი წინამდებარე 22.2 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, წარმოადგენს აკრძალულ პრაქტიკას და კონტრაქტის შეწყვეტის წინაპირობას (ასევე, გამოიწვევს არაუფლებამოსილად გამოცხადებას, ბანკის საჯარიმო სანქციების პროდეცურების შესაბამისად).

23. მომრიგებლის დანიშვნა

23.1 დამკვეთმა და კონტრაქტორმა ერთობლივად უნდა დაასახელონ მომრიგებელი დამკვეთის მიერ გამოცემულ „მიღების წერილში“. თუ „მიღების წერილში“ დამკვეთი არ ასახელებს მომრიგებელს, მან მომრიგებლის დანიშვნის თხოვნით უნდა მიმართოს „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ დასახელებულ უწყებას, რომელმაც მომრიგებელი უნდა დანიშნოს ამგვარი თხოვნის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

23.2 მომრიგებლის გადაგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ან თუ დამკვეთი და კონტრაქტორი შეთანხმდებიან, რომ მომრიგებელი არ მოქმედებს კონტრაქტის დებულებების მიხედვით, დამკვეთმა და კონტრაქტორმა ერთობლივად უნდა დანიშნონ ახალი მომრიგებელი. თუ დამკვეთი და კონტრაქტორი 30 დღის განმავლობაში ვერ შეთანხმდნენ მომრიგებლის დანიშვნაზე, მომრიგებელს დაასახელებს „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ დასახელებული შესაბამისი უწყება რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ამგვარი მოთხოვნის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

24. დაფების გადაწყვეტის პროცედურა

24.1 თუ კონტრაქტორის აზრით, პროექტის მენეჯერის გადაწყვეტილება სცილდება კონტრაქტის ფარგლებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს ან არასწორად იქნა მიღებული, პროექტის მენეჯერის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება მომრიგებელს უნდა წარედგინოს.

24.2 დავის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 28 დღის განმავლობაში მომრიგებელმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი გადაწყვეტილება.

24.3 მომრიგებელს ექნება საათობრივი ანაზღაურება „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული განაკვეთის შესაბამისად, და აუნაზღაურდება „საკონტრაქტო მონაცემებში“ აღნიშნული ანაზღაურებად ხარჯები. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მომრიგებელი, ზემოაღნიშნული ხარჯები თანაბრად უნდა განაწილდეს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის. მომრიგებლის მიერ წერილობითი გადაწყვეტილების მიღებიდან 28 დღის განმავლობაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს. თუ ზემოაღნიშნული 28 დღის განმავლობაში არცერთი მხარე არ მიმართავს არბიტრაჟს, მომრიგებლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო.

24.4 არბიტრაჟი უნდა ჩატარდეს იმ უწყების მიერ გამოქვეყნებული პროცედურების შესაბამისად და იმ ადგილას, რომელიც „კონტრაქტის კონკრეტული პირობებში“ არის მითითებული.

25. კორუფცია და თაღლითობა

25.1 ბანკი მოითხოვს კორუფციისა და თაღლითობის თავის პოლიტიკასთან შესატვისობას, რომელიც მოცემულია კუპ-ის დანართში.

25.2 დამკვეთი კონტრაქტორისაგან მოითხოვს, რომ მან გაამჟღავნოს სატენდერო პროცესთან ან კონტრაქტის განხორციელებასთან დაკავშირებული შუამავლებისათვის ან სხვა მხარეებისათვის გადახდილი ან გადასახდელი ნებისმიერი სახის საკომისიოები ან ჰონორარები. გამჟღავნებული ინფორმაცია სულ მცირე უნდა შეიცავდეს შუამავლის ან სხვა მხარის დასახელებასა და მისამართს, და საკომისიოს, ანაზღაურების ან ჰონორარის დანიშნულებას.

ბ. ვადების კონტროლი

26. პროგრამა

26.1 „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ აღნიშნულ პერიოდში „მიღების წერილის“ თარიღის შემდეგ, კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროგრამა, რომელიც ასახავს სამუშაოთა წარმოების ზოგად მეთოდებს, ორგანიზაციას, თანამიმდევრობას და ვადებს. ფიქსირებულ ფასიანი კონტრაქტის შემთხვევაში პროგრამაში და საქმიანობის გრაფიკში ასახული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

26.2 განახლებული პროგრამა წარმოადგენს პროგრამას, რომელშიც ნაჩვენებია იქნება თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე, საქმიანობების თანამიმდევრობის ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით.

26.3 კონტრაქტორმა განახლებული პროგრამა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს არა უგვიანეს დროის იმ ინტერვალისა, რომელიც მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორმა მითითებულ ვადებში ვერ წარუდგინა პროექტის მენეჯერს განახლებული პროგრამა, პროექტის მენეჯერს შეუძლია გადახდის შემდეგი სერთიფიკატიდან დაუკავოს კონტრაქტორს „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ დადგენილი თანხა და დაკავებული ჰქონდეს ეს თანხა შემდეგ გადახდამდე, რომელიც პროგრამის დაგვიანებით წარდგენის თარიღის შემდეგ განხორციელდება. ფიქსირებულ ფასიანი კონტრაქტის შემთხვევაში კონტრაქტორმა საქმიანობის განახლებული გრაფიკი უნდა წარმოადგინოს პროექტის მენეჯერის შესაბამისი მითითების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

26.4 პროექტის მენეჯერის მიერ პროგრამის დამტკიცება არ ცვლის კონტრაქტორის ვალდებულებებს. ნებისმიერ მომენტში კონტრაქტორს შეუძლია პროგრამის გადასინჯვა და პროექტის მენეჯერისათვის ხელახლა წარდგენა. გადასინჯულ პროგრამაში ნაჩვენებია უნდა იყოს შესწორებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ზეგავლენა

27. ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გაგრძელება

27.1 პროექტის მენეჯერმა უნდა გააგრძელოს ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი, თუ ადგილი ჰქონდა საკომპენსაციო გარემოებებს, ან გაცემული იქნა ცვლილების შესახებ განკარგულება, რომელთა გამო შეუძლებელი გახდა ობიექტის დასრულება დაგეგმილი თარიღისათვის კონტრაქტორის მიერ სამუშაოთა დაჩქარების გარეშე, რაც გამოიწვევს კონტრაქტორის დამატებით ხარჯებს.

27.2 პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს გააგრძელოს თუ არა და რა პერიოდით გააგრძელოს ობიექტის დასრულების ვადა 21 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კონტრაქტორი მიმართავს მას საკომპენსაციო გარემოებებთან ან ცვლილების შესახებ განკარგულებასთან დაკავშირებით ვადის გაგრძელების თხოვნით და წარუდგენს სრულ დამადასტურებელ ინფორმაციას. თუ კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო დაყოვნების შესახებ დროული გაფრთხილების წარდგენა ან ხელს არ უწყობდა ამ დაყოვნების აღმოფხვრას, ამგვარი დაყოვნება არ იქნება გათვალისწინებული ახალი დაგეგმილი დასრულების თარიღის

განსაზღვრის დროს.

- 28. დაჩქარება**
- 28.1 როდესაც დამკვეთს სურს, რომ კონტრაქტორმა ობიექტი დასრულების დაგეგმილ თარიღზე ადრე დაასრულოს, პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორისაგან უნდა მიიღოს წინადადება დაჩქარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ მათი ფასების მითითებით. თუ დამკვეთი მიიღებს ამ წინადადებას, ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი შესაბამისად უნდა შესწორდეს და დამტკიცებულ იქნას როგორც დამკვეთის, ასევე კონტრაქტორის მიერ.
- 28.2 თუ დამკვეთი მიიღებს დაჩქარების ღონისძიებებისა და მათი ფასების შესახებ კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, ეს წინადადება გათვალისწინებული იქნება კონტრაქტის ფასში და ჩაითვლება ცვლილებად.
- 29. პროექტის მენეჯერის ბრძანებით გამოწვეული დაყოვნებები**
- 29.1 პროექტის მენეჯერს შეუძლია მისცეს მითითება კონტრაქტორს სამუშაოების დაწყების დაყოვნების ან სამუშაოების ფაგლებში ნებისმიერი საქმიანობის დაყოვნების შესახებ.
- 30. ადმინისტრაციული თათბირები**
- 30.1 პროექტის მენეჯერს და კონტრაქტორს შეუძლიათ მოსთხოვონ ერთმანეთს ადმინისტრაციულ თათბირებზე დასწრება. ადმინისტრაციული თათბირების მიზანია შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული გეგმების განხილვა და დროული გაფრთხილების პროცედურის შესაბამისად წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.
- 30.2 პროექტის მენეჯერმა უნდა შეადგინოს ადმინისტრაციული თათბირის ოქმი, რომლის ასლები დაურიგდებათ თათბირზე დამსწრეებსა და დამკვეთს. ჩასატარებელი ღონისძიებების მიმართ მხარეების პასუხისმგებლობა პროექტის მენეჯერის მიერ გადაწყდება ან ადმინისტრაციულ თათბირზე ან მის შემდგომ და წერილობითი ფორმით დაეგზავნება ყველა დამსწრეს.
- 31. დროული გაფრთხილება**
- 31.1 კონტრაქტორი ვალდებულია შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში მოაწოდოს პროექტის მენეჯერს ინფორმაცია მოსალოდნელ მოვლენებზე ან გარემოებებზე, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედონ სამუშაოთა ხარისხზე, გაზარდონ კონტრაქტის ღირებულება ან შეაყოვნონ სამუშაოთა განხორციელება. პროექტის მენეჯერს შეუძლია მოსთხოვოს კონტრაქტორს, შეაფასოს ამგვარი მოვლენებითა და გარემოებებით გამოწვეული ზემოქმედება კონტრაქტის ღირებულებაზე ან ობიექტის დასრულების ვადაზე. კონტრაქტორმა მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული შეფასება.
- 31.2 კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერთან ერთად უნდა მოამზადოს და განიხილოს წინადადებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სამუშაოთა რომელიმე მონაწილის მიერ ზემოაღნიშნული მოვლენებისა და გარემოებების ზემოქმედების თავიდან აცილება ან შერბილება და ხელი უნდა შეუწყოს პროექტის მენეჯერის შესაბამისი განკარგულებების განხორციელებას.

გ. ხარისხის კონტროლი

32. **დეფექტების გამოვლენა** 32.1 პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის მუშაობა და შეატყობინოს მას ყველა აღმოჩენილი დეფექტის შესახებ. ამგვარი შემოწმება არ ახდენს გავლენას კონტრაქტორის მოვალეობებზე. პროექტის მენეჯერს შეუძლია მისცეს კონტრაქტორს მითითება მოძებნოს დეფექტი, გახსნას და გამოსცადოს ობიექტის ნებისმიერი ნაწილი, რომელსაც პროექტის მენეჯერის აზრით რაიმე დეფექტი აქვს.
33. **გამოცდა** 33.1 თუ პროექტის მენეჯერი მისცემს ინსტრუქციას კონტრაქტორს ჩაატაროს გამოცდა, რომელიც არ არის სპეციფიკაციებში აღნიშნული, რათა შეამოწმოს არის თუ არა სამუშაოებში დაშვებული დეფექტი და თუ გამოცდა აჩვენებს რომ დეფექტი არსებობს, კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს გამოცდისა და ნებისმიერი ნიმუშების ხარჯები. თუ დეფექტი არ იქნა აღმოჩენილი, გამოცდა ჩაითვლება საკომპენსაციო გარემოებად.
34. **დეფექტების გასწორება** 34.1 პროექტის მენეჯერმა უნდა აცნობოს კონტრაქტორს ნებისმიერი დეფექტის შესახებ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დამთავრებამდე, რომელიც იწყება ობიექტის დასრულების შემდეგ და დადგენილია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. საკონტრაქტო მონაცემებში. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი გაგრძელდება მანამდე, სანამ დარჩება გასასწორებელი დეფექტები.
- 34.2 ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტორი პროექტის მენეჯერისაგან მიიღებს შეტყობინებას დეფექტების შესახებ, ის ვალდებულია გაასწოროს ეს დეფექტები იმ ვადაში, რომელიც პროექტის მენეჯერის შეტყობინებაშია აღნიშნული.
35. **გაუსწორებელი დეფექტები** 35.1 იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორი არ გაასწორებს დეფექტებს პროექტის მენეჯერის შეტყობინებაში აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში, პროექტის მენეჯერმა უნდა შეაფასოს დეფექტების გასწორების ღირებულება და კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს იგი.

დ. ხარჯების კონტროლი

36. **კონტრაქტის ფასი** 36.1 სამუშაოთა მოცულობების უწყისი უნდა შეიცავდეს კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების განფასებულ პუნქტებს. სამუშაოთა მოცულობების უწყისი გამოიყენება კონტრაქტის ფასის გასაანგარიშებლად. კონტრაქტორისათვის გადახდა განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, სამუშაოთა მოცულობების უწყისში თითოეულ პუნქტზე მითითებული ერთეული განფასებების საფუძველზე.
37. **კონტრაქტის ფასის ცვლილებები** 37.1 თუ შესრულებული სამუშაოების საბოლოო მოცულობები 25-ზე მეტი პროცენტით განსხვავდება სამუშაოთა მოცულობების უწყისში კონკრეტული პუნქტისათვის მითითებული მოცულობისაგან და ეს სხვაობა კონტრაქტის საწყისი ფასის 1%-ს აღემატება, პროექტის მენეჯერმა უნდა მოახდინოს ფასის კორექტირება ამ ცვლილების გათვალისწინებით. თუ კონტრაქტის საწყისი ფასი 15%-ზე მეტი ოდენობით არის გადაჭარბებული, პროექტის მენეჯერს შეუძლია მოცულობათა ცვლილების გათვალისწინებით განფასებების კორექტირება მხოლოდ დამკვეთის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.
- 37.2 კონტრაქტის მენეჯერის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტორმა მას უნდა წარუდგინოს სამუშაოთა მოცულობების უწყისში მითითებული ნებისმიერი ერთეული განფასების დეტალური გაწერა.

38. ვარიაციები

- 38.1 ყველა ცვლილება შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ მოზადებულ განახლებულ პროგრამაში.
- 38.2 კონტრაქტის მენეჯერის მოთხოვნის საფუძველზე კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მას ცვლილების განფასება. პროექტის მენეჯერი შეაფასებს ამ განფასებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას კონტრაქტის მენეჯერის შესაბამისი მოთხოვნიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში ან პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ცვლილების შესახებ განკარგულების გაცემამდე.
- 38.3 თუ კონტრაქტორი წარმოადგენს დაუსაბუთებელ განფასებას, პროექტის მენეჯერს შეუძლია გასცეს განკარგულება ცვლილების შესახებ და ამ ცვლილების კონტრაქტორის ხარჯებზე ზემოქმედების შესახებ საკუთარი პროგნოზის საფუძველზე შეცვალოს კონტრაქტის ფასი.
- 38.4 თუ პროექტის მენეჯერი გადაწყვიტავს, რომ ცვლილების სასწრაფო აუცილებლობის გამო შეუძლებელია განფასების წარდგენა და განხილვა სამუშაოების დაყოვნების გარეშე, განფასება არ იქნება წარდგენილი და ცვლილება მიჩნეული იქნება საკომპენსაციო გარემოებად.
- 38.5 კონტრაქტორი ვერ მიიღებს დამატებით ანაზღაურებას იმ ხარჯებისათვის, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო კონტრაქტორის მხრიდან დროული გაფრთხილების შემთხვევაში.
- 38.6 თუ ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოები შეესაბამება სამუშაოთა მოცულობის უწყისში მოცემულ სამუშაოთა რომელიმე პუნქტს და პროექტის მენეჯერის აზრით, სამუშაოთა იმ მოცულობის განხორციელება, რომელიც აღემატება „კონტრაქტის ზოგადი პირობებში“ 39.1 ქვე-პარაგრაფში აღნიშნულ ზღვრულ ოდენობას ან მისი განხორციელების ვადები არ გამოიწვევს ერთეული განფასების ზრდას, ცვლილების ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული უნდა იქნას სამუშაოთა მოცულობის უწყისში მითითებული ერთეული განფასება. თუ ერთეული განფასება იცვლება ან შესწორებით გათვალისწინებული სამუშაოების ხასიათი და განხორციელების ვადები არ შეესაბამება სამუშაოთა მოცულობების უწყისის პუნქტებს, კონტრაქტორის მიერ ცვლილების განფასება სამუშაოთა შესაბამისი სახეობების ახალ ერთეულ განფასებებს უნდა დაეფუძნოს.

39. ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი

- 39.1 თუ მოხდება სამუშაოთა პროგრამის განახლება, კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერს უნდა წარუდგინოს ფულადი სახსრების მოძრაობის განახლებული პროგნოზი.

40. გადახდის სერტიფიკატები

- 40.1 კონტრაქტორმა ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს კონტრაქტის მენეჯერს შესრულებული სამუშაოების ღირებულების შეფასების ანგარიშები იმ საერთო თანხის გამოკლებით, რომელიც ადრე იქნა სერტიფიკატებით დამოწმებული.
- 40.2 პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს კონტრაქტორის ყოველთვიური ანგარიშები და სერტიფიკატით დაამოწმოს კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხა.
- 40.3 შესრულებული სამუშაოების ღირებულებას პროექტის მენეჯერი განსაზღვრავს.
- 40.4 შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა მოიცავდეს სამუშაოთა მოცულობების უწყისში მითითებულ იმ სამუშაოების ღირებულებას, რომლებიც შესრულებული იქნა;

40.5 შესწესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა მოიცავდეს ცვლილებებისა და საკომპენსაციო გარემოებების ღირებულებას.

40.6 მოგვიანებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროექტის მენეჯერს აქვს უფლება ამოიღოს წინა სერთიფიკატით დამოწმებული ნებისმიერი სამუშაო ან შეამციროს ნებისმიერი სამუშაოს ხვედრითი წილი, რომელიც ადრე იქნა სერთიფიკატით დამოწმებული.

41. გადახდები

41.1 გადახდები უნდა დაკორექტირდეს ავანსისა და დაკავებული თანხების გამოქვითვის გზით. დამკვეთი კონტრაქტორს გადაუხდის პროექტის მენეჯერის მიერ სერთიფიკატით დამოწმებულ თანხებს ყოველი სერთიფიკატის გაცემის თარიღიდან 28 დღის განმავლობაში. დამკვეთის მიერ გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, კონტრაქტორი დაგვიანებაზე დარიცხულ პროცენტს მიიღებს შემდეგ გადახდასთან ერთად. აღნიშნული პროცენტი გაანგარიშდება იმ თარიღიდან, როდესაც გადახდა უნდა განხორციელებულიყო, დაგვიანებული გადახდის განხორციელების თარიღამდე. პროცენტი დაანგარიშებული უნდა იქნას კომერციულ სესხებზე არსებული განაკვეთების საფუძველზე თითოეული იმ ვალუტისათვის, რომელშიც ხორციელდება გადახდა.

41.2 თუ სერთიფიკატით დამოწმებული თანხა გაიზრდება შემდგომ სერთიფიკატში ან მომრიგებლის ან არბიტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს დაგვიანებული გადახდის პროცენტი, როგორც წინამდებარე დებულებაშია განსაზღვრული. პროცენტი უნდა გაანგარიშდეს იმ თარიღიდან, როდესაც გაზრდილი თანხა სერთიფიკატით უნდა ყოფილიყო დამოწმებული დავის არარსებობის შემთხვევაში.

41.3 თუ არ არსებობს სხვაგვარი მითითება, ყველა გადახდა და დაქვითვა უნდა განხორციელდეს დაკვეთის ეროვნულ ვალუტაში, რომელიც კონტრაქტის ფასშია წარმოდგენილი.

41.4 სამუშაოთა ის მუხლები, რომლებისთვისაც არ არის მითითებული ერთეული განფასება ან ფასი, არ ანაზღაურდება დამკვეთის მიერ და მიჩნეული იქნება, რომ ისინი სხვა ერთეული განფასებებისა და ფასების ხარჯზე დაიფარება.

42. საკომპენსაციო გარემოებები

42.1 საკომპენსაციო გარემოებად ითვლება შემდეგი:

(ა) დამკვეთი არ იძლევა ობიექტის ტერიტორიის რაიმე ნაწილში შესვლის საშუალებას ტერიტორიის გადაცემის თარიღისათვის „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 20.1 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად;

(ბ) დამკვეთი იმგავრად ცვლის სხვა კონტრაქტორების გრაფიკებს, რომ ეს გავლენას ახდენს კონტრაქტორის სამუშაოებზე მოცემული კონტრაქტის ფარგლებში;

(გ) პროექტის მენეჯერი გაცემს მითითებას სამუშაოთა დაყოვნებაზე, ან ვერ უზრუნველყოფს კონტრაქტორს საჭირო ნახაზებით, სპეციფიკაციებით ან ინსტრუქციებით, რომლებიც აუცილებელია სამუშაოს დროული შესრულებისათვის;

(დ) პროექტის მენეჯერი აძლევს მითითებას კონტრაქტორს გამოავლინოს დეფექტები ან ჩაატაროს დამატებითი გამოცდები და აღმოჩნდება, რომ ამ სამუშაოებს დეფექტი არ გააჩნდა;

(ე) პროექტის მენეჯერი უსაფუძვლოდ არ იძლევა ქვეკონტრაქტორის აყვანის ნებართვას;

(ვ) ძირეული პირობები აღმოჩნდა არსებითად უფრო არასახარბიელო ვიდრე ეს გამომდინარეობდა მიღების წერილის გაგზავნამდე ტენდერის მონაწილეთათვის მიწოდებული ინფორმაციიდან (ობიექტის შესწავლის ანგარიშების ჩათვლით), ან საჯაროდ ცნობილი ინფორმაციიდან და სამშენებლო მოედნის ვიზუალური

ინსპექტირებიდან;

- (ზ) პროექტის ხელმძღვანელი გასცემს მითითებას დამკვეთის მიზეზით გამოწვეული გაუთვალისწინებელი გარემოების მოგვარების შესახებ, ან უსაფრთხოების ან სხვა მიზნისათვის აუცილებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების შესახებ;
- თ) სხვა კონტრაქტორები, საზოგადოებრივი დაწესებულებები, კომუნალური სამსახურები, ან დამკვეთი არ მუშაობენ კონტრაქტში აღნიშნული თარიღების და სხვა მითითებულ ვადების ფარგლებში, რაც იწვევს შეყოვნებას ან დამატებით ხარჯს კონტრაქტორისთვის.
- (ი) გვიანდება საავანსო გადახდა;
- (კ) დამკვეთის ნებისმიერი რისკის ზემოქმედება კონტრაქტორზე;
- (ლ) კონტრაქტის მენეჯერი უსაფუძვლობს აყოვნებს დასრულების სერთიფიკატის გაცემას.

42.2 თუ საკომპენსაციო გარემოება გამოიწვევს დამატებით ხარჯს ან ხელს შეუშლის ობიექტის დამთავრებას ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღისათვის, კონტრაქტის ფასი უნდა გაიზარდოს და/ან უნდა გაგრძელდეს ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი. პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს გაიზრდება თუ არა და რამდენით გაიზრდება კონტრაქტის ფასი და გაგრძელდება თუ არა და რამდენით გაგრძელდება ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი.

42.3 როგორც კი კონტრაქტორი წარმოადგენს ინფორმაციას კონტრაქტორის ხარჯებზე, საკომპენსაციო გარემოების ზეგავლენის შესახებ, პროექტის მენეჯერმა უნდა შეაფასოს აღნიშნული ინფორმაცია და ამის შესაბამისად გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი. თუ კონტრაქტორის პროგნოზი უსაფუძვლოდ იქნება მიჩნეული, პროექტის მენეჯერმა უნდა გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი საკუთარი პროგნოზის საფუძველზე. პროექტის მენეჯერი ვარაუდობს, რომ კონტრაქტორი კომპეტენტურ და ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს ამ გარემოებაზე.

42.4 კონტრაქტორს არა აქვს კომპენსაციის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, რამდენადაც შეილახა დამკვეთის ინტერესები იმის გამო, რომ კონტრაქტორმა ვერ უზრუნველყო დროული გაფრთხილება ან არ ითანამშრომლა პროექტის მენეჯერთან.

43. გადასახადები

43.1 პროექტის მენეჯერმა უნდა გააკორექტიროს კონტრაქტის ფასი თუ გადასახადები, საბაჟო გადასახადები და სხვა მოსაკრებლები შეიცვლება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება სატენდერო წინადადებების წარდგენამდე 28 დღით ადრე თარიღიდან და მთავრდება ობიექტის დასრულების ბოლო სერთიფიკატის თარიღით. კორექტირება ასახავს კონტრაქტორის მიერ გადასახდელი გადასახადების თანხის ცვლილებას იმ პირობით, თუ ამგვარი ცვლილება უკვე არ არის ასახული კონტრაქტის ფასში ან წარმოადგენს „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 44 პარაგრაფში აღწერილი ფასის კორექტირების შედეგს.

44. ვალუტები

ა/გ

45. ფასის კორექტირება

45.1 რესურსების ხარჯებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ფასების კორექტირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს „კონტრაქტის კონკრეტული პირობები“. ამგვარი დებულების არსებობის შემთხვევაში, გადახდის თითოეულ სერთიფიკატში დამოწმებული თანხა უნდა გააკორექტირდეს საავანსო გადახდის გამოქვითვამდე შესაბამისი კოეფიციენტის გამოყენებით გადასახდელი თანხების მიმართ:

$$P = A + B \text{ Imc/Io} + C \text{ Mm/Mo}$$

სადაც:

P არის კორექტირების კოეფიციენტი გადასახდელი საკონტრაქტო ფასისათვის.

A, B და **C** არის „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული კოეფიციენტები, რომლებიც შესაბამისად აღნიშნავს გადასახდელი საკონტრაქტო ფასის არაკორექტირებად და კორექტირებად ნაწილებს.

გადასახდელს ვალუტაში.

Im და **Mm** წარმოადგენს ინდექსებს, რომელიც დაფიქსირებულია იმ თვის ბოლოს, რომლისთვისაც წარმოდგენილი იყო კონტრაქტორის ანგარიშ-ფაქტურა;

ხოლო **Io** და **Mo** წარმოადგენს ინდექსებს, რომელიც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადების გახსნამდე 28 დღით ადრე, გადასახდელი ხარჯებისათვის; ორივე კონტრაქტის და გადახდის ვალუტაში, როგორც ეს მითითებულია სატენდერო წინადადების ცხრილში 1, კორექტირების მონაცემთა ცხრილი.

45.2 თუ ინდექსის სიდიდე შეიცვლება მისი გაანგარიშებებში გამოყენების შემდეგ, გაანგარიშება უნდა გაკორექტირდეს და ეს კორექტირება შეტანილი უნდა იქნას გადახდის შემდეგ სერთიფიკატში. ინდექსის სიდიდეში გათვალისწინებული უნდა იყოს ფასების მერყეობის შედეგად ხარჯებში მომხდარი ყველა ცვლილება.

46. თანხების დაკავება

46.1 დამკვეთი თითოეული გადახდიდან დაუკავებს კონტრაქტორს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ოდენობას, ობიექტის მთლიანად დასრულებამდე.

46.2 პროექტის მენეჯერის მიერ ობიექტის დასრულების სერთიფიკატის გამოცემის შემდეგ, „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 51.1 პარაგრაფის შესაბამისად, კონტრაქტორს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც პროექტის მენეჯერი სერთიფიკატით დაამოწმებს, რომ კონტრაქტორმა გაასწორა მის მიერ მითითებული ყველა დეფექტი დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. კონტრაქტორს შეუძლია დაკავებული თანხები შეცვალოს „მოთხოვნამდე“ საბანკო გარანტიით.

47. ჯარიმა ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის

47.1 ობიექტის დასრულების დაგეგმილი ვადის გადაცილების თითოეული დღისათვის კონტრაქტორმა დამკვეთს უნდა გადაუხადოს ჯარიმა „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული განაკვეთის შესაბამისად. ჯარიმის მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ განსაზღვრულ ოდენობას. დამკვეთს შეუძლია დაუკავოს კონტრაქტორს საჯარიმო თანხა მისთვის კუთვნილი გადახდიდან. ჯარიმის გადახდა არ ახდენს გავლენას კონტრაქტორის ვალდებულებებზე.

47.2 თუ ობიექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი გაგრძელებული იქნა მას შემდეგ, რაც უკვე გადახდილი იქნა ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის დაწესებული ჯარიმა, პროექტის მენეჯერმა უნდა აანაზღაუროს კონტრაქტორის მიერ ზედმეტად გადახდილი ჯარიმა შემდეგი გადახდის სერთიფიკატში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით. ზედმეტად გადახდილი ჯარიმისათვის კონტრაქტორს უნდა

გადაეხადოს პროცენტები. ეს პროცენტები გაანგარიშდება იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება ჯარიმის გადახდის თარიღიდან და სრულდება ჯარიმის ანაზღაურების თარიღით „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 40.1 პარაგრაფში მითითებული განაკვეთის საფუძველზე

48. პრემია

48.1 კონტრაქტორს უნდა გადაუხადონ პრემია ობიექტის დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების ყოველი დღისათვის, (გარდა იმ დღეებისა, რომლებზედაც მას გადაუხადეს დაჩქარებისათვის) „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებული განაკვეთის საფუძველზე. პროექტის მენეჯერმა უნდა დაამოწმოს რომ ობიექტი დაგეგმილ ვადაზე ადრე იქნა დასრულებული. პროექტის მენეჯერმა სერთიფიკატით უნდა დაამოწმოს, რომ ობიექტი დასრულებულია, თუმცა ჯერ არ დამდგარა მისი დასრულების დაგეგმილი თარიღი.

49. საავანსო გადახდა

49.1 დამკვეთმა კონტრაქტორს უნდა გადაუხადოს ავანსი იმ ოდენობით და იმ თარიღზე, რომელიც მითითებულია „კონტრაქტის ზოგად პირობებში“, კონტრაქტორის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამკვეთისათვის მისაღები ფორმით და დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ ავანსის თანხის ოდენობით და ავანსის ვალუტაში. გარანტია ძალაში უნდა დარჩეს მანამდე, სანამ მოხდება ავანსის ანაზღაურება, ხოლო გარანტიის თანხა პროგრესულად შემცირდება კონტრაქტორის მიერ გადახდილი თანხების ოდენობის შესაბამისად. საავანსო გადახდაზე პროცენტი არ დაირიცხება.

49.2 კონტრაქტორმა ავანსის თანხა უნდა გამოიყენოს აღჭურვილობის, მოწყობილობების, მასალების, და მობილიზაციის მხოლოდ იმ ხარჯებისათვის, რომლებიც საჭიროა ამ კონკრეტული კონტრაქტის შესრულებისათვის. პროექტის მენეჯერისათვის ანგარიშ-ფაქტურების და სხვა დოკუმენტების ასლების წარდგენის საშუალებით კონტრაქტორმა უნდა აჩვენოს, რომ საავანსო გადახდა აღნიშნული მიზნებისათვის იყო გამოყენებული.

49.3 ავანსის თანხები ანაზღაურებული უნდა იქნას კონტრაქტორისათვის განკუთვნილი გადახდებიდან პროპორციული თანხების დაკავებით, გადახდის საფუძველზე ობიექტის გარკვეული პროცენტული ოდენობების დასრულების გრაფიკის მიხედვით. შესრულებული სამუშაოების ღირებულების, შესწორებების, ფასების კორექტირების, საკომპენსაციო გარემოებების, პრემიების და ჯარიმების განსაზღვრისას ავანსის თანხა და მისი ანაზღაურება არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

50. გარანტიები

50.1 დამკვეთს უნდა წარედგინოს კონტრაქტის შესრულების გარანტია არაუგვიანეს იმ თარიღისა, რომელიც მითითებულია “მიღების წერილში“. აღნიშნული გარანტია გაცემული უნდა იქნას „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ აღნიშნულ თანხაზე, იმ ფორმით, დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ იმავე ვალუტებსა და პროპორციებში, რომელშიც კონტრაქტის ფასი უნდა იქნას გადახდილი. საბანკო გარანტიის შემთხვევაში კონტრაქტის შესრულების გარანტია ძალაში რჩება ობიექტის დასრულების სერთიფიკატის გამოშვების თარიღიდან 28 დღის განმავლობაში, ხოლო ბონდის შემთხვევაში - ობიექტის დასრულების სერთიფიკატის გამოშვების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

51. დღიური სამუშაოები

51.1 იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება დამატებითი სამუშაოთა უმნიშვნელო მოცულობის შესრულების აუცილებლობა, პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია წერილობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოების დღიური პრინციპით ანაზღაურების შესახებ კონტრაქტორის სატენდერო

წინადადებაში მოცემული დღიური სამუშაოების განაკვეთების საფუძველზე.

51.2 კონტრაქტორმა პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ ფორმებში უნდა აღწესდეს ყველა სამუშაო, რომელიც ანაზღაურდება დღიური განაკვეთების საფუძველზე. პროექტის მენეჯერმა უნდა შეამოწმოს და ხელი მოაწეროს ყოველ შევსებულ ფორმას სამუშაოთა დასრულების შემდეგ 2 დღის განმავლობაში.

51.3 კონტრაქტორი მიიღებს დღიური სამუშაოების ანაზღაურებას იმ პირობით, თუ მიღებული იქნება დღიური სამუშაოების ხელმოწერილი ფორმები.

52. სარემონტო სამუშაოების ღირებულება

52.1 ობიექტის დაწყების თარიღსა და დეფექტების გასწორების ვადის გასვლას შორის პერიოდში ობიექტის ან ობიექტისათვის გამოსაყენებელი მასალის დაკარგვა ან დაზიანება ანაზღაურებული უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ მისივე ხარჯით, თუ ეს დანაკარგი ან ზიანი წარმოადგენს კონტრაქტორის მოქმედების ან შეცდომის შედეგს.

ე. კონტრაქტის დამთავრება

53. ობიექტის დასრულება

53.1 კონტრაქტორმა უნდა მოახდინოს პროექტის მენეჯერს ობიექტის დასრულების დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემა და პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს ამგვარ სერთიფიკატი, როდესაც დარწმუნდება, რომ ყველა სამუშაო დასრულებულია.

54. ობიექტის ჩაბარება

54.1 დამკვეთი ჩაიბარებს ობიექტსა და ტერიტორიას პროექტის მენეჯერის მიერ დასრულების სერთიფიკატის გამოცემიდან შვიდი დღის განმავლობაში.

55. საბოლოო ანგარიშსწორება

55.1 დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დამთავრებამდე კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს პროექტის მენეჯერს დეტალური ანგარიში საერთო თანხაზე, რომელიც, კონტრაქტორის აზრით, მას ერგება კონტრაქტის მიხედვით. პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერთიფიკატი და დაამოწმოს კონტრაქტორისათვის გადასახდელი საბოლოო თანხა კონტრაქტორის ანგარიშის მიღებიდან 56 დღის განმავლობაში, თუ ეს ანგარიში სრულყოფილია და სწორი. თუ ანგარიში არასრულყოფილია ან არასწორი, პროექტის მენეჯერმა მისი მიღებიდან 56 დღის განმავლობაში უნდა წარმოაგინოს გრაფიკი, რომელშიც მითითებული იქნება საჭირო შესწორებებისა და დამატებების მოცულობები. თუ ხელმეორედ წარდგენის შემდეგ საბოლოო ანგარიში მაინც არადაამკმაყოფილებელია, პროექტის მენეჯერმა უნდა განსაზღვროს კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა და გასცეს გადახდის სერთიფიკატი.

56. ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოები

56.1 თუ საჭიროა საემისრულებლო ნახაზების და/ან ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოების წარმოდგენა, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს ისინი „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ვადებში.

56.2 თუ კონტრაქტორი ვერ წარმოადგენს ნახაზებსა და/ან ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სახელმძღვანელოებს „პროექტის კონკრეტულ პირობებში“ მითითებულ ვადებში „კონტრაქტის ზოგადი პირობების!“ 56.1 ქვე-პარაგრაფის შესაბამისად, ან თუ კონტრაქტის მენეჯერი მათ არ დაამტკიცებს, პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორისათვის გადასახდელი თანხებიდან უნდა დააკავოს „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“

მითითებული თანხები.

57. კონტრაქტის შეწყვეტა

57.1 დამკვეთს ან კონტრაქტორს შეუძლიათ კონტრაქტის შეწყვეტა, თუ მეორე მხარე დაუშვებს კონტრაქტის პრინციპული ხასიათის დარღვევას.

57.2 კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევად ითვლება (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) შემდეგი:

(ა) კონტრაქტორი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 28 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში და არ იყო ნებადართული პროექტის მენეჯერის მიერ;

(ბ) პროექტის მენეჯერი განკარგულებას მისცემს კონტრაქტორს სამუშაოთა დაყოვნების თაობაზე და არ აუქმებს განკარგულებას 28 დღის განმავლობაში;

(გ) დამკვეთი და კონტრაქტორი კოტრდება ან განიცდის ლიკვიდაციას (რეორგანიზაციისა და შერწყმის შემთხვევების გარდა);

(დ) დამკვეთი არ უხდის კონტრაქტორს პროექტის მენეჯერის მიერ სერთიფიკატით დამოწმებული გადახის თანხას ამ სერთიფიკატის გაცემიდან 84 დღის განმავლობაში;

(ე) პროექტის მენეჯერი გამოსცემს შეტყობინებას, რომ კონკრეტული დეფექტის გაუსწორებლობა კონტრაქტის პრინციპულ დარღვევას წარმოადგენს და კონტრაქტორი ვერ შესძლებს ამ დეფექტის გასწორებას პროექტის მენეჯერის მიერ დადგენილი გონივრული დროის მონაკვეთის განმავლობაში;

(ვ) კონტრაქტორი არ წარმოადგენს საჭირო გარანტიებს;

(ზ) კონტრაქტორმა ობიექტის დასრულება იმდენი დღით დააგვიანა, რომ ობიექტის დასრულების ვადის გადაცილებისათვის გადასახდელმა ჯარიმამ „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“ განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას მიაღწია.

(თ) თუ კონტრაქტორი, დამკვეთის აზრით, გარეულია კორუფციაში, თადლითობაში, გარიგებაში ან ზეწოლაში მოცემული კონტრაქტისათვის გამართული სატენდერო ვაჭრობის ან კონტრაქტის განხორციელების დროს „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 57.1 პარაგრაფის შესაბამისად, დამკვეთს უფლება აქვს შეუწყვიტოს მას კონტრაქტი და გაიყვანოს ობიექტიდან კონტრაქტორისათვის თოთხმეტი (14) დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

57.3 იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მხარე ატყობინებს პროექტის მენეჯერს კონტრაქტის დარღვევის შესახებ, იმ მიზეზების საფუძველზე რომელიც არ არის მითითებული კზპ-ის შემოთმთოყვანილ 56.2 ქვე-პარაგრაფში, პროექტის მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს წარმოადგენს თუ არა ეს დარღვევა პრინციპული ხასიათის დარღვევას.

57.4 ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დამკვეთს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს კონტრაქტი.

57.5 კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა გააჩეროს სამუშაოები, უზრუნველყოს ობიექტის ტერიტორიის უსაფრთხოება და დაცულობა და მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში დატოვოს ობიექტის ტერიტორია.

58. გადახდა კონტრაქტის შეწყვეტისას

58.1 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის პირობების ფუნდამენტური დარღვევების გამო, პროექტის მენეჯერმა უნდა გამოსცეს სერთიფიკატი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოსა და შეკვეთილი მასალების ღირებულება,

სერთიფიკატის თარიღისათვის უკვე გადახდილი ავანსის თანხების და დაუსრულებელ სამუშაოთა პროცენტის გამოკლებით, როგორც მითითებულია „კონტრაქტის კონკრეტულ პირობებში“. ობიექტის დასრულების ვადის გადაცილების დამატებითი ჯარიმა ამ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც, ამ შემთხვევაში ერგება დამკვეთს, აღემატება იმ თანხას, რომელიც ერგება კონტრაქტორს, სხვაობა ჩაითვლება კონტრაქტორის დავალიანებად დამკვეთის მიმართ.

58.2 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება დამკვეთის შეხედულებისამებრ ან დამკვეთის მხრიდან კონტრაქტის პრინციული ხასიათის დარღვევის გამო, პროექტის მენეჯერმა უნდა გასცეს სერთიფიკატი, რომელშიც შეფასებული იქნება შესრულებული სამუშაოების და შეკვეთილი მასალების ღირებულება, ასევე აღჭურვილობის გაყვანის, კონტრაქტორის მხოლოდ ამ ობიექტზე მომუშავე პერსონალის უკან დაბრუნების, კონტრაქტორის მიერ ობიექტის დაცვისა და შენახვის დასაბუთებული ხარჯები, სერთიფიკატის გაცემის თარიღისათვის უკვე გადახდილი ავანსის თანხების გამოკლებით.

59. საკუთრება

59.1 თუ კონტრაქტი წყდება კონტრაქტორის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მასალა, დანადგარი, აღჭურვილობა, დროებითი ობიექტები და ობიექტი რჩება დამკვეთის საკუთრებაში.

60. კონტრაქტის შესრულების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

60.1 თუ კონტრაქტი ჩაიშლება საომარი მოქმედებების დაწყების ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, რომელიც არ ექვემდებარება დამკვეთის ან კონტრაქტორის მხრიდან კონტროლს, პროექტის მენეჯერმა სერთიფიკატით უნდა დაამოწმოს, რომ კონტრაქტი ჩაიშალა. ამ სერთიფიკატის მიღების შემდეგ კონტრაქტორმა მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში უნდა უზრუნველყოს ობიექტის ტერიტორიის უსაფრთხოება და შეწყვიტოს სამუშაოები. კონტრაქტორს უნდა აუნაზღაურდეს სერთიფიკატის მიღებამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება და ასევე სერთიფიკატის მიღების შემდეგ შესრულებული იმ სამუშაოების ღირებულება, რომელთა შესახებ წინასწარი შეთანხმება არსებობდა.

61. ბანკის სესხის ან კრედიტის შეჩერება

61.1 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი შეაჩერებს დამკვეთზე გაცემულ სესხს ან კრედიტს, რომლის სახსრებიდანაც ხორციელდებოდა კონტრაქტორისათვის გადახდების ნაწილი:

(ა) დამკვეთი მოვალეა ზემოაღნიშნული შეჩერების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს კონტრაქტორს, ბანკისაგან სესხის ან კრედიტის შეჩერების შესახებ შეტყობინების მიღებიდან შვიდი (7) დღის განმავლობაში;

(ბ) თუ კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 40.1 ქვე-პარაგრაფში გათვალისწინებულ გადახდებთან დაკავშირებით, კონტრაქტორი 28 დღის განმავლობაში ვერ მიიღებს მის კუთვნილ თანხებს, მას შეუძლია დაუყოვნებლივ გასცეს 14 დღიანი შეტყობინება კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ.

ზოგადი პირობების დანართი

ბანკის პოლიტიკა - კორუფციული და თაღლითური ქმედებების პრაქტიკა (მოდიფიცირებას არ ექვემდებარება)

გაიდლაინები საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვებისთვის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მსოფლიო ბანკის კლიენტებისათვის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კრედიტებისა და გრანტების შესახებ დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც გამოცემულია 2011 წლის იანვარში:

„თაღლითობა და კორუფცია:

1.16 ბანკის პოლიტიკის შესაბამისად დადგენილია მოთხოვნა, რომ მსესხებლები (მათ შორის საბანკო სესხების ბენეფიციარები), ტენდერში მონაწილეები, მიმწოდებლები, კონტრაქტორები და მათი აგენტები (მიუხედავად იმისა, დეკლარირებულია ეს თუ არა), ქვეკონტრაქტორები, ქვე-კონსულტანტები, მომსახურების მიმწოდებლები ან მომმარაგებლები და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პერსონალი ვალდებული არიან, დაიცვან ეთიკის მაღალი სტანდარტი შესყიდვებისა და ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტების განხორციელებისას.⁸ აღნიშნული პოლიტიკიდან გამომდინარე, ბანკი:

(ა) ზემო აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს ტერმინებს ქვემოთ მოყვანილი სახით:

- i. „კორუფციული ქმედება“ არის რაიმე ღირებულის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან მოთხოვნა, პირდაპირ ან ირიბად, რაც ზეგავლენას მოახდენს რომელიმე მხარის მოქმედებაზე;⁹
- ii. „თაღლითური ქმედება“ არის ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის გაყალბება, რაც მხარეს შეგნებულად ან დაუდევრობით შეიყვანს შეცდომაში ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების ან ვალდებულებათა შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით;¹⁰
- iii. „წინასწარ განზრახული მოქმედება“ არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც გამიზნულია არამართლობითი შედეგის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებაზე არამართლობითი ზემოქმედება;¹¹
- iv. „იძულება“ არის რომელიმე მხარის ან ამ მხარის საკუთრების დაზიანება ან გაფუჭება ან დაზიანების და გაფუჭების მუქარა პირდაპირ ან ირიბად, რომლის მიზანია მხარის ქმედებაზე არამართლობითი ზეგავლენის მოხდენა;¹²
- v. „ობსტუქციული ქმედება“ არის

(აა) წინასწარი შეცნობით გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან მიჩქმალვა ან გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რაც მიზნად ისახავს ბანკის მიერ კორუფციის, თაღლითობის, წინასწარ განზრახული მოქმედების ან იძულების ფაქტების გამოძიებისათვის ხელის შეშლას; ან/და რომელიმე მხარის მიმართ განხორციელებული მუქარა, დევნა ან შანტაჟი, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული მხარის მიერ გამოძიებასთან დაკავშირებული საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა ან გამოძიებასთან თანამშრომლობისათვის ხელის შეშლას, ან

⁸ ამ კონტექსტში, შესყიდვების პროცესზე და კონტრაქტის განხორციელებაზე ზეგავლენის მოხდენის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს არამართლობითი სარგებელის მიღებას ითვლება დაუშვებლად.

⁹ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „სხვა მხარე“ გულისხმობს საჯარო მოხელეს, რომელიც ჩართულია შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის განხორციელებაში. ამ კონტექსტში „საჯარო მოხელე“ გულისხმობს მსოფლიო ბანკის აპარატის თანამშრომელს ან სხვა იმ ორგანიზაციის მუშაკებს, რომლებიც იღებენ ან ამოწმებენ შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებებს.

¹⁰ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „მხარე“ გულისხმობს საჯარო მოხელეს; ტერმინები „სარგებელი“ და „ვალდებულება“ უკავშირდება შეყიდვების პროცესსა და კონტრაქტის განხორციელებას; ტერმინი „მოქმედება ან უმოქმედობა“ გულისხმობს ზეგავლენას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის განხორციელებაზე.

¹¹ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „მხარეები“ გულისხმობს შესყიდვების პროცესის მონაწილეებს (მათ შორის, საჯარო მოხელეებს), რომლებიც ცდილობენ თავად ან შესყიდვებისა და შერჩევის პროცესში ან მონაწილეობის უფლების არ მქონე სხვა პირის ან წარმონაქმნის მეშვეობით კონკურსის სიმულაციას და ხელოვნური, არა საკონკურსო ფასის დადგენას ან არიან დაინტერესებული მხარე სატენდერო ფასებისა და სხვა პირობების ინფორმაციის მოპოვებაში.

¹² ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „მხარე“ გულისხმობს შესყიდვების პროცესსა და კონტრაქტის შესრულებას ჩართულ მხარეს.

(ბზ) ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის მიერ ინსპექციისა და აუდიტის განხორციელებისათვის არსებითად ხელის შეშლას ქვემოთ მოცემული 1.16 (ე) პარაგრაფის შესაბამისად.

(ბ) უკუაგდებას სატენდერო წინადადებას, თუკი დაადგენს, რომ ტენდერში მონაწილეი ან მისი პერსონალის რომელიმე წევრი ან მისი აგენტი ან მისი ქვეკონსულტანტი, ან ქვეკონტრაქტორი, მომსახურების მომწოდებელი, მომმარაგებელი ან წილადი და მათი მუშახელი პირდაპირ ან ირიბად შემჩნეულნი არიან კორუფციულ, თაღლითურ, იძულებით ან ობსტუქციულ საქმიანობაში შესაბამისი კონტრაქტის მოპოვების მიზნით;

(გ) შესყიდვას გამოაცხადებს ბათილად და გააუქმებს კონტრაქტთან დაკავშირებული სესხის შესაბამის წილს, თუ იგი დაადგენს, რომ მსესხებელისა ან საკრედიტო სახსრების მიმღები რომელიმე მხარის წარმომადგენლები ჩართულნი არიან კორუფციულ, თაღლითურ იძულებით და ობსტრუქციულ საქმიანობაში შესყიდვების ან კონტრაქტის განხორციელების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი არ მიმართავს *ბანკისათვის* დამაკამაყოფილებელ დროულ და აუცილებელ ქმედებებს აღნიშნულ არამართლოზომიერ მოქმედებათა აღსაკვეთად, მათ შორის, თუ იგი მყისიერად ვერ აცნობებს ბანკს აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;

(დ) სანქციას დაუწესებს ფირმას ან კერძო პირს ნებისმიერ დროს ბანკის სანქციების აღიარებული პროცედურების¹³ შესაბამისად, რაც მოიცავს ასეთი ფირმის ან კერძო პირის გამოცხადებას უფლებამოსილების არმქონედ განუსაზღვრელი ვადით ან დროის დადგენილ მონაკვეთში: (i) მიიღოს *ბანკის* მიერ დაფინანსებული კონტრაქტი; და (ii) დაიკავოს თანამდებობა¹⁴

(ე) მოითხოვს, რომ სატენდერო დოკუმენტებში და *ბანკის* მიერ დაფინანსებულ კონტრაქტში შეტანილ იქნეს ცალკე პარაგრაფი, რომელიც დაავალდებულებს ტენდერში მონაწილეებს, მომწოდებლებს და კონტრაქტორებს და მათ ქვე-კონტრაქტორებს, აგენტებს, პერსონალს, კონსულტანტებს, მომსახურების მომწოდებლებს ან მომმარაგებლებს, უზრუნველყონ *ბანკის* შეუფერხებელი დაშვება ტენდერთან და კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიშის, ჩანაწერისა და სხვა დოკუმენტების ინსპექტირებისათვის, და უფლება მისცენ *ბანკის* მიერ დანიშნულ აუდიტორს, ჩაატაროს აუდიტი.

¹³ ფირმა ან კერძო პირი ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტის მიღების უფლების არ მქონედ შეიძლება გამოცხადდეს: (i) ბანკის სანქციების პროცედურების დასრულების შემდეგ, რამდენადაც აღნიშნულ სანქციათა პროცედურები, სხვა პროცედურებთან ერთად, მოიცავს შესაგებებელ უფლებათა ჩამორთმევის პრაქტიკას, რაც შეთანხმებულია სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის მრავალმხრივი განვითარების ბანკებთან, რაც, აგრეთვე, თანხმობაშია მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ შემუშავებულ თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციული შესყიდვების სანქციების საყოველთაო პროცედურებთან; და (ii) მოცემულ მომენტში ან ადრე უფლებამოსილების დროებითი შეჩერების ფაქტების გამო, რაც მიმდინარე სანქციების დაწესების პროცედურებთან არის დაკავშირებული. იხილეთ აღნიშნული გაიდლაინების დანართი 1-ლი, პარაგრაფი 8 და სქოლიო 14.

¹⁴ ნომინირებული ქვე-კონტრაქტორი, კონსულტანტი, საქონელმწარმოებელი ან მომწოდებელი, მომსახურების მომწოდებელი (ცალკეული სატენდერო დოკუმენტისთვის გამოიყენება განსხვავებული სახელწოდება) არის პირი, რომელიც (i) ტენდერში მონაწილის მიერ დასახელებულია წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევის ან ტენდერის მონაწილედ, რადგან ფლობს სპეციფიკურ და უმნიშვნელოვანეს გამოცდილებასა და ცოდნას, რაც ტენდერში მონაწილეს ეხმარება, დააკმაყოფილოს საჭვალეფიკაციო მოთხოვნები კოკრეტული ტენდერისათვის; ან (ii) პირი, რომელიც დანიშნულია მსესხებელის მიერ.

IX თავი - კონტრაქტის ფორმები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ის ფორმები, რომლებიც შეესაბამება შემდეგ კონტრაქტის ნაწილს შეადგენს. კონტრაქტის შესრულების გარანტიის და საავანსო გადახდის გარანტიის ფორმები მხოლოდ ტენდერის გამარჯვებულმა მონაწილემ უნდა შეავსოს კონტრაქტის მინიჭების შემდეგ.

ფორმების ჩამონათვალი

მიღების წერილი

კონტრაქტის ხელშეკრულება

კონტრაქტის შესრულების გარანტია (საბანკო გარანტია).....

კონტრაქტის შესრულების გარანტია (ბონდი)

საავანსო გადახდის გარანტია

მიღების წერილი

— დამკვეთის ბლანკზე —

..... თარიღი.

ვის: კონტრაქტორის სახელი და მისამართი

საფუძველი: შეტყობინება № კონტრაქტის მინიჭების შესახებ

წინამდებარე წერილით გატყობინებთ, რომ თქვენი სატენდერო წინადადება, დათარიღებული
..... თარიღი კონტრაქტის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო
ნომერი, როგორც კონტრაქტის კონკრეტულ პირობებშია მითითებული განსახორციელებლად
..... კონტრაქტის მიღებულ თანხაზე, რომელიც შეადგენს თანხა
რიცხობრივად და სიტყვიერად და ვალუტის სახელწოდება ინსტრუქციები
ტენდერში მონაწილეთათვის“ შესაბამისად განხორციელებული კორექტირებებისა და
ცვლილებების ჩათვლით, მიღებულია ჩვენი უწყების მიერ.

თქვენ მოვთხოვებთ კონტრაქტის შესრულების გარანტიის წარდგენა 28 დღის განმავლობაში
კონტრაქტის პირობების შესაბამისად, კონტრაქტის შესრულების გარანტიის იმ ფორმის
გამოყენებით, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის X თავში (კონტრაქტის
ფორმები).

[შეარჩიეთ ქვემოთ მოყვანილი განცხადებებიდან ერთ-ერთი:]

ჩვენთვის მისაღებია _____ **[ჩასვით ტენდერის მონაწილის მიერ
შემოთავაზებული მომრიგებლის სახელი]** დანიშვნა მომრიგებლად.

[ან]

ჩვენთვის არ არის მისაღები _____ **[ჩასვით ტენდერის მონაწილის
მიერ შემოთავაზებული მომრიგებლის სახელი]** დანიშვნა მომრიგებლად და წინამდებარე
„მიღების წერილის“ ასლის გაგზავნით
_____ **[ჩასვით მომრიგებლის დამნიშნავი უწყების
სახელი]**, მომრიგებლის დამნიშნავ უწყებაში, მივმართავთ თხოვნით, რომ მათ დანიშნონ
მომრიგებელი „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ 23.1 პარაგრაფის და „ინსტრუქციები
ტენდერში მონაწილეთათვის“ პარაგრაფის 23.1 შესაბამისად.

უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა:

ხელმოწერის სახელი და თანამდებობა:

უწყების სახელი:

დანართი: ხელშეკრულება

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო [რიცხვი, თვე, წელი] ერთის მხრივ *დამკვეთის სახელი* (შემდგომში „დამკვეთი“), და მეორეს მხრივ *კონტრაქტორის სახელი* (შემდგომში „კონტრაქტორი“) შორის

ვინაიდან, დამკვეთს სურს, რომ კონტრაქტორმა განახორციელოს სამუშაოები. *კონტრაქტის სახელი* და მან მიიღო კონტრაქტორის სატენდერო წინადადება ამ ობიექტის მშენებლობისა და დასრულების და მისი ყველა დეფექტის გასწორების შესახებ,

დამკვეთი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც მათ მინიჭებული აქვს ქვემოთ მითითებულ კონტრაქტის დოკუმენტაციაში.
2. მიჩნეულია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კონტრაქტის დოკუმენტები შეადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს და წაკითხული და ინტერპრეტირებული უნდა იქნას, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ხელშეკრულებას უპირატესობა ენიჭება კონტრაქტის სხვა დოკუმენტებზე.
 - (ა) ხელშეკრულება
 - (ბ) მიღების წერილი
 - (გ) სატენდერო წინადადება
 - (დ) კონტრაქტის კონკრეტული პირობები,
 - (ე) კონტრაქტის ზოგადი პირობები, დანართის ჩათვლით
 - (ვ) სპეციფიკაციები,
 - (ზ) ნახაზები
 - (თ) სამუშაოთა მოცულობების უწყისები.
 - (ი) კვპ-ში მითითებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც კონტრაქტის ნაწილს წარმოადგენს.
3. დამკვეთის მიერ კონტრაქტორისათვის განსახორციელებელი გადახდების გათვალისწინებით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებაშია აღნიშნული, კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას დამკვეთის წინაშე განახორციელოს და დაასრულოს ობიექტი და გაასწოროს მისი დეფექტები კონტრაქტის დებულებებთან სრულ შესაბამისობაში.
4. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი იღებს ვალდებულებას ობიექტის განხორციელებისა და დასრულებისათვის და მისი დეფექტების გასწორებისათვის გადაუხადოს კონტრაქტორს კონტრაქტის ფასი ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შეიძლება გადასახდელი იყოს კონტრაქტის დებულებების შესაბამისად იმ ვადებში და იმ ფორმით, როგორც მითითებულია კონტრაქტში.

ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.
 სესხის მიმღები ქვეყნის სახელი კანონმდებლობის შესაბამისად ზემოთ
 მითითებულ დღეს, თვესა და წელს.

ხელმოწერა.....

ხელმოწერა.....

დამკვეთის სახელით

კონტრაქტორის სახელით

მოწმე, სახელი, ხელმოწერა
 მისამართი, თარიღი

მოწმე, სახელი, ხელმოწერა
 მისამართი, თარიღი

თანდასწრებით

თანდასწრებით

კონტრაქტის შესრულების გარანტია

(საბანკო გარანტია)

[გარანტორის ბლანკი ან SWIFT კოდი]

ბენეფიციარი:

[ჩასვით დამკვეთის სახელი და მისამართი]

თარიღი [ჩასვით თარიღი].....

კონტრაქტის შესრულების გარანტია

[ჩასვით №].....

გარანტორი [ჩასვით დასახელება და გაცემის მისმართი და ადგილი, თუკი ეს ინფორმაცია არ არის მითითებული ბლანკზე]

ჩვენ გვაცნობეს, რომ კონტრაქტორის სახელი, რომელიც ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში იქნება ამ ერთობლივი საწარმოს დასახელება (შემდგომში "განმცხადებელი") გააფორმა კონტრაქტი No. [ჩასვით კონტრაქტის ნომერი] დათარიღებული [ჩასვით თარიღი] ბენეფიციართან, [ჩასვით კონტრაქტის დასახელება და სამუშაოების მოკლე დახასიათება] შესასრულებლად- (შემდგომში "კონტრაქტი").

მასთან ერთად ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად საჭიროა კონტრაქტის შესრულების გარანტია.

განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, ჩვენ, ბანკის სახელი ვიღებთ უპირობო ვალდებულებას, გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომლის ოდენობა ჯამში არ აღემატება ვალუტის დასახელება და თანხა ციფრებში ¹. (. თანხა სიტყვიერად.). აღნიშნული თანხა გადახდილი იქნება იმ ვალუტებში და იმ პროპორციული თანაფარდობით, როგორც კონტრაქტის ფასი. გადახდა განხორციელდება თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილობითი განცხადება, ან თვითონ ამ მოთხოვნაში ან ცალკე ხელმოწერილ დოკუმენტში, რომელიც თან ერთვის მოთხოვნას, რომ განმცხადებელმა დაარღვია თავისი ვალდებულებები კონტრაქტის ფარგლებში. თქვენ არ მოგეთხოვებათ თქვენი მოთხოვნის ან მასში მითითებული თანხის საჭიროების დამტკიცება ან საფუძვლის დასაბუთება.

გარანტიის მოქმედების ვადა იწურება არა უგვიანეს რიცხვი, თვე, წელი², და გადახდის შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა ჩვენ უნდა მივიღოთ ამ ოფისში აღნიშნული თარიღისათვის ან მასზე ადრე.

წინამდებარე გარანტია ექვემდებარება „ერთიანი რეგლამენტი მოთხოვნის გარანტიებისათვის“ დებულებებს, 2010 წლის ცვლილებით, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, გამოცემა №758. 15(ა) ქვეპარაგრაფის გამოკლებით.

.....
ბანკის ბეჭედი და ხელმოწერა(ები)

კურსივით (დახრილი შრიფტით) აკრეფილი ტექსტი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ამ ფორმის მომზადებისას და ამოღებული უნდა იქნას საბოლოო ვარიანტიდან

¹ გარანტორს შეუძლია ჩასვას თანხა, რომელიც სატენდერო წინადადების მიღების შესახებ წერილში/შეტყობინებაში განსაზღვრულ დადგენილი საკონტრაქტო ფასის პროცენტს წარმოადგენს, გამოკლებული ავანსის თანხები, თუ ასეთი არსებობს და დენომინირებულია ან საკონტრაქტო ვალუტაში(ებში), ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, რომლიც მისაღებია ბენეფიციარისათვის.

² ჩასვით თარიღი 28(ოცდარვა) დღე დაგეგმილი დამთავრების თარიღიდან, როგორც ეს მითითებულია ზოგადი პირობების 11.9 მუხეტში. დამკვეთმა უნდა მიიღოს ცნობად, რომ ამ თარიღის გადაწევის და კონტრაქტის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში დამკვეთმა უნდა მიიღოს ამ გარანტიის გახანგრძლივების ნებართვა გარანტორისაგან. ასეთი მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს შესრულებული და უნდა გაკეთდეს გარანტიაში მითითებული გარანტიის ვადის ამოწურვამდე. ამ გარანტიის მომზადები დროს დამკვეთმა შეიძლება ჩათვალოს საჭიროდ, რომ ფორმას შემდეგი ტექსტი დაუმატოს, ბოლოსწინა პარაგრაფის ბოლოს: “გარანტორი თანახმაა ამ გარანტიის ერთჯერად გახანგრძლივებაზე არაუმეტეს [ექვსი თვე][ერთი წელი]პერიოდის განმავლობაში, ამ გახანგრძლივების შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საპასუხოდ, ასეთი მოთხოვნები უნდა წარდგინოს გარანტორს გარანტიის ვადის ამოწურვამდე.”

საავანსო გადახდის გარანტია

[გარანტორის ბლანკი ან SWIFT კოდი]

ბენეფიციარი:

[ჩასვით დამკვეთის სახელი და მისამართი]

თარიღი [ჩასვით თარიღი]

საავანსო გადახდის გარანტია [ჩასვით #]

გარანტორი [ჩასვით დასახელება და გაცემის მისმართი და ადგილი, თუკი ეს ინფორმაცია არ არის მითითებული ბლანკზე]

ჩვენ გვაცნობეს, რომ [კონტრაქტორის სახელი, რომელიც ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში იქნება ამ ერთობლივი საწარმოს დასახელება] (შემდგომში "განმცხადებელი") ბენეფიციართან გააფორმა კონტრაქტი № [ჩასვით კონტრაქტის ნომერი] დათარიღებული [ჩასვით თარიღი], [ჩასვით კონტრაქტის დასახელება და სამუშაოების მოკლე დახასიათება/შესასრულებლად - (შემდგომში "კონტრაქტი").

ამასთან ერთად ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს საავანსო გადახდა [ვალუტის დასახელება და თანხა ციფრებით¹. (. თანხა სიტყვიერად.)]/საავანსო გადახდის გარანტიის საფუძველზე.

განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, ჩვენ როგორც გარანტორი, აქვე ვიღებთ უპირობო ვალდებულებას, რომ გადავუხდით ბენეფიციარს ნებისმიერ თანხას, ან თანხებს რომელიც ჯამში არ აღემატება შემდეგ თანხას [ჩასვით თანხა ციფრებით] (_____) [ჩასვით თანხა სიტყვიერად],¹ მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღებთ ბენეფიციარის სათანადო მოთხოვნას, გამყარებულს ბენეფიციარის განაცხადით, რომელიც წარმოდგენილი იქნება თვითონ ამ მოთხოვნაში, ან მასზე თანდართული ცალკე ხელმოწერილი დოკუმენტის სახით და რომელშიც განცხადებული იქნება, რომ განმცხადებელმა:

- (ა) გამოიყენა საავანსო გადახდა სამუშაოთა მობილიზაციის ხარჯის გარდა სხვა მიზნებისათვის; ან
- (ბ) ვერ გადაიხდა/აანაზღაურა ავანსი კონტრაქტის პირობების თანახმად, იმ თანხის მითითებით, რომელიც ვერ გადაიხდა/აანაზღაურა განმცხადებელმა.

წინამდებარე გარანტიის შესაბამისი მოთხოვნა შეიძლება გარანტორისადმი წარმოდგენილი იქნეს სერტიფიკატით ბენეფიციარის ბანკიდან, რომელშიც განცხადებული იქნება, რომ ზემოთ აღნიშნული საავანსო თანხა კრედიტის სახით გადაერიცხა განმცხადებელს მისი ანგარიშის ნომერზე [ჩასვით ნომერი] [ჩასვით განმცხადებლის ბანკის დასახელება და მისამართი] ბანკში.

წინამდებარე გარანტიის მაქსიმალური თანხა პროგრესულად შემცირდება ბენეფიციარის მიერ ავანსის თანხების გაქვითვის შესაბამისად, როგორც ეს მითითებული იქნება შუალედურ ფინანსურ ანგარიშებში ან გადახდის სერთიფიკატებში, რომელთა ასლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს გარანტორთან. წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა იწურება, არაუგვიანეს,

¹ გარანტორმა უნდა ჩასვას თანხა, რომელიც წარმოადგენს საავანსო გადახდის თანხას და დენომინირებულია კონტრაქტში მითითებულ საავანსო გადახდის ვალუტაში..

გარანტორის მიერ იმ შუალედური გადახდის სერთიფიკატის ასლის მიღების შემდეგ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კონტრაქტის ფასის ოთხმოცდაათი (90) პროცენტი სერტიფიცირებულია გადახდისთვის, ან. [რიცხვი, თვე, წელი]² იმის მიხედვით, თუ რომელი თარიღი დადგება უფრო ადრე. შესაბამისად, გადახდის შესახებ მოთხოვნა მიღებული უნდა იქნას ჩვენს მიერ ამ ოფისში აღნიშნული თარიღისათვის ან მასზე ადრე.

წინამდებარე გარანტია ექვემდებარება "ერთიანი რეგლამენტი მოთხოვნის გარანტიებისათვის" დებულებებს, 2010 წლის ცვლილებით, 15(ა) ქვეპარაგრაფის გამოკლებით, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, გამოცემა #758.

.....
ბანკის ბეჭედი და ხელმოწერა(ები)

– შენიშვნა –

კურსივით (დახრილი შრიფტით) აკრეფილი ტექსტი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ამ ფორმის მომზადებისას და ამოღებული უნდა იქნას საბოლოო ვარიანტიდან

² ჩასვით სავარაუდო კონტრაქტის შესრულების ვადის ამოწურვის თარიღი. დამკვეთმა უნდა მიიღოს ცნობად, რომ კონტრაქტის შესრულების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში, დამკვეთმა უნდა სთხოვოს გარანტორს, ამ გარანტიის ვადის გახანგრძლივება. ეს მოთხოვნა უნდა იყოს შესრულებული წერილობითი ფორმით და უნდა მიიღოს ადრესატმა გარანტიაში მითითებული ვადის ამოწურვის თარიღამდე. ამ გარანტიის მომზადებისას, დამკვეთმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს შემდეგი ტექსტის დამატება ფორმაზე, ბოლოსწინა პარაგრაფის ბოლოს: “გარანტორი თანახმაა ამ გარანტიის ერთჯერად გახანგრძლივებაზე დროის პერიოდით რომელიც არ აღემატება [ექვს თვეს][ერთ წელს], ბენეფიციარის გახანგრძლივების შესახებ წერილობითი მოთხოვნის საპასუხოდ. ასეთი მოთხოვნა წარდგენილი იქნება გარანტორისათვის გარანტიის ვადის ამოწურვამდე.”